

652/
1971/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი

1

9

7

1

3

შინაარსი

ქოჩოხი

ბ. ტაბიძე — მრავალუბიერ	
გუგუნიბდეს ლექსი	3
ჟ. ხოფარია — ბერიკაცი	
მოთხრობა	4
ბ. სალუშვაძე — რესპუბლიკის	
დროშა ლექსი	19
მ. ვარზანიძე — ლექსები	22
ბ. სანადირაძე — მთა მოთხრობა	24
ზ. გორგილაძე — ლექსები	46
რ. ართილაშვა — საპარტეზლო	
ლექსი	50
ქ. მუხარია — ლექსები	52
ზ. კეჭელაძე — ხიზაურის ციხე	
ლექსი	54
ა. დიასამიძე — ერგალი დელე-	
ბატი ნარკვევი	56

ტ რ ი ბ უ ნ ი დ კ ნ

ფრ. ხალვაში — მოგზარობა და	
მოგზივნის	65

კ რ ი ტ ი კ ა დ ა

კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

ზ. ჭურიძე — ალგორითმული	
სიტყვა	69

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ბ. სურგულაძე — ლენინი საპარ-	
ტელოში სოციალისტური გზა-	
ნებლობის ამოცანების შესახებ	81
რ. ძნელაძე — საზოგადოებრივი	
სიტყვა	87

წიგნების მიმოხილვა

სახელოვანი თარიღისადმი მიძღ-	
ნილი მიცნეიშვილი ზრუნები	91



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საპარტეზლოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აზარის განყოფილების
ორგანო

ბ ა თ შ ი — 1971



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშა ნიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.5.1971 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 2012, ემ 00730, ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

მრავალქამიერ ბუბუნებდეს

მრავალქამიერ
 გუგუნებდეს ხმა
 „მუმლი მუხასა“
 და „ლილეოსი“,
 ეს გმირთა ჩვენთა
 არის სიმღერა, —
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

მიაპობს მეკრდით
 ზღვას მეზღვაური,
 გესმის არაგვის
 ხმა საცნაური?
 გესმის თერგის და
 მტკვარის ხმაური? —
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

მიაღრვევს რისხვა
 აწყვეტის ავის,
 რომ არ უდრკება
 ქვეყნად არავის.
 გესმის გრიალი
 მთებიდან ზეგვის? —
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

თავისუფლების
 მოყვარე ერებს,
 ვით ზღვას, ვერარა
 ვერ შეაჩერებს.
 მთა რომ იმღერებს,
 ტყე რომ იმღერებს, —
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

აქ გამარჯვების
 დროშად სწერია:
 სამშობლო ჩვენთვის
 ყველაფერია!
 თუ რამ სიმღერა
 გულს უმღერია, —
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

გმირებით საგსე
 სამშობლო მხარევ,
 დღეს გამარჯვების
 გულით მღელვარევ,
 იდიდე, ამ ხმას
 სხვაში ვერ გარევ:
 ეს სიმღერაა
 საქართველოსი!

1945. მაისი.

ჯამაღ ხოჭაჩია

ბ მ რ ი კ ა წ ი

მზე ის-ის იყო ამოიწვერა გორაკის თავზე, როცა მატარებელი დაბაში გაჩერდა. ჩემოდანი დავდევი და იჭაურობა მივათვალ-მოვათვალე. ცენტრში სულ რტიოდე სახლი თუ იდგა. შორს, ფერდობებზე მოჩანდა მწვანეში ჩაფლული დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, პანსიონატები... არსად ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. ჩემამდე აღწევდა ქვიშაზე გავლილი ზღვის ტალღების ჩუმი, ჩურჩულივით იღუმალი შრიალი.

მატარებელს უამრავი დამსვენებელი ჩამოყვა. რამდენიმე წუთით ააბ-მაურეს ბაქანი. მერე ყველანი იქვე, ახლოს პატარა მოედანზე ავტობუსებში ჩასხდნენ... მარტო დავრჩი. დაბაში პირველად ვიყავი, არავის არ ვიცნობდი, არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა. აქ დასასვენებლად ჩამოვედი. საგზური არ მქონდა და ახლა, უპირველეს ყოვლისა, ოთახი უნდა მეშოვნა როგორმე.

უცებ ბერიკაცს მოვკარი თვალი. იგი ზღვის სანაპიროდან ამოვიდა ბაქანზე. მხარზე ანკესითა და ტივტივითი გაწყობილი ბამბუკის ჭოკი გაედო და შავი აბგა გადაეკიდა. ბერიკაცი ნელა მიახლოვდებოდა აკვიატებული მელოდიის ღიღინით. წელში ოდნავ მოხრილ, კაფანდარა ბერიკაცს სახე დანაოჭებოდა, მელოტ თავზე ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ შერჩენოდა გაცრეცილი თეთრი თმა. თავლისფერი, კეთილი თვალები ჭქონდა და თეთრი, თამბაქოს ბოლისაგან ოდნავ შეყვითლებული უღვაშები.

მომიახლოვდა, ჩემ წინ შედგა და დიდი ხნის ნაცნობივით მომესალმა.

— გამარჯობა, ძიავ! აქაური არ უნდა იყო. ვერ გიცანი რაცხა.

— ეს-ეს არის ჩამოვედი.

— დასასვენებლად?

— დიახ, მაგრამ...

— ოთახს ეძებ?

— ვეძებ.

— წამოდი, აბა.

— გეგულებათ სადმე? — გამიხარდა მე.

— მეგულება, წამოდი — მითხრა და წამიძღვა.

ჩემოდანი ავიღე და გავყევი. დაბის ერთადერთ მოსაფალტებულ ქუჩას დავადექით. მერე ასფალტი გათავდა და ჩვეულებრივი სოფლის მოხრეშილი გზა დაიწყო, რომელიც სულ მალა-მალა მიიწევდა. ბერიკაცი დაფიქრებული მომყვებოდა, აღარ ღიღინებდა უკვე.

„ეს რა უყმური ჩანს, ხმას არ იღებს“ — გავიფიქრე და ცალი თვალით გავუხედე. თითქოსდა ჩანაფიქრს მიმიხედაო, მომიბრუნდა და სხვათა შორის მომიგო:

— როცა კაცი დადლილია, ლაილაის თავი არა აქვს.

— დადლილი ხარო? — ვერ გავიგე მისი ფილოსოფია.

— მე? მე რა დამდლიდა! შენ, შენ ხარ დადლილი, სახეზე გეტყობა... მივალთ, დავისვენებთ და მერე ვილაპარაკოთ რამდენიც გინდა.

— ბატონო, ის კაცი ნამდვილად აქირავებს ოთახს? — ვკითხე დაეჭვებით.

— რაკი მე გითხარი, აქირავებს. — მითხრა ჩაცინებით... — ხო, მე აბდულა მქვია.

ასე გავიცანი აბდულა. მოულოდნელად მან გზიდან გადაუხვია და კორდზე აკლაკნილ ბილიკს შეუყვა. თანდათანობით მალა-მალა მივიწევდით. სასიამოვნო დილა იყო, მაცოცხლებელი. ნელი, გრილი ბორბო ჰქროდა და ნაზად მელამუნებოდა სახეზე. მზე ხეთა ტოტებში ობობას ქსელივით ბლანდავდა სხივებს. ირგვლივ გამეფებულ მღუმარებას ჩიტების ჟღერტული არღვევდა. დავიღალე, დამცხა. დაღლა მუხლებმა იგრძნეს, მერე ხელებსაც გადაედო და წამდაუწუმ ვინაცვლებდი ხელში მსუბუქ ჩემოდანს. აღმართს შეუჩვეველს ღვინოსავით მომეკიდა დაღლა. აბდულა აინუნშიც არ აგდებდა აღმართს, ერთხელაც არ მოუხედია უკან. შემრცხვა და ვერ ვუთხარი — რაც იქნება იქნება და ცოტა წავისვენოთ მეთქი. ეს დაწყევლილი ბილიკი არ იქნა და არ გათავდა. ჯერ ჩემს თავზე გავბრაზდი, მერე კი ბერიკაცზე — რამ ამატროკა და დასასვენებლად რამ წამომიყვანა, ანდა ეს ბერიკაცი ამ სიმაღლეზე რამ ამოიყვანა საცხოვრებლად-მეთქი.

გავიარეთ ფიჭვისა და სოჭის აშოლტილი ხეების ტევრი, მერე მაგნოლიებითა და კამელიებით გადაბურული ფერდობები. ირგვლივ ელვარებდნენ თეთრი და წითელი ყვავილები. ზუზუნებდა ფუტკარი და გამაბრუნებელი, დამათრობელი სურნელება იდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, ეშველა თუ მეშველა, მანდარინის ბაღში ჩადგმულ თეთრად შეფეთილ ერთსართულიან სახლს მივადექით.

— მოვედით, ძიავ. — ჩაილაპარაკა აბდულამ და ფართოდ, მასპინძელურად გამოაღო ჭრიალა ჭიშკარი. ეზოში შევედი. სანამ ჭიშკარს მივყავი, რავედი და საკეტს გადავრახავდი, მასპინძელმა წინ გამისწრო, აიღებინა სამსაფეხურიანი კიბე და კარი გააღო.

— მობრძანდი, კეთილი იყოს შენი მოსვლა.

— აქ თქვენ ცხოვრობთ? — ვკითხე დაბნეულმა.

— აბა, სად უნდა ვცხოვრობდე!

— ვიფიქრე...

— გეგონა სხვასთან მოგიყვანდი? — ჩაეცინა მას.

— აქა მშვიდობა! — ვთქვი და ოთახში შევედი. ისე ვიყავი დაღლილი, როგორც კი ჩემოდანი დავდგი და სკამს მოვკარი თვალი, დამავიწყდა სტუმარი რომ ვიყავი და შეუთავაზებლად დავჯექი.

აბდულამ შემხედა და მელოტი თავი შეიფხანა.

— დაიღალე არა?

გამეღიმა.

— შეუჩვეველი ხარ და იმიზა, მე რატომ არ ვიღლები?

— შეჩვეული ხართ და იმიტომ.

ორივეს გაგვეცინა.

— კარგად მომიჭერი... თუ დაიღალე, გეთქვა შე კაცო და დავისვენებდით.

— უნდა გამოგიტყდე, ძალიან დავიღალე.

— დროზე რომ გამომტყდომოდი მაგას, უკეთესი იყო, — მითხრა, მაგიდასთან ჩაიმუხლა, აბგას თავი მოხსნა და მკითხა:

— თევზი გიყვარს?

— კი.

— ჰოდა, თუ კი, კაი დაგემართოს, აგისრულებ სურვილს. — ადგა, კარადიდან ალუმინის მოზრდილი გობი გამოიტანა და თევზი დააწყო.

— აგია ჩემი დღევანდელი ნანადირევი, შეხედე, რამხელვანებია. ოცი ცალი დავიჭირე. კაი ფეხზე ავდექი დღეს.

— ყოველდღე თევზაობთ? — ვკითხე დაინტერესებულმა.

— ყოველდღე... მოკლედ, მეფუთი სადილი გვექნება დღეს... ქინძმარში ჩაწყობილი შემწვარი თევზი და ღვინო... არ იქნება ურიგო, არა?

— რა თქმა უნდა...

ვისვენებ, ყურს ვუვდებ და თანაც ოთახს ვათვალიერებ. სულ უბრალოდაა მორთული. კედელთან მაგიდა, მაგიდაზე პირმოტეხილი სურა და თიხის ჯამი. მაგიდის გვერდით კარადა, გასაშლელი ლოგინი, კედელზე ხის მოოჭვილჩარჩოიანი საათი. საათის ციფერბლატზე დიდი ბუ ხატია. იგი წამდაუწუმ აპარპალებს თვალებს. საათი მუშაობს და დროგამოშვებით

ევენგივით ჟღარუნობს რაღაც მექანიზმი. აბდულა გაუთავებლად ლაპარაკობდა. ჩამთვლიმა... თვალი რომ გავახილე, აბდულას მაგიდა ეწყო — ზედ პური და დატეხილი ყველი ეწყო. ოხშივარი ასლი დასხმულ მაგარ ჩაის. იქვე იდგა შინნაკეთი არყით სავსე ბოთლი ღვინის ჭიქა.

— დღეს პირი დაიბანე? — მკითხა მან.

— არა, — გამოვუტყუდი მე.

— მოდი და იქონიე ამის მერე, შენი იმედი... რას უყურებ? ჩადი ეზოში და დაიბანე.

ჩემოდნიდან პირსახოცი ამოვიღე. აბდულამ თვალი შემასწრო და შუბლი შეიკრა.

— ჩემი პირსახოცი სუფთაა, მაგერ კიდია კედელზე.

— როგორ გეკადრებათ, — ვთქვი და მაინც ჩემის წაღება ვამჯობინე.

ცივმა წყალმა კარგ გუნებაზე დამაყენა.

— როგორაა საქმე, გამოცოცხლდი? — მკითხა აბდულამ.

— გამოვცოცხლდი.

— აბა, კაი დაგემართოს, შევუდგეთ ახლა საქმეს. — ჭიქებში არაყი ჩამოასხა. — არაყი მისწრებაა დილით, მარა ბევრი არ უნდა დალიო, თვარა მთელი დღე შტერივით იფერფეტებ და ვერაფერს გააკეთებ... ზომიერებაა ყოლიფერში საჭირო, აბა... მოდი ახლა და ამით ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, კარგად ვყოფილიყავით, სიმწარე გვაშოროს და ყოლიფერს კარგს შეგვასწროს ცხოვრებაში. — გადაჰკრა და პურის ნაჭერი შეაყოლა.

— გაგვიმარჯოს. — მოვემზადე სადღეგრძელოს სათქმელად.

— კმარა, სმის დროს ბევრი ლაილაი არ მიყვარს, — შემაწყევტინა აბდულამ, — დიდხანს ფარშივი კაცი ილოცება, იცოდე მაგი შენ!

სადღეგრძელოს გამოთქმა მაინცა და მაინც არ მეხერხებოდა და მაშინვე დავეთანხმე:

— მართალია! — და გადავკარი.

— შეაყოლე რაცხა, კუჭს დაგწვავს ცარიელი არაყი, — დამარიგა მან. პური და ყველი შევაყოლე.

— რავე სკვინჩასავით იცენკები, ბიჭო, ზორბათ ჭამე, ზორბათ.

— მეტი არ შემიძლია, აბდულ ბიძია.

— არაფერია, გასწავლი ჭამას ამ ზაფხულს, თუ ვყოფილვარ აბდულა. ნახვე მაშინ, შეგიძლია თუ არა. — დამიიმედა და მერე საუბარი რატომღაც ჩაის სარგებლიანობაზე ჩამომიგდო.

— შენ არ იცი, რამხელა სასარგებლოა ჩაი, განსაკუთრებით დილით, გინდა თუ არ გინდა, აუცილებლად უნდა დალიო. ამხელა კაცი შევეყარე და აქამდე არ ვიცოდი მაგი. ამას წინათ წაევიკითხე გაზეთში პრაფესორი წერდა პირდაპირ. შენახული მაქვს საცხა ი გაზეთი და მოვნახავ.

- არ გინდა. აბდულ ბიძია, ვიცი, ვიცი, — შევაჩერე აბდულა.
- რავა, წაიკითხე თუ?
- რამდენი ხანია.
- ჰოდა, თუ წაიკითხე, რაღას მაღაპარაკებ ამდენს? მაგერაა დასტ-
მული და დალიე. თუ შენ არ ეთანხმები იმ პრაფესორს?
- ვეთანხმები, აბა არა, ვეთანხმები.
- მეც ვეთანხმები და დალიე აბა. — ამდენ ლაპარაკში გაცივებული
ჩაი მოიყუდა და ღვინოსავით გამოცალა.
- ჩაის მაინცა და მაინც ვერ ვიტანდი და მივბაძე.
- არაყი დავლიოთ კიდო?
- როგორც გენებოს.
- მეტი არ გვინდა, გვაწყენს, თვარა კი არ მენანება. კაცო, ერთი
ფუთი მაქვს შენახული, შემოდგომაზე კიდო გამოვხდო...
- საუშმეც მოვათავე და ლაპარაკიც. აბდულა ადგა და უსიტყვოდ შე-
უღდა სუფრის ალაგებას.
- მოგეხმარები. — შევეთავაზე.
- უნდა მომეხმარო, აბა რა. მოსამსახურემ მოგჭამა ჭირი. ერთი საა-
თი ხომ იქნება რაც მოდი?
- ორიც იქნება.
- ჰოდა, სტუმარი აღარ ხარ უკვე.
- დავტრიალდით და ყველაფერი მივაღაგ-მოვაღაგეთ. მერე აბდულამ
ესეც ასეო ჩაილაპარაკა, მეორე ოთახის კარი გამოაღო და დაკოჟირილი
საჩვენებელი თითით შემჩნმო ოთახში:
- მოდი, აქ!
- მივედი.
- ამ ოთახში იცხოვრებ, ხელს არაკაცი არ შეგიშლის. მარტო წოლა
თუ გეზარება, ჩემს ოთახში დაწექი. მარა არ გირჩევ, ნამეტანი ხვრინვა
ვიცი და არ დაგაძინებ.
- არა უშავს რა, — ვთქვი მე.
- ჰოდა, თუ არა უშავს, მაქანე დაიძინე, — თქვა აბდულამ და გავიდა
ოთახი პატარა იყო, კოხტა და ნათელი. ერთადერთი ფანჯარა ზღვას
გადასცქეროდა, რომელიც დიდ ტბასავით მოჩანდა შორიდან — ლურჯი
და გამჭვირვალე.
- ფანჯრის მოპირდაპირე კედლიდან მეორე ზღვა მიცქერის — აივანოვ-
სკის ნახატის რეპროდუქცია. კარგა ხანს დავბორიალებდი ოთახში. მღვი-
ძარა მოვმართე, ჩემოდნიდან ტანსაცმელი ამოვაღავე, თაროებზე დაწყო-
ბილი წიგნები დავათვალიერე და მერე ეზოში გავედი. აბდულა მაგნოლიის
ძირში იჯდა და თვლემდა თუ ფიქრობდა ვერ მიხვდებოდი.
- მე მეგონა გეძინა, — მითხრა მან და დაამთქნარა.
- რა დროს ძილია, აბდულ ბიძია.... — გვერდით მივეუჯექი.

როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს თხელი, აძენძილი ნისლით შემო-
გარსული ქალაქის კონტურები, ბუხტი და ნავსადგურში მდგარი გემები.
ჩვენს პირდაპირ, ქვემოთ, თვალუწვდენ პლაჟზე უზარმაზარ სოფლებს.
ჩამორიგებულან სხვადასხვა ფერის საჩრდილებელი ქოლგები. პლაჟი სავ-
სეა მზეზე გარუჯული დამსვენებლებით და ჩვენამდე აღწევს მათი სიცილ-
კისკისი.

— კარგი ადგილია, — ვამბობ ჩემთვის.

— ამისთანა ადგილს მთელ დუნიაზე ვერ ნახავ. განსაკუთრებით ზა-
ფხულობითაა კაი აჭაურობა, ზღვასთან ახლო ხარ და მთასთანაც. დაჯექი
და რომელი ჰაერიც მოგეწონება იგი ყლაპე.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობ? — ვეკითხები და დავცქერი მის ვეება
ტორებს. დიდრონი ხელები აქვს აბდულას, ლაბოტებივით უხეში. დაკო-
რილი ხელისგულები და თითები მუხის ქერქივითაა მაგარი და მიწისფერი
დაჰკრავს. მიწასავით ბარაქიანია აბდულას ხელები.

— კაი ხანია, ორმოცდაათი წელი იქნება... უწინ მალა ცხოვრობ-
დით, ქედის მაზრაში. მამაჩემი რომ დაწვრილშვილებულა, ამ კუთხეში
გადმოსახლებულა.

— შეჩვეული იქნები აჭაურობას.

— კი, კი. ერთი დღითაც ვერ მოვცილდები ალბათ... ისე, რას გეტყვი
იცი? კაცმა შეჩვეული კუთხე არ უნდა მიატოვოს, სხვაგან არ უნდა გაუ-
ტიოს გულმა, არ უნდა იფიქროს — სხვაგან თუ წავალ, გავკეთდებიო.
ახლა, ძიავე, ყველა ქალაქში გარბის, ამ ახალგაზრდებს რომ ვხედავ, გული
მიკვდება, არაიკაცს სოფელში გაჩერება არ უნდა, აგია საქმე? კაზაკური
მათრახი უნდა ამფერ ახალგაზრდებს...

მერე დიდხანს სდუმს აბდულა, სდუმს შუბლშეკრული. თავზეხელებ-
შემოდგმული მისჩერებია ერთ ამოჩემებულ წერტილს და უტოკავს თეთ-
რი წარბი. ზღვის ვეება კალოზე კომბაინივით მოცურავს სამგზავრო გემი
და წითლად შეღებილ მილიდან ამობოლქვილი გამჭვირვალე, მოიისფერო
ბოლი ზანტად ერწყმის ცის უსასრულობას.

— ადამიანი უნაყოფოდ არ უნდა გადაშენდეს, ძიავე, — იწყებს მოუ-
ლოდნელად აბდულა, ხელისგულებს მუხლისთავებზე იწყობს და განაგრ-
ძობს: — გვარისა და ჯილაგის გამგრძელებელი, კერაზე ცეცხლის გაძჩა-
ლებელი უნდა დარჩეს. მიწას არ უყვარს უნაყოფო ხე...

— თქვენ არ გყავთ შვილი? — ვეკითხები.

— მყავდა... — ამბობს და ვამჩნევ როგორ ექუფრება სახე, იჭმუნის
შუბლს.

— ცხოვრება რთულია, ძიავე, ნამეტანი რთულია. ბევრ სიმწარეს,
ბევრ შხამს გაგემებს იგი, მაგრამ რას იზამ, თუ დაიბადება, კიდევაც უნ-
და იცხოვროს კაცმა, ყოლიფერი უნდა გამოცადოს. მთავარი იცი მაინც

რაა ძიავ? ქელი არ უნდა მოიხარო, არ უნდა დაბეჩავდე, კრიჭაში უნდა ჩა-
ულდე ბედისწერას... თუ კაცმა რწმენა და სინდისი დაკარგა, კამიკია მერე
მისი ფასი... თავი მოგაბეზრე ამდენი ლაპარაკით, არა?

ეპოქის
გამოცემის

— როგორ გეკადრება, — ვეუბნები მე.

— ნუ გამიმტყუნებ ძიავ, ამფერია მარტოხელა კაცი — გამომლაპარა-
კებელი თუ ნახა, ვერ მოისვენებს, ფუთობით ამოყრის სათქმელს... ზღვა-
ზე გინდა წასვლა? თუ გინდა წავიდეთ, დღეს უქმეა და ვისვენებ. ცოდვაა
კვირას მუშაობა... ისე, რას გეტყვი იცი? ზღვაზე ადრე დილით და საღა-
მოს ჯობია წასვლა — მზის ამოსვლამდე და ჩასვლის შემდეგ. შუადღეზე
ბინძურია ზღვა.

— ბინძური? — მიკვირს მე.

— კი, ბინძურია. ამდენი ხალხი ერთად რომ დაიბანს, გაბინძურდება
ძიავ, აბა რა ჯანდაბა დეემართება?

* * *

რამდენიმე საათში ისე შევევთვისეთ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის
დოსტები. მოშუადღევდა. მზის სხივებმა ხეთა ტოტებში გამოაჭყიტა. მო-
კუტუთლი თვალით გახედა აბდულამ მზეს და წამოდგა.

— სადილის დროა უკვე, არ მოგშივდა?

— ისე რა.

— მოგშივდა ესე იგი.

სულ მალე ეზოში ცეცხლი დავანთეთ, თევზი შევწვით
და იქვე ხის ძირას, ჩრდილში გავშალეთ სუფრა. აბდულამ სამბოთლიანი
წყაროში ჩააცივებული ღვინო მოიტანა და თვითვე ითავა თამალობა. ღვი-
ნო ცივი იყო და სასიამოვნო სასმელი. აბდულა ახალ-ახალ სადღეგრძელ-
ოებს იგონებდა და ეს მანამდე გააგრძელა, სანამ ღვინო არ ჩაგველია ხელ-
ში. ადგა და ღვინის მოსატანად დააპირა წასვლა, მაგრამ არ გავუშვი.

— საკმარისია, აბდულ ბიძია.

— მართალი ხარ, ხომ იცი შენ... ზაფხულში, ისიც შუადღეზე, არ ვარ-
გა ბევრის დაღევა.

ღვინო მალე შემიჯდა თავში და თვალებზე ბინდი გადამეკრა. აბდულა
თვალმოუწოვრებლად შემომჩერებია და რატომღაც თავს აკანტუტებს.

— კაი ყაზახი ხარ, ხომ იცი შენ...

— თქვენც კარგი კაცი ხართ.

— მე? რა ვიცი... კაია, თუ კაი ვარ.

— კი, კარგი კაცი ხართ.

მერე აბდულა იხოცავს ცხვირს, დაბინდულ მზერას უშტერებს სივრ-
ცეს და ამბობს:

— რა კაია, რომ ჩამოდი. ძლივს ვნახე ხმის გამცემი, გამოვყრუვდი
მარტო, ბიჭო, გამოვყრუვდი.

- სულ მარტო ცხოვრობთ?
- ზაფხულობით კი. ბავშვები დასასვენებლად მიყავთ.
- ბავშვები?
- კი, აბა! ოთხმოცი ბავშვი მყავს.
- როგორ?
- ბავშვთა სახლში ვმუშაობ მებაღედ და ოთხმოცი ბაღანაა იქ.
- აა!
- აბა რა გეგონა შენ? უსაქმოდ კი არ ვარ, ხუთი ჰექტარი ბაღი მაბა-

რია. ვასწავლი ბაღნებს მცნობას, დარგვას, ბარვას, თოხნას... კაი ბაღნებია, კაი, სიმათლე გითხრა, ყველაფერს მიჯერებენ, ძალიან მიყვარს ისინი, მათაც ვუყვარვარ. ისე არიან შემოჩვეულები, რომ მეტი არ გინდა. მეხვეწენ — აბდულ ბაბუ, წამოდი ჩვენთან, ერთად დავისვენოთო. სულო ცოდვილო, ქე მინდოდა წასვლა, მარა ვერ მივატოვე აქაურობა... თუ გინდა წავიდეთ, ბავშვთა სახლს განახებ.

* * *

მაღე მივადექით ბაროკოს სტილზე ნაგებ სამსართულიან სასახლეს, რომელსაც სამივე სართულზე რთული ორნამენტებით მოჩუქურთმებული ფართო აივანი გასდევს. დაბეტონებულ, მოაჯირიან სახურავზე მაღალი პალმები ჩაურევიათ. პატარა, მოასფალტებული ეზოს შემდეგ იწყება მარადმწვანე მცენარეთა ზღაპრული სილამაზის ხეივანი, სადაც სასიამოვნოდ გრილოდა და მყუდროება გამეფებულიყო. კარგახანს ვიდექი ალტაცებისაგან გაბრუებული, მერე უღვაშების გრესაში გართულ აბდულას მივუბრუნდი და ვკითხე:

— როდის ააგეს ეს სახლი, გახსოვთ?

— როგორ არა. ამ სახლს დიდი ისტორია აქვს, თუ გინდა, მოგიყვები. უსიტყვოდ ვუქნევ თავს.

აბდულა სახლს შესცქერის, თავზე ისვამს ხელის გულს, მერე უზარმაზარ სივრცეს ხაზავს გაშლილი ხელებით და იწყებს:

— ეს ადგილი წინათ ცნობილ მრეწველებს ეკუთვნოდათ. გაღმა მხარე, სადაც ახლა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია, ცნობილ მილიონერს სიბირიაკოვს ეკუთვნოდა. მას კერძო აგარაკები ჰქონდა, სადაც ზაფხულობით ჩამოდიოდნენ მდიდარი დამსვენებლები რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან.

ბავშვობა მოჯამაგირეობაში გავატარე. ოცი წელი რომ შემისრულდა, ნათესავებში დასესხებული ფულით მამაჩემმა სათევზაო ბაღე და ნავი მიყიდა. ვიჭერდი თევზს, ვყიდდი და ასე გამქონდა თავი. ერთხელ, ჩვეულებრივად, ადრე დილით გავედი სათევზაოდ. ხელი მომეცარა და უკან გამოვბრუნდი ხელცარიელი. იმ ადგილას, სადაც ახლა კინოთეატრია, ხალხის

ჯგუფს მოვკარი თვალი, მდიდრულად ეცვათ. ისინი გარს შემოხვედნენ რომელიღაც დედაბერს და რაღაცას უხსნიდნენ და არწმუნებდნენ.

— შენ ეი, მოდი აქ! — მომესმა უეცრად. მივიხედე, ზოგჯერ ვაშა კაცი მიძახოდა. მივუახლოვდი, მან ხელი აქეთკენ გამომიშვირა და იკითხა:

— ზემოთ ვინ ცხოვრობს?

— არავინ, ბატონო!

— შეგიძლია იქ აგვიყვანო? ერთ ოქროს მოგცემთ.

გზას გავუდექით. აქ ამოსვლას ბარე სამ საათს მოვუნდით. ი დედაბერი ყოველ წუთში ისვენებდა, ქოშინებდა და გულზე იკიდებდა ხელს: კაკაია ვისოტა, კაკაია ვისოტაო, სულ ასე გაიძახოდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო ძიავ, ისინი აქ ამოვიყვანე. ამ ადგილის დანახვაზე დედაბერს დაღლაღ დაავიწყდა და ვისატაც. კაკაია პრელესტ, კაკაია პრელესტო, სულ ამას იძახოდა ალტაცებული... მერე იმ ზორზოხა კაცს მიუბრუნდა და უთხრა, ეს ადგილი უნდა ვიყიდო და სასახლე ავაშენო.

ერთი კვირის შემდეგ ეს ადგილი გამოცოცხლდა. უამრავი უმუშევარი მოაწყდა. მეც აქ დავიწყე მუშაობა. ჯერ კოდმე ჩამოვთხარეთ, სასახლის ასაშენებელი მოედანი დავტკეპნეთ, საძირკველი ჩავყარეთ... ზღვის პირიდან ზურგიითა და ურმებით ვეზიდებოდით ხე-ტყეს, ქვას, კირს... ჯოჯოხეთური სამუშაო იყო. დედაბერი ყოველდღე ამოდიოდა მშენებლობის დასათვალიერებლად. რაც არ უნდა მუყაითად გვემუშავა, მაინც არ მოსწონდა. სულ ლენტი და ლენტიაო, გვეძახოდა. მუშების ნახევარმა რუსული არ იცოდა და ეს სიტყვა შექება ეგონათ. შემდეგ შემთხვევით გავიგეთ, რომ ის დედაბერი გრაფინია ყოფილა, ნიკოლოზ მეორის ძიძა.

გრაფინიამ სპეციალურად იტალიიდან ჩამოიყვანა არქიტექტორი სახლის ასაგებად. გვარი არ მახსოვს, სარტონი იყო თუ სარკონი. კაი კაცი იყო იტალიელი არქიტექტორი, მუშები ეცოდებოდა. გრაფინია მაინცა და მაინც არც მას ეხატებოდა გულზე. ერთხელ, როცა მესამე სართულის კარნიზებს ვდგამდით, ერთ-ერთ მუშას ფეხი დაუცდა, გადმოვარდა და მოკვდა. მახსოვს ქალივით ტიროდა არქიტექტორი, მერე იმდენი უჩიჩინა გრაფინიას, რომ მისი ცოლშვილისათვის ფული მიაცემინა... ერთი წლის შემდეგ, როცა ამ მშენებლობას ხუთი კაცი შეეწირა, სასახლე მზად იყო. გრაფინიამ ბლადოჩინი და ხუთი მღვდელი მოიწვია, სასახლე აკურთხებინა და მერე გადმოსახლდა თავისი მრავალრიცხოვანი მოსამსახურეებითა და ფარეშებით. მეც მასთან დავრჩი მოსამსახურედ.

ღრდი კონწარი და გაუტანელი ქალი იყო გრაფინია, საშინლად ჭირვეული. უბრალო რამეზე სასტიკად სჯიდა მოსამსახურეებს. ორ კაცს ამ ხეივნის დასუფთავება ევალებოდა. ერთი ფოთოლიც რომ შეენიშნა გრაფინიას ხის ძირას, ვაი მათი ბრალი. ზაფხულობით უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა გრაფინიასთან. მათი გამასპინძლებით წელი ჰქონდათ მოწყვეტილი

მოსამსახურეებს. მაინც რამდენს ჭამდნენ, ჭოვ, ის ოხრები, ღორებიც თქველედნენ ყოლიფერს. სასახლის სახურავზე გამუდმებით, დღე და ღამე სუფრა იყო გაწყობილი. დღე და ღამე გრძელდებოდა ქეიფი. ~~სახურავზე~~ ^{სახურავზე} კაბაში გამოწყობილი ქალები და დეზებიანი ჰუსარები ცეკვავდნენ ~~სახურავზე~~ ^{სახურავზე} რკას. წყალივით იღვრებოდა შამპანური და ძვირფასი ღვინოები.

ბაღში ვერავინ შეიჭაჭანებდა უნებართვოდ. უშვილძირო გრაფინია და მისი მუდმივი სტუმარი — ზორზოხა გენერალი განსაკუთრებით ვერ იტანდნენ ბავშვებს. ბებერ გენერალს ბავშვის დანახვაზე სიბრაზისაგან თავბრუ ეხვეოდა და შუაზე რომ გაეგლიჯა, გული არ მოუშლიდა. გამოსდებდა ხელკავს ბებერი გენერალი გადაყრუებულ გრაფინიას და საათობით სეირნობდნენ ბაღში. ერთ დღეს, ისინი ჩვეულებრივ გაემართნენ სასეირნოდ. შემოდგომა იყო, მწიფობდა მსხალი და ატამი, ყურძენი. მოულოდნელად გენერლის ყვირილმა და გრაფინიას წივილმა შეძრა აქაურობა.

ეს უპატრონოები გველებმა ხომ არ დაგესლა-მეთქი, გავიფიქრე და ამბის გასაგებად გავვარდი. იქ ასეთ სურათს წავაწყდი: გრაფინია ხეზე მისვენებულიყო, თვალები დაეხუჭა და კვნესოდა. ბებერ გენერალს კი ჯოხი ეჭირა ხელში და ქოშინით დასდევდა პატარა ბიჭს, რომელსაც გაქცევა ვერ მოეხერხებინა და აქეთ-იქით აწყდებოდა შეშინებული. თურმე გრაფინიამ და გენერალმა იმ დროს წაასწრეს მას, როცა იგი ძირს ჩამოყრილ ჭიან მსხალს კრეფდა.

— დამიჭირე ის მაიმუნი და აქ მომგვარე! — მიბრძანა გენერალმა.

ბიჭი დავიჭირე და გენერალს მივგვარე. მან ჯერ წკებლით სცემა საცოდავ ბიჭს, მერე კი ქამრით მიაკრა ხეზე და კისერზე დაფა ჩამოჰკიდა წარწერით: „მე ქურდი ვარ, ვიპარავდი.“ საცოდავი ბიჭი ტიროდა, გრაფინია და გენერალი კი, ვითომცდა დიდი საქმე გავაკეთეთო, კმაყოფილი ხითხითებდნენ. საშინლად შემჯავრდა ორივე.

სამი წლის სამსახურის შემდეგ გრაფინიამ ამაგი „დამიფასა“, მიწის პატარა ნაკვეთი დამითმო. მიწის ფასი თანდათანობით უნდა გადაეხადა. ჩავდგი ფიცრული სახლი და დავიწყეთ ცხოვრება მე და ჩემმა ქალმა. ერთი ბალანა გვყავდა, თავზე ვევლებოდით ორივე.

ერთხელ, საღამოს, გრაფინია რატომღაც მარტო გავიდა ბაღში სასეირნოდ და მერე აღარ გვინახავს იგი. სამი დღის განმავლობაში ვეძებდით, მეოთხე დღეს მივაგენით — ჭაში ენახეთ ჩამბრჩეალი. როგორ ჩავარდა, ვინ ჩააგდო, დღემდე არაფერი ვიცით. გრაფინია რუსეთში გადაასვენეს. ჩვენ კი ორი თვის განმავლობაში გვაწვალეს დაკითხვებითა და გამოძიებით, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ვიდაც ხომ უნდა დაედანაშაულებინათ მაინც და ერთი მოსამსახურე, საწყალი ბიჭი, რომელიც ორ სიტყვას ვერ აბამდა ერთმანეთზე, აწიეს და ციმბირში გადაკარგეს.

ზორზოხა გენერალმა ძალიან განიცადა გრაფინიას სიკვდილი — გზითაყვანებული დადიოდა, ყველას ეჭვის თვალით შესცქეროდა. მთელი დღის განმავლობაში ბოლთას სცემდა ბაღში ზურგზე ხელზე მჯდომი ილი და თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას. ერთ დღეს საცვლებს ამაღა, ხმლით ხელში გამოვარდა საძინებელი ოთახიდან, მესამე სართულის აივანზე გადმოდგა და დასჭყვილა: — მტერი გვიახლოვდება, მოემზადეთ! ცეცხლი ბომბარდირებო!!! და ხმალი მოიქნია. მერე კიბეები ჩამოირბინა და შემართული ხმლით გამოენთო მოსამსახურეებს. დავიჭირეთ, ხმალი წავართვით, შევკარით და საგიჟეში წავათრიეთ.

* * *

მზე დასავლეთისაკენ იხრება. ზღვა ოქროსფრად ბრჭყვიალებს. ნიავე ჰქრის და მის ფრთებზე ჩუმად ასრულებენ სასახლის ეზოში მოღალატე ყვავილები იდუმალ სიმფონიას.

— რამხელა დღეა, — ამბობს აბდულა და მუხლებზე ხელებდაბჯენით დგება, — ეხ, გლახა ყოფილა სიბერე, გლახა. მეგონა, ყოველთვის ახალგაზრდა ვიქნებოდი, არასოდეს დავბერდებოდი.

— რა დროს სიბერეა, — ვამშვიდებ ჩემებურად.

— დამამშვიდე, დამამშვიდე, ჰო.

მეცინება.

— წავიდეთ ახლა სახლში.

მივდივართ... აბდულა ფანჯარას აღებს, სინათლეს ანთებს, მერე გაზეთის შეკვრას მაწვდის, რომელიც ჰიშკრის მესერზე დაეტოვებინა ფოსტალიონს.

— წამიკითხე ერთი, რა წერია მაგაში, — მთხოვს იგი, — მეც ქე წავიკითხავდი, მარა შენ აგერ მყავხარ და თვალებს დავასვენებ.

ვუკითხავ...

— დაიცა, დაიცა, — მაჩერებს იგი, — მაი რაცხა ვერ გავიგე, რაის მაგალით?

— მთვარემაგალი, — ვუთხარი მე.

— მთვარეზე დადის, კაცო?

— დადის.

— უყურე შენ! — ქე მოვკარი ამასწინათ ყური რადიოში, მარა არ მიმიტანებია მაინცდამაინც ყურადღება. ჩვენებმა გაუშვეს ხომ?

— ჩვენებმა...

— უყურე შენ! როგორ განვითარდა ტექნიკა... მაი რაა, შენ ტელევიზორი ნახე, საცხა, ცხრა მთას იქით რაცხა ხდება, შენ კი ზიხარ თბილად. შენთვის და ყოლიფერს ხედავ... არა, არა, პირდაპირ სასწაულია, აბა რა ჯანდაბაა? მერე, მერე? რას შობა მაი მთვარემაგალი? წაიკითხე ერთი თუ კაცი ხარ.

კითხვას განვაგრძობ, ვამთავრებ და მერე წაკითხულის გარშემო ვმსჯელობთ.



— აიღებს სინჯს, არა? — მეკითხება აბდულა.

— ჰო, აიღებს.

— მერე ჩვენთან ჩამოიტანს დედამიწაზე?

— ჩამოიტანს...

— ძალიან კაი, მარა მაი სინჯი რაღაა კაცო, ა?

ვუხსნი.

— როგორი განათლებული ყოფილხარ, — უკვირს აბდულას, მერე ღუმს და მეკითხება ისევ: — მთვარეზე წყალია?

— არა.

— არც ხეებია?

— არა.

— არც სიცოცხლეა და არც ჰაერი.

— სწორი ხარ.

— აბა რა ჯანდაბად გვინდა ი სინჯი, კაცო?

— სინჯი, ძია აბდულ... — ვუხსნი, თუ რისთვისაა საჭირო მთვარის

გამოკვლევა.

— ჰოო... — მთქნარებასავით აგრძელებს და საუბარი მთვარიდან დედამიწაზე ჩამოაქვს.

გვიან ღამემდე ვისაუბრეთ. თვალები მებლიტება, მაგრამ აბდულა უეხაზმოდ არ მაძინებს. თურმე, იმ ჩაის მოტრფიალე პროფესორის წერილში ეწერა, ჩაი მარტო დილით კი არაა სასარგებლო, ღამითაც. ესვამთ ჩაის და ესაუბრობთ, უფრო სწორად, აბდულა ლაპარაკობს, მე სანახევროდ მესმის მისი. არც მოსმენის თავი მაქვს და არც ლაპარაკის. ექვანივით მოუღრიალე კედლის საათმა ღამის პირველი ჩამოკრა, როცა დავწეკით. დავწეკი, მაგრამ არ დამეძინა, არც აბდულას დაეძინა და კარგახანს მესმოდა საწოლის ჭრიალი, მთქნარება და ბუტბუტი. მერე, როგორც იქნა, ბირდაბირის ხმაზე ამღერდა აბდულა და ამ ხვრინვაში ჩამეძინა კიდეც.

* * *

აღიონზე გამაღვიძა აბდულამ.

— ადე, შე ზარმაცო, ჩაიცვი და ზღვაზე წავიდეთ.

დაძინების მეტი არაფერი მინდოდა, მაგრამ ბერიკაცს ხათრი ვერ ვუტუტებე. ავდექი და ჩაეიცვი. უხმოდ დავეშვიტე ბილიკზე. როცა ჩავივალკეთ, აბდულა მომიბრუნდა და მითხრა:

— ზღვიდან რომ დავბრუნდებით, ვისაუხმებთ.

— კარგი.

მერე ზღვამდე ისე მივედი, არცერთს არ გავვიღია ხმა. ზღვა

ჩვეულებრივ წყნარი იყო, ნაპირი უკაცრიელი. მზე ჯერ არ ამოსულიყო და ციოდა. აბდულა ზღვაში შეჭრილ ხავსიან ლოდზე აფოფხდა, დავდბ, ფეხები გაჩაჩხა და ანკესი ისროლა.

— რას უყურებ, დაიძინე? — დამიძახა, როცა პირველი თევზი დაიჭირა და ალტაცებით გამოხატა მონადირის სიხარული.

— სიცივეა. — ვუთხარი მე.

— არაფერია, დაიბანე.

დავუჯერე. წყალი ყინულისვით ცივი იყო. იხვივით ჩავიყურებულავე, ცოტა გავცურე და ცოტათი შევთბი.

— შორს არ წახვიდე, ზღვა უნდოა, ძიავე! — დამიძახა აბდულამ.

არ დავუჯერე ბერიკაცს და საკმაო მანძილით დავშორდი, ნაპირს... მერე ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. შევატყვე რომ ველარ ვცურავდი, შემეშინდა და ზღარბის ეკლებივით ამიბურძენა სველი თმები შიშმა.

— აბდულ! — ვიყვირე მე.

ბერიკაცმა ჩემი ძახილი გაიგონა, ფეხზე წამოიჭრა და ტანსაცმლიანად გადაეშვა ზღვაში.

— გაუძელი ძიავე, გაუძელი, — მიყვიროდა იგი და დელფინივით მოაპობდა წყალს.

სანამ აბდულა მოვიდოდა ჩემამდე, ბევრი წყალი ვცლაპე. ერთხელ კიდევ დავიყვირე და მერე არაფერი მახსოვს... გონს რომ მოვედი, ნაპირზე ვიწექი. აბდულას მკლავები აეკარწახებინა და მასაუებს მიკეთებდა. როცა თვალი გავახილე, სიხარულისაგან გაიკრიჭა, ხელგასმით მოიწმინდა შუბლზე დაცვარული ოფლი და მკითხა:

— როგორ ხარ?

— არა მიშავს: ძარღვი გამესკვნა...

— ვიცი. ქინძისთავი უნდა წაიღო, იჩხვლეტ და მორჩა... აფერია, ქორწილამდე დაგავიწყდება, ადექი, ჩაიცვი ტანზე.

ჩავეცვი. აბდულამ ის ერთადერთი ნადავლი თევზი ჩააგდო აბგაში და მდუმარედ გავემართეთ სახლისაკენ.

— როგორ კარგად ცურავთ, აბდულ ბიძია, — ვუთხარი, როცა სახლს მივუახლოვდით.

— ცურვა კი ვიცი, მარა, რა გინდა შენ, ამ სიბერეში მიჭირს. მაშველი ვიყავი მთელი ოცი წელი, აბა! როცა თექვსმეტი წლის ერთადერთი ბიჭი დამეხრჩო ზღვაში, მაშინ გადავწყვიტე, მაშველად მემუშავა და გადამერჩინა ყველა წყალწაღებული... ეხ, ძნელია ზღვასთან ჭიდილი, ძნელი, ყველას კი არ შეუძლია იგი.

* * *

თვალსა და ხელშუა გარბის დრო. დილა-სალამოს ზღვაზე დავდივართ. მე ებანაობ, აბდულა თევზაობს და დროგამოშვებით გამომძახებს:

- ქინძისთავი წამოიღე, ბიჭო?
 — წამოვიღე.
 — ჰოდა, იჩხვლიტე ხანდახან.
 მეციგება.

* * *

— კაი კაცია ბავშვთა სახლის დირექტორი, — მითხრა ერთ დღეს აბდულამ, — საკუთარი შვილებივით უყვარს ბავშვები და ბავშვებსაც უყვართ იგი. ცუდი კაცი ბავშვს ვერ შეიყვარებს, იცოდე შენ. იცი რა უნდა დავიბარო ანდერძივით? როცა მოვკვდები, ნუ წამიღებენ სასაფლაოზე, სადმე ამ არემარეზე დამმარხოვნ, აქ, ბავშვებთან, ყვავილებთან, მინდა ყოველდღე იარონ ჩემს სამარეზე.

* * *

მარტის თოვლივით მეღვრა ხელში დღეები და აჰა, უკვე ჩემი წასვლის დროც დგება. ისევ ვაწყობ ჩემოდანში ტანსაცმელს, მერე ჯიბიდან ფულს ვიღებ და აბდულას ვაწვდი.

— რაია მაგი? — მეკითხება გაოცებული.

— ბინისა და საჭმლის ფული, — ვუხსნი მე.

— მაგი არ გამაგონო, თვარა მეწყინება. ისე წაიძიავ, თავი არ შემომალახო. მე მასპინძელი ვიყავი, შენ — სტუმარი, მორჩა და გათავდა... შენ იგი მითხარი, გაისად ჩამოხვალ?

— ჩამოვალ, — ვპირდები მე, — ჩამოვალ ძია აბდულ.

აბდულას უხარია. საიდანღაც სახატავ ალბომს მოათრევს და მთხოვს ჩემი მისამართი დავუწერო. ოღონდ დიდრონი ასოებით.

მერე მივდივარ და აბდულა მაცილებს. უკვე ვაგონის ფანჯარასთან ვდგავარ და ვუცქერი ბაქანზე მდგარ აბდულას.

— გაისად აუცილებლად ჩამოდი იცოდე, — მეუბნება, — „ძიგარას“ აბოლებს და წყვეტილ-წყვეტილ ახველებს — ალბათ უკმაყოფილო ხარ, კარგად ვერ დაისვენე.

— ჩამოვალ, — ვპირდები ისევ, — ჩამოვალ.

მერე ზარი შემოჰყრეს.

— მშვიდობით, ძია აბდულ!

— ნახვამდის, — მისწორებს იგი.


მატარებელი თანდათანობით უმატებს სიჩქარეს. უკან რჩება ბაქანი და ბაქანზე მდგარი აბდულა. კიდევ ცოტა და უკვე აღარაფერი მჩიანს.



ერთი თვის შემდეგ იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ეს ამბავი მთხვევით გავიგე გაზეთიდან. ერთ დროს უბადლო მამველი, ასობით სიცოცხლის გადამრჩენელი, ბოლოს მაინც დაემარცხებინა ზღვას. ზღვასთან ჭიდილში ვაჟკაცურად დაღუპულიყო იგი — ბავშვი გადაერჩინა დახრჩობას, თავად კი დაღუპულიყო ნაპირიდან ერთი მეტრის დაშორებით. გულს ელაღატა მისთვის.

მერე მე მოვინახულე მისი საფლავი. იგი კორდზე მარხია, ყვავილებით დაფარულ კორდზე, იმ მაგნოლიის ძირში, თვითონ რომ დარგო. საფლავზე ცოცხალი ყვავილების თაიგული დევს. ზუზუნებს ფუტკარი და ხმიანობენ ბავშვები.

მეტი ხომ მასაც არაფერი სურდა.



რესპუბლიკის დროშა

ეს ჩანჩქერების გრიალი არის,
თუ მეხთათების ექო გაისმის?!
მორბის ჭოროხი,
ჩქაფანებს მტკვარი,
ვალაღებული მოჰქუხს მაისი!

თოვლის ნაბადი გადიგდეს მთებმა,
არის ვარდების ცეცხლის ბრიალი.
ისმის სიმღერა —
მზის ქებათ-ქება
ნაპერწყლიანი,
მერცხლისფრთიანი.

ისმის ლილეო,
მთების მაყრული,
ისმის გმირების სადიდებელი
და ჭაბუკურად ყელშემართული
მედგრად გუგუნებს ქართლი ბებერი.

ქართლი —
უთვალავ გრიგალს შეხლილი,
მოჭირნახულე ამაყი ქართლი,
ხმალდაკრული და გაუტეხელი,
ყელამდე სავსე კაცური მადლით.

ქართველი კაცი — მუდამ კეთილი,
მაინც ნიადაგ იყო მტრიანი,
მაგრამ არასდროს არ შეწყვეტილა
მისი ამაყი დროშის ფრიალი.

დედა თამარის ღიმილი ახლდა
და მიწის მტვერი ველარ ფარავდა,
აღმართულს მტკვართან —
თბილისის კართან
ახსოვს კრწანისი,
ახსოვს მარაბდა.

ერეკლეს ახლდა არწივის ფრთითა,
გმირის მარჯვენას ბევრჯერ სჭერიდა.
ფიცხელ ბრძოლაში ხმალივით ჭრიდა,
რამდენი ურდო მოიგერია!

ცხრა ძმა იცავდა ხერხეულიძე,
ცხრანივე მოჰკლა, მტერმა ტიალმა.
გასათელავად მომხდურს არ მისცა
და დროშა დედამ ააფრიალა.

ძირს დაუხრელი, ომგადახდილი
ძლევამოსილად მოვიდა ასე
და თებერვალში განთიადივით
ისევ იელვა თბილისის ცაზე.

ისევ აყდერდა მთაში და ველად
ჩვენი სიმღერა,
ჩვენი ფანდური,
ჩვენი ქართული, ჩვენი ხორუმი,
ჩვენი გალობა იავარდული.

და საქართველო მკლავდაკართული
დგას საოცნებო დღეთა მშენებლად
და მაღლიანი შრომით გართული
გულით შეჭხარის მიწის მშვენებას

გულით შეჭხარის იმ დროშის ფრიალს,
მაისის შუქად ცას რომ უხდება.
საქართველოსაც მაისი ჰქვია
და ფერი მისი არ გახუნდება!

და დროშა მისი ანათებს შარას,
მაგისტრალებს და მთათა ბილიკებს.

მას გაუხუენარს მარად და მარად
მშრომელი ხალხი ჯილდოდ ირიგებს.



იგი ეკუთვნის კოსმოსის გმირებს
და ვარსკვლავეთში იმედად მიაქვთ.
იგი ეკუთვნის გულადს და პირველს,
ვისაც გამრჯე და კაი ყმა ჰქვია;

ვისაც გული და მარჯვენა ერჩის,
ვინც იცის ბრძოლა და ჭირთა **თმენა**
ეკუთვნის ხომალდს,
ეკუთვნის ჯეჯილს,
ფორთოხლის ბალებს,
მტევნიან ვენახს.

იგი მგოსანს და მხატვარს ეკუთვნის,
იგი ეკუთვნის მჭედელს, მე**შახტეს**,
ჩაის ოსტატებს,
მეზვრეს,
მეგუთნეს,
რომ მწვერვალების ძლევად **ეძახდეს**.

მის ნათებაში დიდი დღე **მოჩანს**,
მისთვის, ვინც შრომობს **მართლაც** კაცურად
და რესპუბლიკის ფრიალებს **დროშა**
გამარჯვებათა დიდთა დასტურად!



* * *

ვარსკვლავებივით მის გულ-მკერდზე ცვივიან წლები
და ის წინწკალი მომცა ნეტავ, მეტი არც მინდა.
მე ჟინიანად ვიმეორებ (თითქოს და ვწყურები...)
ჩვენი ტკივილი,
ჩვენი სიხარული,
ჩვენი სიცოცხლე მთაწმინდა.

სულში დედაა...
შენ დიდება ქართველის დედაო!
ოქროს კონები ალიცლიცებს ღვთიურს მის უბეს...
ჟამი ვერ გამოლევს, შენს ტრფობაში რაგინდ მედავოს,
მუდამ ვიგალობებ:
მიყვარს ჩემი მცხეთა,
მიყვარს ჩემი დიდუბე!

იქით მივფრინავ ალტყინებით, სულმა წამძლია,
არ ვარ მშიშარა, ვერ დამაფრთხობს გზად ქარიშხალი.
როგორ იქნება არ მიყვარდეს ჩემი ვარძია,
სვეტიცხოველი...
ნამცეცები ჩემი იშხანის!

როგორ იქნება არ მიყვარდეს ჩემი საჩხერე,
ფშავი, კრწანისი, წიწამური, ჩემი ყვარელი,
გული მაძალებს, აღზევებულს გულს ვერ ვაჩერებ,
ამირჩევია გზა ზღვისფერი, გზა საყვარელი.

ეს გზა საით მიდის

ეს გზა საით მიდის,
წინ რომ კანდელს მინთებს?
იქ, სიცოცხლის მთებში,
სადაც ღვიძავს მითებს,
გადაღლილი ვიყავ,
რა მიმაფრენს ზევით,
ნეტავ რად ვერ ვძლები
იმ კლდეებზე მზერიტ?!
ზმანებაა ტკბილი,
მაღლა მიწვევს მზე ვით...
ვინ აბოლებს ჩიბუხს?
ცად წერს კვამლით წერილს.
ეს ვინ არის ნეტავ?
სიყვარულით მწყევლის,
ხელგაშლილი მხედება
ციურ ლოცვით მწველით...
აიშართა ჩემს წინ
მთის წერწეტა წვერი,
ფიქრი, მწველი ფიქრი,
თვალებს ტკბილად ეხუჭავ,
ჩემი გული მიჰქრის,
მისდევს გზას ხუტუჭას.
ეს გზა საით მიდის,
წინ რომ მინთებს კანდელს?
იქ, სიცოცხლის მთებში,
სადაც დავიბადე.

გიორგი სანაღიძე

მ თ ს

მოთხრობა პირველი

პატარა ხემიდს ძილის წინ დედა უმღეროდა ხოლმე. ხემიდს კარგად ახსოვდა დედის ნანა. ქარის შხუილის მსგავსი — ყავარზე მოწკაბუნე წვიმიტა და ხმელი ფოთლების შიშინით შეზავებული. დედა კი არ უმღეროდა, არამედ ქათმის ფრთას ყურის ბიბილოებზე უსვამდა თითქოს. ბიჭი, ვიდრე უძლებდა ხიცინს, იშმუშნებოდა, იღიმებოდა, მერე უცებ აკირკიცდებოდა, და როცა აკირკიცდებოდა, მთელი სახლიც ერთბაშად განათდებოდა.

ერთ ღამეს დედას აღარ უმღერია. ხემიდმა დიდხანს იტირა. მერე დალილს დაეძინა და როცა გაეღვიძა, მამა დაინახა. მამას ნაღვლიანი სახე ჰქონდა. ბიჭს კარგად დაამახსოვრდა ეს სახე — აწითლებული თვალები, დაღურჯებული უბეები, შუბლზე დაბურცული ძარღვი... ბიჭმა წამოიწია, მიმოიხედა. დედა ვერსად დაინახა — სახლი დაცარიელდა.

— ნენე სადაა? — იკითხა.

— არ ვიცი, — უთხრა მამამ.

— სადაა ჩემი ნენე? — მეზობელ-მეზობელ დადიოდა ხემიდი.

არავინ იცოდა, სად იყო მისი ნენე.

ბოლოს, ვიღაცას შეეცოდა. — „ტყუილად ეძებ დედაშენს. ქარმა წაიღო დედაშენი“.

როცა ხეობიდან ქარი ქროდა, დიდი, ხორკლიანი ქარი, ხემიდს ეჩვენებოდა, ქარი სადღაც ექაჩებოდა, — თავისკენ უხმობდა, უწეწდა თმას, უძვრებოდა საყელოში, თვალებზე აფარებდა ხელს... თითქოს ყურის ბიბილოზე ქათმის ფრთას უსვამდა ვიღაც. ალბათ ამიტომ, ეს ქარი დედის სიმღერას აგონებდა.

მერე მეზობლის პატარა ბიჭი რეჯები წაიყვანა ქარმა. რეჯებს ხემიდის და ნაილე მიჰყვა... სოფელს უცნაურმა ავადმყოფობამ დარია ხელი. შეშინდა სოფელი. გვიმრის მყრალი კვამლითა და ხოჯას მოცემული ნუსხით ცდილობდა ამ უცნაური ავადმყოფობის განდევნას. ამაოდ. ავადმ-

ყოფობა ყოველთვის მოულოდნელად წამოეპარებოდათ ხოლმე — ტახი-ფერდას სათიბში მიმავალ ასლან ბუძას დაუდო ფეხი, მოცელა მჭიდროდ ენვერ მალქვადე, ხოლო სოფლის ბოლოს მდგარი შიმშიანძის სახლი უშა-ტრონოდ დასტოვა.

სასაფლაოსაკენ მიმავალი გზა ხემიდის სახლს ბარე ერთი ვერსით მაინც უვლიდა გვერდს. ბიჭი ხშირად უყურებდა ამ გზას. და როცა თავ-ჩაქინდრულ, უბრაღ მიმავალ ხალხს დაინახავდა, მაშინვე ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე.

— ქარია? — ჰკითხავდა მამას.

— ჰო, შეილო, ქარია. — ეტყოდა მამა.

— ცუდი ქარია, — დედა გაახსენდებოდა ბიჭს.

— ჰო, ცუდი ქარია, — თავზე გადაუსვამდა ხელს მამა. მამას ხეშე-ში, მძიმე ხელი ჰქონდა. — აქედან უნდა წავიდეთ. მეშინია, ქარმა არ წამართვას შენი თავი.

მაგრამ მერე ქარი შეწყდა და როცა ბიჭმა ეზო-ეზო ჩამოიარა, გა-ოცებული დარჩა, სოფელი თითქმის დაცარიელებულიყო.

— კუზიან მთაზე წასვლის დროა. — უთხრა ერთ ღღეს სტუმრად მოსულ ყეღირას მამამ. — ოსმან-ალა სამუშაოდ მეძახის. კარგ გასამრჯე-ლოსაც დამპირდა.

— ძნელი დროა, — ამოიოხრა ყეღირამ. — ვინც ავადმყოფობას გადურჩა, შიმშილს ვერ გადურჩება. ასეა აი!

— წავიდოდი, მარა ბიჭს რა ვუყო? — დაიწყო მამამ.

— მე წავიყვან. ჩემთან იცხოვრებს. შენც იცხოვრე. სამივე უფრო კარგად ვიცხოვრებთ. რა ძნელი გადასაწყვეტი ეგ არის? — ხეშიდმა ყეღირას შეხედა. ხემიდს ძალიან უნდოდა ბიძასთან ყოფნა. კიდეც უფრო მიეკრა, და როცა მიეკრა, ყეღირას ერთადერთ თვალში უცნაური ნა-პერწყალი აინთო.

იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა. მამამ ყეღირას ძველ სახლს ლამფები გამოუცვალა, მაგრამ მაინც ეშინოდა. სახურავის ჩამონგრევისა ეშინოდა. ყეღირას მასავით ძველი სახლი ჰქონდა. მოუხერხებელი, მაგრამ რაღაც-ნაირად მყუდრო და თბილი. უცნაური იყო — ამ სახლში ხემიდს აღარ დასიზმრებია დედა. არც ქარი დასიზმრებია. როცა მამა ოსმან-ალას საქონელს გაჰყვდა კუზიან მთაზე, მთელი ღღეები ბიძის გვერდით იჯდა. ყეღირა, მართალია, ცალი თვალით უყურებდა ქვეყანას, მაგრამ ორი ხელი და დანის ხმარების საოცარი ნიჭი ჰქონდა. ამ ხელებითა და დანით მას ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ციგა მოუწონდა ხემიდს? ა, ბატონო, ციგა: კაკანათი მოუწონდა? ა, ბატონო, კაკანათი. ერთი სიტყვით, ხემიდს იმდენი სათამაშო ჰქონდა, ოსმან-ალას ბაღიშებს მოსვენება დაეკარგათ: — „ფეხბურღდა მამუდას ბაღვის როგორ უნდა დაგვხარბდესო“. ისინი ხემი-დთან ერთად დარბოდნენ ტყეში, იჭერდნენ წვერას, უსაფრთებოდნენ

კურდღელს, აწყობდნენ წისქვილს. მათ მუდამ კარგად ეცვათ — ქალაქიდან ამოტანილი წულები, ლამაზი, ყვავილებიანი პერანგები და ბოროტულისფერი ახალუხები. მოსირმულ ქამარზე კი პაწია ბებუთებზე დაწვენილი ხემიდს არასოდეს შეხარბებია მათი.

ერთ დღეს ყედირამ თქვა: — გული არაფერზე მიდგება. ეტყობა, ჩემს ხელებს უფრო კარგი რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. ხის მოცეკვავე კაცუნებზე რას იტყვი, ა? — მიუბრუნდა ხემიდს. ხემიდმა კი გაოცებისაგან პირი გააღო და როცა დამუწა, ბიძამისი უკვე შორს იყო — ონტოროთის ტყისაკენ მიჩაყუნებდა. ცალი ხელით ჯოხს იბიჯებდა, ცალში კი ჩიბუხი ეჭირა.

ერთადერთი თვალი მაქვს და ძილის დროს იმ თვალსაც ვერ ვხეუ-
ვ. სინამდვილეში კი სახლის უკანა ერდოს ჩრდილი დაეცემოდა თუ არა,
ბერიკატი უკვე ლოგინში ნებივრობდა, და თავს მაშინ წამოსწყედა მუთა-
ქიდან, როცა კარგად განათებულ ქვეყანას ერთი პირი საქმე მოთავებუ-
ლი ჰქონდა. წამოიწეოდა, გადმოიხრებოდა მისთვის საგანგებოდ გაკეთ-
ებული ტახტიდან. ჯერ ცალ ფეხს გადმოდგამდა — იატაკზე დათვის ტყავი
ეფინა, — მერე მეორეს, — და როცა გასწორდებოდა, სახსრები საშინელ
ტაკანს დაიწყებდნენ. ყედირა მუდამ გოაცებული აყურადებდა ამ ტა-
კანს. ბოლოს ამოიოხრებდა:

ბერიკაცის აღგომამდე ხემიდი მთელ იმ კუთხე-არემარეს შემოირბენდა. გვარიანადაც დაიღლებოდა და კერიის პირას დამჯდარი ოჯინჯალზე ჩამოკიდებული კარდლის ბუყბუყს უსმენდა, ანდა ხის ნაჭერს აწვალებდა — კოვზის გამოთლას ცდილობდა, მაგრამ დანა არ ემორჩილებოდა.

რაც მართალი მართალია, ყედირას სიზმრების მოყოლა უყვარდა! მაგრამ საოცარი ის იყო, სიზმრებში მუდამ ერთსადაიმავეს ხედავდა — მდინარეში მობანავე (ფუთი ეშმაკს!) ქალიშვილებს და თოვლში სასიკვდილოდ დაკოდილ დათვს (რა თქმა უნდა, ყედირას თოფით დაკოდილს!).

— თვითონაც არ ვიცი, — მხრებს აიწურავდა ბერიკაცი, — ალბათ, ცალი თვალით რომ ვეყურებ ქვეყანას, იმიტომ.



ისაუზმებდნენ. კარგად დანაყრდებოდნენ და ყედირა ცეცხლს უკეთებდა. ხეშიდის გვერდით ჩაცუტყდებოდა. რაც ყედირა ამ უცნაურ სიტუაციაში ცილო კაცუნებს თლიდა, ხეშიდს ორი კბილი ჩამოსძვრა და ორი მხარე ამოუვიდა სანახევროდ.

— და ეს კაცუნები იცეკვებენ? — ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა მოხუც ბიძას.

— უნდა იცეკვონ, — ვინ იცის, მერამდენედ პასუხობდა ბიძა.
„მაბეჩებს, — ფიქრობდა ბიჭი, — ხის კაცუნების ცეკვა ვის გაუგია?“
ყედირას გაეგო. ონტოროთის ტყეში წასვლამდე, სიზმარი ნახა. სიზმარში ხის გრძელ მერხზე ჩამოწკაპული კაცუნები ნახა. თითს გამოკრავდი — წამოიწეოდნენ, ხელებს გაშლიდნენ, — თითს გაუშვებდი — უცებვე განლაგდებოდნენ თავთავიანთ ადგილებზე.

გარეთ კი სულ უფრო და უფრო მატულობდა თოვლი. დაიყურსა ქვეყანა, თეთრ ზეწარში ჩაიმალა. ჰოდა, სწორედ ასეთ ამინდში გამოვიდა ოსმან-ალა სანადიროდ. ოსმან-ალას ძაღლებმა ტახები წამოჰყარეს ნაწის-ქვილარის ღელეში. ესროლა ოსმან-ალამ — დააცილა. ესროლეს მისმა ახმახმა შვილებმა, — იმათაც დააცილეს. მაშინ სამად გაიყვნენ და ფერ-ღობს შემოარტყეს ალყა.

სროლაზე ხეშიდმა გარეთ გაიხედა.

— რა ამბავია, ჰა? — ჰკითხა ყედირამ.

— ვიღაცები ჩვენსკენ მოდიან.

— ოსმან-ალა იქნება. ამ თოვლში მაგას თუ ეხალისება თოფის სროლა! — თქვა ყედირამ და თავის კაცუნებს მიუბრუნდა. „ცოტაც და დავამთავრებ, — ფიქრობდა იგი, — აი, გაუხარდება ხეშიდს!“.

ოსმან-ალა პანტის ძირას ჩასაფრდა. ტახს დაუდარაჯდა. სად იყო და სად არა, უცებ ტახი გამოუხტა. საოცრად დიდი ტახი იყო. ესროლა ალამ. მაგრამ ეტყობა, ამჯერადაც არ გამოუვიდა მიზანი — დაჭრა მხოლოდ. გამწარდა ტახი. გამოქანდა. ბებერ პანტას შეასკდა ეშვებით. ქერქი გადააშპო და მასაც გაშპა სული.

ფერდაკარგულმა, შიშნაჰამმა ალამ ყედირას სახლს გაუხედა. — კვამლი დაინახა. ერთიანად სველი იყო, კარგი იქნება თუ ცოტას მოვშრებოი, იფიქრა.

ხოლო ვიდრე ოსმან-ალა თავისი მრუდე ფეხებით ყედირას სახლისაკენ მიიბიჯებდა, მოხუცი ყედირა თავისი მშვიდი, თამბაქოს წვეისაგან ჩახლეჩილი ხმით ეუბნებოდა ხეშიდს: — თუ დანას იმორჩილებ, ხე საოცარი რამაა, ძიავ. ყველას გონია, რომ ხისაგან არ შეიძლება სიხარულის გამოთლა. მე კი ერთი შემოდგომა და ერთი ზამთარი ვიწვალე, რვა კვერცხი თუთუნი დაეფუტე და აგერ ა, მგონი მოვრჩი საქმეს. და იცოცხლის ვიწვალე? შენთვის.

მოხუცმა თავისი კორძიანი თითი მიუახლოვა ხის გრძელ მერხზე დასკუბულ კაცუნებს. ძლივს შესამჩნევ ღილაკს გამოჰკრა და სასწაული მოხდა — კაცუნები წამოდგნენ, ხელები გაშალეს და ისევ ადგილებზე განლაგდნენ.

ხემიდს სუნთქვა შეეკრა. ყედირამ ახლა ჩქარ-ჩქარა გამოკრა ღილაკს და კაცუნები მთლად გადაირივნენ.

— მართლა არ ცეკვავენ?! — წამოიძახა ბიჭმა.

პარმალზე ძაღლები აყეფდნენ.

— რას ცეკვავენ? — იკითხა ბიჭმა.

— აბა, რას გაიგებ, უხარიათ და ცეკვავენ. — თქვა ბერიკაცმა. წამოდგა. გარეთ გაიხედა.

ოსმან-ალამ სიცივე და სველი ფეხები შემოიტანა სახლში. ცეცხლს სითბო მოაკლდა. ბიჭს მოეჩვენა, ოსმან-ალას ფეხებმა შესრუტეს სითბო.

— კალამ დავმარტხდი, — დაიწყო ოსმანმა, როცა ყედირამ თოფი ჩამოართვა და კედელზე მიაყუდა. — ჩემსისხო ეშვები ჰქონდა იმ შეჩვენებულს. ნაკუწ-ნაკუწად მაქცევდა. მარა გადავჩიი. იღბლიანი ცყოფილვარ.

— ამ ჩემ ეზოში მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ყედირამ.

— ღელის თავზე, პანტის გადმოღმა, — სიტყვა „ჩემი“ არ ესიამოვნა ალას.

ერთმანეთი გაიკითხ-გამოიკითხეს, კუზიან მთაზე გახიზნული საქონელი გაიხსენეს, ზვაზე ჩამოაგდეს სიტყვა და უცებ:

— დახე, რა სათამაშო გქონია! — მოისმა ოსმანის ხმა. — მაჩვენე ერთი.

— უჩვენე. — თქვა ყედირამ.

ხემიდი პირველად ხედავდა ალას. მაგრამ სულ ესმოდა: — ალას ტყე, ალას მინდორი, ალას მდინარე, ალას საქონელი, ალას არ ეწყინოს, ალას ვკითხოთ...

ბიჭს დევისტოლა, ყოვლისშემძლე კაცად ჰყავდა წარმოდგენილი ეს ოსმანი. და ახლა, როცა დაგვაჯული, ფეხმრუდ და ჟღალწვერა მამაკაცი შერჩა, ცოტა არ იყოს გაუკვირდა. ამ გონჯ კაცს რად სცემენ ასე ღიდ პატივსო.

ხემიდმა უხალისოდ გაუწოდა თავისი სათამაშო.

ოსმანმა წაღმა-უკუღმა ატრიალა.

— საიშვილბაზო ყოფილა! — თქვა ბოლოს და ღილაკს თითი გამოჰკრა. კაცუნები ამოძრავდნენ. ამოძრავდა ალაც. ამ ხნის კაცი ბალღივით აცეზდა. ისევ გამოჰკრა თითი... ისევ...

— ჩემი ბაღიშები ამბობდნენ, ყედირას გაუკეთებელი არაფერიაო, არ მჯეროდა. სინდისს გეფიცები, არ მჯეროდა. შენ კი თურმე ოქრო ხელები გქონია, ბაჯაღლო ხელები.

და ვიდრე ოსმან-ალა აღტაცებით შეჰყურებდა ხის მოცეკვავე კაცუ-
ნებს, ხემიდს თავისი საფიქრალი გაუჩნდა: გასულ ზამთარს ყელი
ავედ იყო. ფეხის გადადგმა უჭირდა. „ეს იმიტომ, რომ მყრალ ყველა
არ მიბანავიაო“, — ამბობდა ყელირა და ზაფხულზე ოცნებობდა, როგორ
კი მოწყინდა ზაფხულის ლოდინი. აიღო და თოვლის კაცუნა გააკეთა, პა-
ტარა, სასაცილო კაცუნა. მარტო იყო და იმიტომ გააკეთა, — ერთად ვი-
თამაშებთო. გახალისდა. მთელი დღე თოვლში კოტრიალებდა, მღეროდა,
თოვლის კაცუნას ელაპარაკებოდა. დაღამდა, თოვლის კაცუნას გარეთ
დატოვება დაენანა. თანაც ეშინოდა — ვაითუ კიდევ ითოვოს, კაცუნა ჩა-
ფლას, ანდა ძაღლმა გააფუქოსო. აიღო და სამზადში ამოიტანა. დილით
ყელირამ უთხრა, მოიტა ყველი, ბორანი დავამზადოთ, საუზმობის დროაო.
სწორედ მაშინ გაახსენდა თოვლის კაცუნა. სამზადის კარი გააღო და
გაქვავდა. თოვლის კაცუნა აღარსად ჩანდა. „ნუთუ გაიპარა?!“.

„რას უდგენარ მანდ?“ — გაბრაზდა ყელირა. „აქ თოვლის კაცუნა
მყავდა. გაპარულა“. „თოვლის კაცს სამზადში რა უნდა, — გაიცინა ყე-
ლირამ — წყლად იქცეოდა, გაიპარებოდა, განა არ იცოდით?! მაგრამ არა-
ფერია, მე შენ ისეთ კაცუნას გაგიკეთებ, სულ შენთან იქნება, და ძანაც
რომ უნდოდეს, ვერსად გაიპარება“. „მართლა?“ — გაეხარდა ბიჭს. „მარ-
თლა“. — კვერი დაუკრა ბიძამ.

აი ეს გაახსენდა ხემიდს. ოსმან-ალას ხელში ათამაშებულ ხის კაცუ-
ნებს უყურებდა. გული ამოვარდნას ჰქონდა. დაგ-ღუგ, დაგ-ღუგ, გრღე-
მლზე ჩაქუჩს ურტყამდნენ თითქოს.

— საოცარი რამაა, — თქვა ბოლოს ოსმანმა. — ხის კაცუნების
ცეკვა არ გამიგონია მე! აქ კი... ზი, ზი, ზი... რა კარგად მოგიფიქრებია! —
თავი ასწია. თვალებში უცნაური შუქი გაუკრთა. — აი, გაეხარდებათ
ჩემს ბაღიშებს!

ყელირამ მუგუზალი აიღო, ჩიბუხს ცეცხლი გაუკიდა, გააბოლა და
მერე ხმაურით გადააპურჭყა.

— რამდენი მოგცე? — ჰკითხა ოსმან-ალამ.

— რო არ ვყიდი?

— შენ კიდევ გააკეთებ ასეთს. ხეს რა დალევს ჩვენ ტყეში.

— აკი გასაყიდად არ გამიკეთებია-მეთქი, — განზე გაიხედა ყელი-
რამ, — ხემიდს გავუკეთე. მარტოა ბიჭი, გაერთობა.

— ძროხას მოგცემ! — აღტაცებას ვერ ფარავდა ოსმანი.

ყელირამ თავი გააქნია.

— ორ ძროხას გაძლევ!

— რა ვქნა, ოსმან-ალა, დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ მაგ ხეში
ჩემი სული ჩავდე. სული როგორ გავყიდო?

— მაშ, არ გაყიდი? — დაცხრა ოსმანი. — არ გაძალებ, მარა ორი ან

სამი ძროხა ხომ ამოგიყვანდა ამ სიღარიბიდან? წვირეში იხრჩობით. — და ისევ გამოჰკრა თითი ღილაკს.

ყედირამ აცალა, მერე სათამაშო გამოართვა და მუხლებზე დაიდო. — რა იცის შენმა ბაღმა მაგ სათამაშოს ყადრი, —  შენი ძროხა დაფარა ოსმანმა. — ჯერ ჩვილია. გაზრდამდე კიდევ გაუყეუებ. — და უცებ ზარივით წკრიალა ხმით მოჭრა: — ცივღელეს საყანეს გაძლევ და გავათოთ ლაპარაკი.

ყედირას წამით წარმოუდგა ცივღელეს ფერდობი. დიდი იყო ცდუნება. ყედირა რომ შეეყვინდა, ხემიდს კიდევ უფრო მძლავრად აუძგერდა გული. სიჩუმე ჩამოწვა. ეს სიჩუმე ყედირას საოცრად შეცვლილმა ხმამ დაარღვია.

— აკი სულს ვერ გავყიდო-მეთქი!

— ერთი შენც და შენი სულიც! — გაბრაზდა ოსმანი. წამოდგა, აიღო თოფი, გაისწორა ყაბალახი და კარს მიაშურა. ძაღლები წკმუტუნით შეხვდნენ.

— მომწყდით აქედან! — დაიყვირა ოსმანმა და ხეობისაკენ გაემართა.

იმ ღამეს ყედირა ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაწვა. სულ კვნესოდა და ოხრავდა. ბევრს ახველებდა. ეგონა — ბიჭს რახანია სძინავსო. მაგრამ მოტყუვდა. თავი მუთაქაზე დადო თუ არა, ბიჭიც შეინძრა.

— იქნება მიგვეცა, ა?

— შენ კიდევ არ გძინავს? — გაბრაზდა ყედირა.

— სამაგიეროდ ყანა გვექნებოდა.

— იყუჩე! — ყრუდ წარმოსთქვა ყედირამ და ხველამ კინალამ დაახრჩო.

იმ ღამეს ბიჭს პირველად დაესიზმრა ღედის სახე. ღედა მღეროდა. ღედა ურწყევდა და მღეროდა. ეს იყო ძალზე ძლიერი, გაზაფხულზე აღიღებულ მდინარესავით ხმაურიანი სიმღერა. მაგრამ ყველაზე უფრო ეს სიმღერა ქარის შხუილს გავდა. ღედა თითქოს კი არ უმღეროდა, არამედ ყურის ბიბილოებზე სამყურას ხმელ წკირს უსვამდა. სიზმარი გრძელდებოდა. „სად არის ჩემი ნენე?“ „ქარმა წაიყვანა შენი ნენე“, — ეუბნებოდნენ მეზობლები.

...უცებ ბიჭმა ვიღაცის ცხელი სუნთქვა იგრძნო. ახლო, სულ ახლო.

— რა დაგემართა? — ჩაესმა სიბნელეში. ყედირას ხმა იყო. ბიჭმა თვალები გაახილა.


— ნენე დამესიზმრა.

— ეს კარგია, — უთხრა ყედირამ. — მე კი მხოლოდ ქალები და დათვები მესიზმრება.

ბიჭმა გაიღიმა.

— შეტი არაფერი დაგესიზმრა?

— კი, ჩვენი კაცუნები.

— ესეც კარგია. — გაეხარდა ყედირას. — მამაშენი კუზიან მთაზე
სხვის საქონელს მწყემსავს. მეც სხვის სამსახურში დავგლახდი. 
ბედნიერი უნდა იყო. აბა! ასეა აი!

ნაცარში გაღვივებული ნაკვერცხალი გავარდა. სიბნელე
ყო.

— რაღაც არ მეძინება, — თქვა ყედირამ. — იქნებ ცეცხლი ავანთო, ა?
გარეთ ქარი ბობოქრობდა. ქარის შხუილი დედის სიმღერას გავდა.
ბიჭი გატრუნული უსმენდა ქარის შხუილს.

მოთხრობა მეორე

ხემიდი მაყვლის ბუჩქებთან იდგა — ჩიტებს უსმენდა. გარშემო ტყე
შრიალებდა. ტყე მაღალი იყო. ბიჭის ფეხებთან რუ მიწაწკარებდა. რუს
მყრალი სუნი ასდიოდა და რასაც ეკარებოდა, ყვითლად ან ჟანგისფრად
ღებავდა. ბიჭს არ უყვარდა ეს რუ. მოხუცი ყედირა კი, პირიქით —
მთელი საათობით კბოდესთან იჯდა, ფეხები წყალში ჩაეყო და ლილინებ-
და.

აქედან, ამ ვაკეზურგიან გორაკიდან ერთი ხელის დადება იყო სოფ-
ლამდე. ნიავი სოფლის მიმართულებით გარბოდა. ხემიდი ხეთა წვერო-
კინების შრიალით ხვდებოდა ამას.

ცაში წვეროები გამოჩნდნენ. „აღბათ, შორიდან მოფრინავენ, დალლი-
ლნი ჩანან“.

— ეჭეჭეპეი! — დაიძახა ბიჭმა და ნიავეს დაედევნა. სწრაფად გარ-
ბოდა ნიავი. სოფლისაკენ გარბოდა. მაჩიტელას არხევდა, ონიჭოს თელა-
ვდა, მოცხარს ეფერებოდა, ბაბუაწვერა ხომ სულ გადარია! აი რა ცელქი
ნიავი იყო. ხანდახან ბიჭს ეჩვენებოდა — ერთი ნაბიჯი, კიდევ ერთი ნაბი-
ჯი და ნიავეს უკან ჩამოვიტოვებო. და სწორედ მაშინ, როცა ეგონა, ჩა-
მოვიტოვეო, ნიავი სადღაც მის წინ, ხმელ პიწკებში გაიფაჩუნებდა და
ფერდობებს დაუყვებოდა.

კატიბალახას ტევრში დალლამ გაიტჩხტიხა. დალლის ხმას ბიჭი ათასი
ფრინველის ხმაში გამოარჩევდა. მოხუცმა ყედირამ ასწავლა. ხემიდმა
მოიხედა. ხელმარცხნივ, ხეობაში, მდინარე შხუოდა. მდინარის გაღმა ნა-
პირი ერთიანად მოტიტვლებული ჩანდა. გამოღმა ნაპირი ბუჩქებს დაე-
ფარა. იქ, სადაც ბუჩქნარი თავდებოდა და ლიტაოდ აყრილი კედრები
იდგნენ — ოსმან-ალას ყანები იწყებოდა. იმ წელს, როცა ხემიდს დედა
მოუკვდა და მამასთან ერთად მოხუც ყედირთან გადავიდა საცხოვრებლად,
ოსმან-ალა ქალაქიდან ამოვიდა. მან თქვა: მთას ხედავთ? მთა ჩემია, ძიავე!

ტყეს ხედავთ? ტყეც ჩემია, ძიავ! მდინარის პირზეც მხოლოდ ჩემია ყანამ უნდა იღუღუნოს... თევზის დაჭერა არავინ გაბედოს... თევზი მდინარესთან ერთად მე მეკუთვნის! — მეზობლებმა გაოცებით უკან დაიხრეს ფეხმართად აღას. მისი ნათქვამი ხუმრობა ეგონათ.

— ასეა, მეზობლებო — თქვა ოსმანმა, — ეს ყველაფერი ქალაქში ვიყიდე. უფროსობის მუჭრიც იქ მომცეს.

მას შემდეგ ოსმან-აღას ბიჭები იმ კუთხე-არემარეს ბატონ-პატრონი გახდნენ.

ოსმან-აღას შიშით შეშა ვერავის მოეჭრა, დათვზე ვერავინ წასულიყო სანადიროდ, ყანა ვერ დაეთესა, ფრინველი ვერ მოეკლა, საქონელი ვერ გაეშვა საძოვარზე...

სოფელმა უვარგის, მიუვალ ადგილას გადაიჩოჩა.

შემოდგომაზე ხემიდმა პირველად გამოიტანა მამისეული თოფი. დახე, როგორ უცებ დავაჟაკდა! თოფი კუნძზე შემოდო (მხარი კინალამ ჩამოსტეხა) და ტყისაკენ გაისროლა. ფოთლები დაცხრილა მხოლოდ. ზოგი ფოთოლი მიწაზეც ჩამოცვივდა.

მოხუცმა ყედირამ უთხრა:

— ადრეა შენთვის თოფი. ბაღვის თოფი ჩილიკა ჯოხია.

არ დაუჯერა. ისევ მოიპარა თოფი. ყანის ბოლოს, პაწია ტაფობზე კურდღელი მოჰკლა.

მამა ოსმან-აღას საქონელს მწყემსავდა კუზიან მთაზე.

ყედირა შეშინდა. მაგრამ მერე იხუმრა.

— ეს იცი, ვისი ყანაა?

ოსმან-აღას ყანა იყო.

— ვიცი! — უპასუხა ბიჭმა.

— მაშასადამე, კურდღელიც ყანის პატრონისაა, ნანადირევი გავუზზავნოთ.

ბიჭმა თვალები მოჭუტა და ბერიკაცს გაუღიმა.

— გავუზავნოთ, — თქვა ბიჭმა, — ოღონდ, როცა მეორეს მოგვლავ, მაშინ...

„დიდი იშკილბაზი ვინმე იზრდება ეს ხემიდი!“ დასკვნა ყედირამ. მარჯვენა თვალი დიდთოვლობას დათვმა ამოთხარა, მარცხენა კი ყედირას გულივით დაბერებულისა და ძლივს ხედავდა მზეს. „რა უნდა დაინახოს კაცმა ლიბრგადაკრული თვალით?!“ ყედირას დაჯორკნილი სახლი ედგა, თითქმის სანახევროდ მიწაში ჩაფლული. ერთადერთი სარკმლიდან ხეობა ჩანდა. იქ, გაღმა გორაზე, უზარმაზარი სახლი იდგა — გოროზი, ლამაზი, მაღალი წაბლებით შემოკავებული. მზეს ფართო აივანი უყვარდა. ყედირას სარკმელში კი ეზარებოდა შეხედვა — ვერ ეტეოდა და იმიტომ.

იმ დღეს ხემიდი ყედირასთან ერთად ბრუნდებოდა რუდან.

სოფლისა და ტყის საზღვარზე ოსმან-ალა იდგა. ზურგი მხისკენ მიეშვია. ჯოხი დაებიჯა, თოვლივით თეთრი ყაბალახი უცნაურად დაეკოსა და ილიმებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰეი, ყედირ, სად იპოვე ეგ ბელი? — ილიმებოდა ოსმან.

— მამუდასია, ჩემი ძმისა, — ხმა იცნო ყედირამ.

— ჩემი მწყემსის? — სახე გაუნათდა აღას.

სიტყვა „ჩემი“ არ მოეწონა ხემიდს.

— აჰა, შენ, ბაქლაეა, გამომართვი! — თქვა ოსმანმა და ვეებერთელა ჯიბიდან ნამცხვარი ამოიღო. — ცოდვა ხარ, სიტკბო გაკლია, ალბათ.

ბიჭმა შორს დაიჭირა თავი.

— გამომართვი! — უთხრა ყედირამ.

— არ მინდა, — ხმა ამოიღო ხემიდმა, — რომ გამოვართვა, მერე იტყვის, მომპარაო.

— გაუზრდელი ბელი ყოლია ჩემს მწყემსს! — შეიდრინა აღამ. აღმართს შეჰყვა. სასაცილო ფეხები ჰქონდა. მოკლე, დაგრეხილი.

სწორედ ამ მოკლე, დაგრეხილი ფეხებით იყო იგი ქალაქში.

მეორედ იყო.

სოფლელებმა იფიქრეს — თუ წინა ჩასვლაზე ეს კუთხე-კუნჭული იყიდა, ახლა გოდერძის უღელტეხილამდე მიუწვდება ხელიო.

მაგრამ ოსმან-ალა მოტეხილი, ნაავადმყოფარი დაბრუნდა ქალაქიდან.

— წახტა ქვეყანა, — თქვა, — ღარიბები მდიდრებს ეომებიან. ხალხი აირია. უფროს-უმცროსობა დაიკარგა.

— კარგი ომი ყოფილა, — დაასკვნა ყედირამ, — მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, აქამდეც თუ მოაღწევს.

— ვერ მოაღწევს, — ცივად მოჰრა აღამ. — გზები არა გვაქვს, ბილიკები არა გვაქვს, თანაც სადაცაა დათოვს კიდეც. შეეზარება.

ცალი ყური მაინც ეჭირა ქვევითკენ.

მთის კორტოხზე ცხოვრობდა. მაღლიდან უყურებდა ქვეყანას. არაფერი გამომეპარებო.

მაგრამ ომი სულ სხვა მხრიდან მოვიდა.

ამან სულ გააცოფა აღამ.

დილით, როცა ხემიდი კაკანათის დასაგებად ჩავიდა ხევში, დიდი თოვლი დატკეპნილი დახვდა.

მთელი სოფელი ერთად რომ შეყრილიყო და ხეობაში გაეფლო, ამდენ ნაკვალევს მაინც ვერ დაამჩნევდა. აი, რამ გააკვირვა ბიჭი.

მოხუცი ყედირა ყველას უყვარდა. მთაზე წავიდოდა — მთა იყო მისი მეგობარი. ტყეში წავიდოდა — ტყე იყო მისი მეგობარი. მდინარესთან მივიდოდა — მდინარე მხოლოდ ყედირასთვის გასაგებ ენაზე იწყებდა შხუილს. ყედირა ჩიტებსაც უყვარდათ. თოვლში მხოლოდ მისი სახ-

ლის პარმალზე პოულობდნენ საკენკს. დაიწკაპებოდნენ ნალიაში და
დილიდან მოყოლებული, გვიან ღამემდე ხალისიანად ჭავჭავებდნენ.
იმ დღეს, როცა ბიჭი ხეობიდან დაბრუნდა, ჩიტები აღეშინებოდნენ.
დნენ.

პარმალზე ყედირა იდგა.

— სტუმრები გვეწვიენ, — თქვა მან. — მამაშენი კი კუზიან მთაზე
იზამთრებს. ოსმან-ალას საქონელს უვლის, ტფუ!

ბიჭს გაუკვირდა — მათ პატარა სახლში ტევა არ იყო. ტევა არ
იყო სახლის გვერდით საბძელში. უცხო ადამიანები ისხდნენ ცეცხლთან.
შემწვარი ცხვარი პატარ-პატარა ნაჭრებად დაეჭრათ და მადიანად შეექცე-
ოდნენ.

— შენია? — ჰკითხეს ყედირს, როცა ხემიდი დაინახეს.

— ჩემი ძმისაა.

— ძმა სადღაა?

— შორსაა აქედან. საქონელს უვლის.

— კარგად ცხოვრობთ, — თქვა ჯმუხა მამაკაცმა, რომელსაც ყი-
ნულისფერი თვალები ჰქონდა. — ეტყობა, ბევრი საქონელი გყოლიათ.

— ჰე, — ამოისროლა ყედირამ, — სხვის საქონელს უვლის.

— კარგი ბიჭი ჩანს. — თქვა ჯმუხამ. — მეცა მყავს ამოდენა ბიჭი.

მის გვერდით მჯდომი ჭალარა მამაკაცი ცეცხლს მიეფიცხა.

— შორს არიან ჩემები, ძალიან შორს.

— მაინც? — დაეკითხა ყედირა.

— ამ მთებს იქით მინდვრებია, მერე მთებია, მერე...

— შორს ყოფილა, — დაეთანხმა ყედირა.

— თქვენთან ბევრი ფრინველია, ნადირობთ? — დაინტერესდა ფა-
ფახიანი ჭაბუკი.

— იცოცხლე, ბევრია, — თქვა ყედირამ, — მაგრამ ვინ განადირებს.
ფრინველი ოსმან-ალასია.

— ნადირი?

— ნადირიც.

უცხო ადამიანებმა გაიცინეს.

— რა გაცინებთ? — იკითხა ყედირამ.

— ისე, — თქვეს სტუმრებმა.

ხემიდს მოეწონა მათი სიცილი.

— რა გქვია? — ჰკითხა ხემიდს ჯმუხა მამაკაცმა.

უთხრა.

— შენა?

— ქრისტეფორე. დუდკა.

— უცნაური სახელი გქონია.

მამაკაცმა ისევ გაიღიმა.

ბიჭს მისი ვარსკვლავი მოეწონა.

— გაიზრდები, შენც გექნება ასეთი ვარსკვლავი.

ბიჭს გაეხარდა. ცოტა ხნის შემდეგ უცნაურსახელიანი გვერდით იჯდა. სტუმრები მღეროდნენ. ბიჭმა ყურები დაიცო.

— რატომ შევები ამას? — ჰკითხა ღუღკამ.

— ძალზე ხმამაღლა მღერით, — თქვა ბიჭმა, — სიმღერა ჩუმად უნდა, ძალზე ჩუმად, შენთვის...

სტუმრებმა ისევ გაიცინეს. მერე რამდენი არ ეცადნენ ხმადაბლა ემღერათ, არაფერი გამოუვიდათ.

— გადაეჩვივნენ სიმღერას, — თქვა უცნაურსახელიანმა, — სულ მომბენ და მომბენ.

— ხელები მექავება, — გამოეხმიანა ჭალარა მამაკაცი, — ირგვლივ ამოდენა ხეებია. ხელები საქმეს მთხოვენ... სახლს ავაშენებლი...

— რას იზამ, — თქვა ღუღკამ, — ომია.

ღილით ხემიდი ნაჯახის ხმამ გააღვიძა.

ჰუპ! ჰუპ! — მღეროდა ნაჯახი.

ხემიდმა მძიმე კარი გამოაღო და გაიჭვრიტა.

ოსმან-ალას ხეები მიწაზე იწვნენ.

— რატომ მოსჭრეს? — იკითხა ბიჭმა.

— სახლი უნდა აგვიშენონ, — თქვა ყედირამ, — მაღალ სახლში უნდა იცხოვროთო, მზე უნდა დაიამხანავოთო.

— ოსმან-ალას რომ ეწყინოს?

— რას ამბობს? — იკითხა ჭალარა მამაკაცმა. მას ნაჯახი ეჭირა.

ყედირამ გაიცინა.

ჭალარა მამაკაცმა გაიცინა.

გაიცინა ქრისტეფორემაც.

— რა გაცილებთ? — იკითხა ხემიდმა.

— ისე, ვიცინით. — თქვეს სტუმრებმა.

ყედირამ ჩიბუხი გააბოლა.

— უცხო ადამიანები მოვიდნენ — სიტბო ამოიტანეს. თითქოს ჩემი შვილები არიან. ამ უშვილო კაცს ახლა ასი შვილი ჰყავს. აბა! უფრო მეტი — ორასი შვილი.

ოსმან-ალა ერთი თვის შემდეგ გამოჩნდა სოფელში. მან უკვე იცოდა: ჯარისკაცებმა სახლი აუშენეს მოხუც ყედირას.

— ქალაქურად ცხოვრობ. — თქვა მან, როცა ყედირას თეთრი სახლი ნახა. — ჩემსავით ცხოვრობ. ბევრი ფანჯრები გქონია. — სახლში შეიხედა. — დახე, მაგიდაც გქონია. გრძელი სკამიც. სკამზე ჯდომა თუ იცი, ყედირა?

მოხუცმა არაფერი უპასუხა.

— ჩემი ტყე გაგიჩანაგებია, — განაგრძო ოსმანმა, — ცოდვა დაგა-
დვია.

მოვიდნენ მეზობლები. შეხედეს თეთრ სახლს — სახლში ზინთაძის იდგა, სასიამო, დამატორობელი. შეაღეს ფართო კარი, მაინც მზის სხივები — დაბალჭერიან სახლებს იყვნენ ნაჩვევი. დასხდნენ გრძელ სკამზე, ხე-
ლები მაგიდაზე დაწყვეს და ერთმანეთს გაუღიმეს.

— წახტა ქვეყანა, — შეიღრინა აღამ. — ფეხებურღლა ყელირა მაღალ
სახლში ცხოვრობს. მზის დაარხატაშებას აპირებს...

იმ გაზაფხულზე მამა აღარ წასულა მთაში.

— გვეყოფა, რაც შენი საქონელი ვმწყემსეთ, — უთხრა მამამ აღას.
— აწი საკუთარ თავს უნდა მივხედოთ.

— შიმშილით მოკვდები.

— არ მოგვკვდები. ყანას დავთესავ.

— გაბედე და მდინარისპირს წააწენწე ხელი!

— შენ შეგეკითხები სწორედ!

— ხეების მოჭრა შეგრჩეს. დაგავიწყდა, რომ ჩემი ხეებით აიშენეთ
სახლი?!

— არაფერი არაა აქ შენი! — თქვა მამამ. — ყალბია შენი მუჭრი.

იმ დამეს ყელირას თეთრ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. საშინლად ტყაცუ-
ნებდა ცეცხლი. ჯერ ერთი კედელი ჩამოინგრა, მერე — მეორე.

მთელი სოფელი მოგროვდა. იმოდენა ხანძარი იყო, ხეობამდე ყველა-
ფერი ჩანდა. ყელირა ფეხშიშველა იდგა. ხემიდისთვის ჩაევლო ხელი და
ერთიანად კანკალებდა.

— ყველაფერი დაიწვა, — თქვა ყელირამ.

ბიჭს მხოლოდ ახლა გაახსენდა თავისი სასაცილო, მოცეკვავე კაცუნე-
ბი. ატირდა.

— რა გატირებს? — ჰკითხა მამამ.

ბიჭი უარესად აღრიოლდა.

— რა გატირებს? — ბიჭი ათრთოლებულ მკერდზე მიიკრა ყელირამ.

— ჩემი კაცუნები... — ძლივს ამოღონღლა ბიჭმა. ყელირას ბოღმა ახ-
რჩობდა.

— ვიცი, ვინც იზამდა ამას. — თქვა მამამ.

— ჩვენც ვიცი, — თქვეს სოფლელებმა.

თოფებითა და კეტებით დაიძრნენ ოსმან-აღას სახლისაკენ. აღას სახ-
ლში არავინ იყო. შვილებიანად გაქცეულიყო აღა.

ერთ კვირას ეძებდნენ, მეორე კვირას ეძებდნენ, მერმე მამამ თქვა:

— არა უშავს, უკეთეს სახლს ავაშენებთ!

ერთმანეთის მიყოლებით წაიქცნენ მაღალი ხეები.

— ჰუბ! ჰუბ! — ხმაურობდა ნაჯახი.

ხემიდი მღეროდა. თავისთვის მღეროდა. უხმოდ მღეროდა. მისი სიმღერა დაახლოებით ასეთი იყო: „მე რომ არწივი ვიყო, ლამაზი, გულზე დიდი არწივი, დაგეწოდი და თვალებს ამოგკორტნიდი, ოსმან-ალა! მე ვიყავი ელვა ვიყო, ძლიერი ელვა, მოგძებნიდი და ერთიანად დაგბუგავდეს, ოსმან-ალა! დრო მიდის, მიდის... მე გავიზრდები... ჰე, რა სწრაფად გავიზრდები... ჩავიცვამ ტყავის ქულაჯას, დავიბნევ ვარსკვლავს და როცა უცნაურსახელიანი კაცივით ძლიერი ვიქნები — მე უსათუოდ დავეჭიდები შენს ბიჭებს, ოსმან-ალა! ტყეში გიპოვი, ტყეში მოგგუდავ, სახლში შემასწრებ, სახლიანად ამოგწვავ... თუმცა, სახლი, ვისიც არ უნდა იყოს, მაინც ცოდოა“...

მოთხრობა მისამი

შვიდი წლის შემდეგ სოფელში გეოლოგები ამოვიდნენ.

— რას ეძებთ? — ჰკითხა მათ ყედირამ.

— მაღანს.

— მაღანი რაღა ბედენაა? — გაუკვირდა მასპინძელს.

— ოქროა, ვერცხლია, ტყვიანა... ერთი სიტყვით, მიწის სიმდიდრეა.

— ოქროს და ვერცხლს რა უნდა ჩვენს მიწაზე! — გაუკვირდა ყედირას. — რაც სიმდიდრე გვქონდა, ოსმან-ალამ წაიღო თან.

გეოლოგებმა გაიცინეს.

მათ შორის ერთი ქალი ერია. ძალიან ახალგაზრდა ქალი იყო. მოკლედ შეკრეჭილი თმა უხდებოდა. მასაც სხვებივით ზურგჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

— საოცარია, — ერთადერთი თვალი კიდე უფრო დამაბა ბერიკაცმა, — სწორედ ასეთ ქალებს ვხედავდი სიზმრებში.

გეოლოგებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ კი გვეგონა, უჩადროდ რომ არის, ამან გააოცაო, უჩადრო ქალი აქ ყველას უკვირს.

— ქალს რად უნდა ჩადრი, — იშოვა სალაპარაკო ყედირამ, — ლამაზი ქალისთვის ჩადრი იგივეა, რაც ჩემი თვალისთვის — ლიბრი. ქალი პირნათელი უნდა იყოს, მზეს უღიმოდეს, ქვეყანას უღიმოდეს...

გეოლოგებს ყბედი ეგონათ გზად შეხვედრილი ბერიკაცი, აჩქარდნენ.

— სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ვეძებთ, იქნებ გვასწავლოთ მისი სახლი.

— ასე გეთქვათ თავიდან, — კიდეც უფრო გახალისდა ყედირა, — ჩემს ძმას ეძებთ თურმე. ჩემი ძმა აი, ამ ლამაზ სახლში ცხოვრობს, წამოდი.

— თქვენ სადღა ცხოვრობთ? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა.

— მეც იქვე ვცხოვრობ, — გაიღიმა ყედირამ.

მაგრამ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე შინ არ აღმოჩნდა.

— აკი შინ არისო, — ეწყინათ გეოლოგებს.

— მოვა, — თქვა ყედირამ. — მანამდე კი რძე დალიეთ, თავლი მი-
რთვით, ბეთმეზი იგემეთ. თუ გეამებათ, ხმელ წაბლსაც გამოგიტანთ.

სტუმრებმა ისევ გადახედეს ერთმანეთს და დარჩნენ.

ყედირას ჯარისკაცები გაახსენდა. ჯარისკაცების წასვლის შემდეგ სტუ-
მარი არ ჰყოლია. ბერკაცს კი სტუმრები უყვარს. ჰეი, როგორ უყვარს!
სტუმრებმა ყოველთვის ათასნაირი ამბების მოყოლა იციან. მაგრამ ყედი-
რასთვის ყველაზე მთავარი მაინც ქალაქია. შორეული, ლურჯი ზღვით
გარშემორტყმული ქალაქი. ამ ქალაქში გემები მოდიან. მოსიარულე
სახლები მოდიან. ეს სახლები თურმე ერთმანეთზე ყოფილან გადაბმულნი
და მთავარ, წინ მიმავალ სახლს ემორჩილებიან. გაჩერდება მთავარი სახ-
ლი, აღარ უნდა მეტი წასვლა, დანარჩენებიც დადგებიან, ძვრასაც ვერ
იზამენ უმისოდ. ასე ყოფილა აი. უფროს-უმცროსობა ცოდნით თურმე.
აბაა!

შელამებულზე ხემიდი გამოჩნდა.

სტუმრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

— ესაა თავმჯდომარე? — ჰკითხეს ყედირას.

— ეს მომავალი თავმჯდომარეა. — თქვა ყედირამ. — ცხოვრება შე-
იცვალა, წინათ ოსმან-ალას შიშით ჩიტი ვერ გადაუფრენდა მის სახლს,
ახლა კი ჩვენი ბაღვები მის ეზოში ჩილიკა ჯოხს თამაშობენ. მის სახლში
წიგნებს სწავლობენ.

ყედირამ თითქმის მთელი საკუჭნაო გამოალაგა.

— მიირთვით, — ამბობდა იგი, — მიირთვით. მართალია, ღარიბად
ვცხოვრობთ, მაგრამ გული თბილი გვაქვს. სტუმრები გვიყვარს!

— ამას ჩვენც ვხედავთ, — უხაროდათ სტუმრებს.

— ძალიან ცოტას სჭამთ, — საყვედურობდა ყედირა, — ნეტა შემეძ-
ლოს, ჩემს მადას გათხოვებდით. ჩიტებივით იკენკებით. ჭამა მადიანი უნდა.
ხემიდს შეხედეთ, ერთ იჯრაზე ხარს მოათავეებს, აბაა!

სტუმრები იცინოდნენ. იცინოდა ხემიდი. არ იცინოდა ყედირა —
სევდა შემოაწვა. თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა.

სახლის გარშემო ხეები შრიალეზდნენ.

— ამ მიწაზე წინათ ვენახი ხარობდა. — ამბობს გრძელცხვირა ჭაბუ-
კი და ხეების შრიალს უსმენს. — სანაქებო ღვინო დგებოდა თურმე.

— რა უნდოდა ჩვენს მიწაზე ვენახს? — უკვირს ყედირას. — ჩვენს
მიწაზე ვენახი ვერ იხარებს.

— ხარობდა და იხარებს კიდევ, — ამბობს გრძელცხვირა. —

— ღვინოს რომ არ ვსვამთ? რად უნდოდა ჩვენს წინაპრებს ვენახი?
— სვამდნენ. — თქვა გრძელცხვირამ.

ყედირა ჩიბუხს აბოლებს და ფიქრობს: აბა, რად ატყუებთ ცხელი წყლის
ლა ყედირას? ყედირას ონტოროთის ტყის იქით არ გაუხედიია. მთელი მი-
სი ღლე და მოსწრება ამ მიწას ჩიჩქნიდა. სხვისთვის ჩიჩქნიდა, სხვის
საქონელს მწყემსავდა... აბა, რად გინდათ რომ ატყუებთ?! — და უცებ
ნატაძრევის ფერდობში ნანახი ქვევრები გაახსენდა. ეს დიდი ხნის წინათ
იყო, მაშინ ყედირას ორივე თვალი ჯანსაღი ჰქონდა და ცივლელს ველი-
დან საქორიეს გორაზე წამომჯდარ სკვინჩას ხედავდა. ნატაძრევის ფერდო-
ბში, მეწყერის შემდეგ წააწყდა ქვევრებს... გაახსენდა და ჩიბუხი გააბო-
ლა: ქვეყანა ჩვენ გვატყუებს, — გაიფიქრა. — ნატაძრევის ფერდობში ჩა-
ყრილი ქვევრები, ზოჯამ უწმინდურთა საფლავებად მონათლა... ოსმან-
ალაც დაეთანხმა. დაეთანხმა და თავისი ჟღალი წვერის ცანცარით უთხრა
ხალხს, — ამ ადგილას არავინ გაეკაროს, ძველებიდან გამიგონია, ნაძრახ
ადგილად ითვლებაო.

ახლა კი...

— მაშ, მართლა ხარობდა ვენახი?

— ხარობდა.

— ღვინოსაც აყენებდნენ?

— აბაა?

— ღვინოს ქვევრებში ასხამდნენ?

— მაშა!

— აი, ნახავ ძია, — ამბობს ლამაზი ქალი, — ამ მიდამოებში რამდენ
ქვევრს აღმოვაჩენთ. ზოგ მათგანში შეიძლება ღვინოც იყოს.

— ჰო, რა სიმაგრე ექნება! — ნატრობს გრძელცხვირა.

ყედირა ერთადერთ თვალს ჭუტავს.

ყედირას სტუმრები უყვარს. რაც თავი ასსოვს, მასთან მხოლოდ
ოსმან-ალა და ხოჯა დადიოდა... იმათი მოსვლა, რა თქმა უნდა, სტუმრო-
ბას არ გავდა. ჰოდა, მთელი ცხოვრების მანძილზე ეს მეორედ გაიმართა
წელში, მეორედ დაჯდა ამაყად.

— აქედან ქალაქში დაბრუნდებით? — ჰკითხა სტუმრებს.

— ქალაქში.

— იქ ცხოვრობთ?

— ზოგი იქ, ზოგიც სხვაგან.

— ერთად როგორ გროვდებით? — გაოცდა ყედირა.

— სამსახური გვაგროვებს. ახალ ქვეყანას ვაშენებთ. ახალ ქვეყანას კი
მადანი სჭირდება, ოქრო სჭირდება, სპილენძი სჭირდება, ნახშირი სჭი-
რდება... მიწის გულში გვინდა მადნის პოვნა და ერთმანეთს ვერ ვი-
წოვით?!

— და ეს ყველაფერი თქვენ უნდა მოქებნოთ?



— ჩვენ! — ამბობენ სტუმრები.

ყელირა თავის ძმისშვილს უყურებს. მორცხვად ზის ხემიდი, კიბეზე ზის, თავისთვის, გულისყური კი სტუმრებისკენ აქვს, სიტყვა რამდენიმეჯერ გამოეპარება...

— აი, ასეთ ხელობას რომ ისწავლიდე! — ოცნებით ამბობს ყელირა.

— ისწავლის. — ამბობენ სტუმრები, შეიძლება უკეთესი ხელობაც ისწავლოს. ჯერ კიდევ ბავშვია. მთავარია, წიგნი უყვარდეს...

— იცოცხლე, უყვარს... — უხარია ყელირას და უცებ სტუმრებს მიმართავს, — სიტყვა უნდა გითხრათ, სტუმრებო... რა ვიცი, ალბათ, ყბედი გგონივართ, სარაკუნა მოშვებული გგონივართ. მაგრამ ასე იმიტომ გავიკრიფე ენად, ხალხს იშვიათად ვხედავ. ტყეს, მიწას და მდინარეს ველაბარაკები ხოლმე. ისინი მისმენენ. ჰოდა, ახლა მინდა თქვენც მომისმინოთ. ხანდახან, როცა ჩვენს ცხოვრებას მოვუხედავ უკან, რატომღაც ჩვენი პატარა მდინარე გამახსენდება... გესმით მისი შხუილი? (სტუმრები სმენად იქცნენ). ხმაურობს! მე მესმის მისი ენა. ეს იმიტომ რომ ჩემი მდინარე ჩემისთანა კაცის ცხოვრებასა გავს. ჯერ კლდემ მოუწოდომა გასრესა, მერე ბორცვებმა შუაში მოიქციეს და კინალამ წელში გაწყვიტეს. ძაინც მოდიოდა. უჭირდა. მაინც მოედინებოდა. ხვატი დახვდა, ხვატს გაუძლო. მთა დააწვა, — მთასაც გაუძლო და გამოაღწია. აი, როგორი მდინარეა! ამ მიწის შვილია. და იცით, რატომ ხმაურობს ასე? იმიტომ, რომ, როგორც იქნა, ყველა სიძნელე ჩამოიტოვა და შვებით ამოილენთა. აბა! ასეა აი!

უსმინეს სტუმრებმა. მოეწონათ მოხუცი. შეუყვარდათ. თავისი ალალი გულისთვის შეუყვარდათ, უთხრეს:

— ჩვენ კიდევ მოვალთ, ძია ყელირ, ჩვენ აქ ბევრი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

ნაღვლიანად გაიღიმა ყელირამ.

— სტუმრებმა დაპირება იცით მარტო... ხმელა სიტყვა კი არ მიყვარს.

— მოვალთ, — თქვეს ახალგაზრდებმა.

— არ მოხვალთ. — თავი გააქნია ყელირამ. — გზები ჩვენ არა გვაქვს. შეგეზარებათ.

მაგრამ მეორე გაზაფხულზე ერთიანად აქლოშინებულმა ხემიდმა ფართოდ გააღო კარები და დაიყვია:

— ყელირ ბიძა! შენი სტუმრები ამოვიდნენ!

„როგორ დაბოხებია ხმა,“ — გაიფიქრა ყელირამ და ძლივს წამოსწია ტახტიდან წელი.

— ამბობ, სტუმრები ამოვიდნენო?

— აბა! შენ გიკითხეს.

ყედირას ეამა. ახლა უფრო სწრაფად დაიწყო ჩაცმა.

— მერე სად არიან?

— ხეობაში. რაღაცას ზომავენ. ასე თქვეს, ძია ყედირას გაუჟყვანოთო.

— მართლა ასე თქვეს?

— ასე თქვეს, ასე! — ძლივს ითქვამდა სულს ბიჭი — მთელი სოფელი მათანაა.

— მე რაღას ვუციდი აქ? — გაიკვირვა ყედირამ. მიხვდა, მუხლებში აღარ ჰქონდა აღრინდელი ძალა. გული კი, გული ისევ მაგარი ჰქონდა. ამაყი, უტეხი. ამას რომ მიხვდა, ერთადერთ თვალიდან კურცხალი გადმოუგორდა. ხემიდი ამ დროს თავდაღმართში გარბოდა. კარგი კიდეც, რომ ბაღეს არ დაუნახავს, — გაიფიქრა ყედირამ და დიდი, კოჟრიანი ხელით ცრემლი მოიწმინდა.

მოთხრობა მეოთხე

ახლა, როცა ყედირას ამდენი მეგობარი და მოყვარე გაუჩნდა, უკვე აღარ სცალია მკითხველისათვის. ჩვენც ნუ შევაწუხებთ. იჯდეს თავის შექთბილ კერასთან, გაართოს სტუმრები ტყუილ-მართალით. ყედირა ხომ მთელი სიცოცხლე ღუშდა! ჰოდა, ვიდრე იგი მთის ამბავს ყვება, მდინარისა და დიდთოვლობას დაკოდელი დათვის ამბავს ყვება, ჩვენ ხემიდს გავყევით. მით უმეტეს, ეს წუთია იგი ონტოროთის ტყისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა და კუზიან მთისკენ აიღო გეზი. კუზიან მთაზე კი სოფელში ახალშექმნილი არტელის საქონელია დაბინავებული. უდარდელად მიაბიჯებს. ან არა და, რა აქვს შესაშფოთებელი? მუხლი მაგარი აქვს, მკლავი ძლიერი, თვალი უტყუარი, ხოლო თუ ნადირი გამოუხტა... ნადირისთვის ხემიდს ახალთახალი თოფი აქვს გახაზირებული.

...მთელი დღე მიაბიჯებდა ხემიდი. მხრებში მოხრილი მიაბიჯებდა, ფეხს მძიმედ ადგამდა. უჭირდა აღმართი. ღამემ საყორნიას მთასთან მოუსწრო. ვიდრე მიაბიჯებდა, ვერ გრძნობდა სიგრძილეს, მაგრამ დასაძინებელი ადგილი შეარჩია თუ არა, მაშინვე იგრძნო ბორიოს სუსხი. ტყიდან მოშორებით, კლდის მოფარებით დაანთო ცეცხლი. ხმელი პიწკები შეაგროვა, ხის გამხმარ კუნძზე მიდო თავი, და როცა ბორიო ჩადგა, დაიძინა.

დილით ისევ ბორიომ გააღვიძა. წამოდგა. წყაროზე დაიბანა პირი, უსმინა ჩიტების ჭიკჭიკს, მზის ამოსვლას უყურა, წყაროს ზედაპირზე მოსრიალე დანა-დანას უყურა, და როცა წასვლა დააპირა — ადამიანის ნაფეხურებს მოჰკრა თვალი. ახალი ნაფეხურები იყო. ხემიდი დაუკვირდა — ადამიანი ტყიდან მოვიდა და ისევ ტყისაკენ გაბრუნდა. „დადლილი,

დასუსტებული კაცის ნაკვალევია, — დაასვენა ხემიდმა. — ხშირად ის ვენებდა“.



ნაკვალევს გაჰყვა. „ნეტა ვინ უნდა იყოს? იქნებ ისიც კუზიან მთისაკენ მიდის? იქ ხომ სხვა სოფლიდანაც ჰყავთ საქონელი?!“.

ხემიდი სწრაფად მიაბიჯებდა. მზე საშუაღლეოზე იდგა, როცა ბერიკაცი დაინახა. ბერიკაცი ხის ქვეშ იწვა. სახე ყაბალახით დაფარა. ხემიდს შეეშინდა. იქნებ მკვდარია? ფრთხილად მიუახლოვდა, მიაყურადა — ბერიკაცს თავქვეშ თოფი ჰქონდა შემოდებული და მშვიდად ფშვინავდა. ხემიდს მისი გულვიძება დაენანა, დაღლილი ჩანს, ეძინოსო. და კოცონი დაანთო, მდინარეში დაჭერილი კალმახები დაფატრა, გამოწელა და ჯოხზე ააცვა.

თევზი აშიშხინდა თუ არა, ბერიკაცმაც გაიღვიძა, წამოვარდა, თოფი მოიმარჯვა.

— სალამი ეფენდი! — უთხრა ხემიდმა. — კარგია, რომ გაიღვიძეთ, ერთად ვისაუზმებთ.

— სადაური ხარ? — ჰკითხა ბერიკაცმა, ისე რომ თოფი არ დაუშვია.

— სადაური ვიქნები, — თქვა ხემიდმა და ცეცხლზე შეწიწკინებული კალმახები თხმელის ფოთლებზე დააწყო. — აქაური ვარ. მდინარის გაღმელი.

— მდინარის გაღმელთან სადილად არ დავჯდები. ყველა მდინარის გაღმელი მეზიზღება, — თქვა ბერიკაცმა. — წადი აქედან!

— ნება თქვენია, — გაოცება ძლივს დაფარა ხემიდმა. — ჭაღარა ბრძანდებით. მე კი თქვენს ჭაღარას ვცემ პატივს. ცუდს როგორ გაკადრებ! მაგრამ რატომ უნდა წავიდე? ეს ცეცხლი მე დავანთე. საუზმეც მოვიმზადე. თქვენ ნათქვამი კი არ გამიგონია.

— კარგი, აბა, იჯექი. ჯერჯერობით არ მიშლი ხელს. მაგრამ იცოდე, — სხვის მიწაზე ზიხარ.

— როგორ, ეფენდი?

— ჩემს მიწაზე ზიხარ. ჩემს მიწას ტყეპნი. ეს ჩემი მდინარის თევზია. ოსმან-ალა გაგიგონია?

— ეს რომელი? — ძლივს გაიხსენა ხემიდმა. ხუმრობაა, თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ! — სოფელი რომ გადაწვა? არა, არ გამიგონია.

— არ გამიგონიაო, და სოფლის გადაწვა კი გაიხსენე! — უცნაურად დაიჟყანა ბერიკაცი.

— ვთქვით, რომ გამიგონია, მერე? — თევზს კუდი მოატეხა ხემიდმა.

— არაფერი. — თქვა ბერიკაცმა. — ეს მისი მიწაა.

— უყურე შენ! — ახლა მეორე თევზს წაეტანა ხემიდი.

— დასცინი კიდევ, — თქვა ბერიკაცმა, — მე კი მეგონა, მართლა იცოდე ჭაღარის პატივისცემა.

— თქვენ თვითონ სადაური ბრძანდებით, ეფენდი. — საუბრის განა-
ლება სცადა ჭაბუკმა.

— შორიდან მოვედი. ძალიან შორიდან. თევა რომ თევაზე მოვდი-
ლის მოახლოებას რომ იგრძნობს, ისიც თავის მდინარეს მიაშურებს.
ყველას თავის მამულ-დედულში უნდა სიკვდილი. დავილაღე. დიდი ხანია
მოვდივარ.

ხემიდმა თავი ასწია.

ბერიკაცი ხის გამოშვერილ ფესვზე დამჯდარიყო და თოფი მუხლებზე
დაედო.

— გამოდის, რომ სასიკვდილოდ ემზადებით!

— ასეა. — კვერი დაუკრა ბერიკაცმა. — დიდი დღე აღარ დამრჩე-
ნია. ეს ადგილები ჩემია, აქ ვაპირებ სიკვდილს.

— ეჰა! — ხმაურით გააწყლაბუნა ენა ხემიდმა. — რა ღროს სიკვდი-
ლია. ბიძაჩემი თქვენზე ჯაბანია. ოთხმოცდარვა წლის გახდა ამ გაზაფხუ-
ლზე. კიდევ ოთხმოცი უნდა ვიცხოვრო, ამბობს.

— რა ჰქვია ბიძაშენს?

— ყედირა.

— ვიცნობ ბიძაშენს. იცხოვროს, თუნდაც კიდევ ასი წელი, რა მენალ-
ვლება?! მე კი სიცოცხლე მომბეზრდა. სხვის მიწაზე წაწალი მომბეზრ-
და. მიტომაც მოვედი.

ბიჭმა გაიღიმა.

— ჩვენს ადგილებში სიკვდილი ძნელია, — თქვა მან, — ჩვენთან პი-
რიქითაა — სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მოდიან, მთავრობამაც ასე
დაადგინა, ონტოროთის ტყე და მისი მიდამოები სიცოცხლეს ახანგრძლი-
ვებსო. სანატორიუმები ავაშენეთ.

— ჩემთვის არა, — თვალები უცნაურად დაკუსა ბერიკაცმა, — მე
მტერი ვარ თქვენი, შენი მტერი ვარ.

— ჩემი? — გაიკვირვა ხემიდმა და ჩაფიქრდა. — რატომ უნდა იყოთ
ჩემი მტერი?

— შორი ამბავია. მე კი ლაპარაკი მეზარება.

ხემიდს ბერიკაცის ნათქვამი ენიშნა. გონების კუნჭულში რაღაც შე-
ინძრა, შეიშმუნა, შეშფოთდა.

— თუ არ გეწყინებათ, თქვენი სახელი მითხარით, ეფენდი, — თქვა
ხემიდმა.

— მე თვითონაც არ ვიცი, რა მქვია, — ჟღალ წვერზე ხელი ჩამოისვა
ბერიკაცმა. — მქონდა სახელი, მარა დამავიწყდა. ნუ გეშინია, მართლა
მტერი როდი ვარ! მეც შენსავით მდინარის გაღმა დავიბადე. წინათ ვერა-
ვის ვიტანდი. ამ ადგილების დანახვა მეზარებოდა. ადამიანების დანახვა
მეზარებოდა, ახლა კი გულმა აქეთ გამომიწია, კვედები, ალბათ. სიკვდი-

ლი მეძახის, ალბათ. შორიდან მოვედი-მეთქი. ჩემს საკუთარ მიწაზე დავ-
ბრუნდი. შენ თევზზე დამეპატიჟეო, მეუბნები. სინამდვილეში კარგაა, რა
უნდა იყოს. ეს მე უნდა გეპატიჟებოდე, რადგან თევზი ჩემს მდინარეშია
დაჭერილი, შენც ჩემი ტყის კუნძუზე ზიხარ, კოცონიც ჩემს მიწაზე და-
გინთია... ჰიიპ! ჩემს მიწაზე ქურდივით დავდივარ.

ხემიდმა უყურა, უსმინა და დაასკვნა: უცნაური ბებერია. ხელები
ძლიერი აქვს, სახეც მკაცრი და დაკუნთული, სული კი გამოფშუკურებუ-
ლი ექნება, ჩვენს ბოსელთან რომ წიფლის ხეა, ისე.

— ვერ გადამიწყევტია, — თქვა ბერიკაცმა, — გული ორად გამეყო.
ახალმა მთავრობამ სოფელი შესცვალა. გუშინ მთიდან ფუყურებდი სო-
ფელს. ფეხბურდლა ისმაილას ბაღვები წიგნებით მოდიოდნენ! რათ უნდა
ფეხბურდლა ისმაილას ბაღვებს წიგნი? მაგათი საქმე სამწყესური და მო-
ჯამაგირეობაა.

ხემიდმა არაფერი უთხრა. მან იცნო ბერიკაცი: ოსმან-ალა!

ხანძარი გაახსენდა ხემიდს. თორმეტი წლის წინანდელი ხანძარი. და-
ნახშირებული ხის მოცეკვავე კაცუნები გაახსენდა. მთელი სხეული უთრ-
თოდა. თორმეტი წლის წინანდელი სიმღერა მოიგონა ხემიდმა, ჩუმი,
მრისხანებით სავსე სიმღერა.

ახლა? თითონაც ვერ მიხვდა, რად იჯდა ასე მშვიდად. აკი თქვა, "შენი
მტერი ვარო... ჰა! პირდაპირი ყოფილა. უშიშარი ყოფილა. ამ მიწაზე უნ-
და მოგვკდეო. ჰა! იქნებ... და ცერად გადმოხედა ბერიკაცს.

— კარგი, — თქვა ბერიკაცმა, — დავჯდები შენს გვერდით. რაც არ
უნდა იყოს, ერთი მიწის შვილები ვართ. კალმახსაც შეეკვამ, ნომ ჩემს
მდინარეში დაიჭირე?

ხემიდს უკვირდა, რატომ იჯდა ასე მშვიდად.

გულს მიაყურა. გულიც საოცრად მშვიდად ფეთქავდა.

თუ ოსმან-ალა არაა? — დაეჭვდა უცებ.

— წელან კინალამ მოგკალი, — უთხრა ბერიკაცმა, — წამიც და
ტყვიას დაგარჭობდი. ცეცხლს ფიჩხი რომ შეუკეთე, მაშინ მინდოდა შე-
ნი მოკვლა.

ხემიდს ცივმა ოფლმა დაასხა.

— მაგრამ გადავიფიქრე, ვთქვი, იცოცხლოს მეთქი. რაც არ უნდა
იყოს, ახალგაზრდა ხარ. შენ არაფერი დაგიშავებია ჩემთვის. რა ჰქვია
მამაშენს?

— მამული! — უთხრა ბიჭმა.

— მწყემსი მამულა? — წამოიძახა ბერიკაცმა. — ვიცნობდი. უენო,
გულჩახვეული კაცია. ვერასოდეს გაიგებ, რას ფიქრობს. — და უცებ აე-
ნთო. თოფი შემართა. — წადი! გამშორდი! წადი აქედან! მე ისევ მინდა
შენი მოკვლა!

ხემიდმა გაღიმება სცადა.

— მომკალი მერე!

— აიღე შენი თოფი და გამეცალე!

ხემიდი წამოდგა. თვითონაც გაკვირვებული დარჩა, რატომ უნდა ემართებოდა?

— გზადაგზა მოიხედე. შეიძლება გესროლო.

— მესროლე მერე! — უხალისოდ თქვა ხემიდმა.

ახლა მთელი სხეული უზუოდა. რა იყო ეს? შიში თუ შეურაცხყოფით გამოწვეული ჟრჟოლა? ვერ მიხვდა. მაგრამ როცა კოცონს გაშორდა და დათვისთავა კლდეს გაუსწორდა, მობრუნდა. ბერიკაცი თოფმომარჯვებული იდგა. უმიზნებდა.

„მაშინებს, — გაუელვა ხემიდს. — იქნება უნდა, რომ მე მივარჯო უბლში ტყვია? თუ ეს უცნაური ბერიკაცი ოსმან-აღაა, ტყვიას როგორ დავამადლი. მაგრამ თუ ოსმან-აღა არაა და უბრალოდ შეშლილია, მაშინ?“

— მაინც უნდა მოგკლა. თავი დაიცავი! — დაიძახა ბერიკაცმა და თოფი დასწია. ხემიდს გაეცინა.

— მე კი შენი სიკვდილი არ მინდა. იცხოვრე. გქონდეს ეს მიწა, ვინ გართმევს?

— შენ მართმევ, შენ! — ჩახრინწული ხმით წამოიძახა ბერიკაცმა და ისევ შემართა თოფი. ხემიდი მიხვდა, — მესვრისო. მიწაზე დაწოლა დააპირა, ტყვიამ თავზემოთ გაიზუზუნა.

ხემიდმა ჰაერში გაისროლა და გაწვა.

„ოსმან-აღა! ოსმან-აღა!“ — ყვიროდა გონება. ყვიროდა სხეული. ხელების გარდა ყველაფერი უთრთოდა. ბალახი მაღალი იყო. ხემიდი ბუჩქებისაკენ გაბობლდა.. ტყვიამ ისევ გაიწვილა ყურთან. აი, ბუჩქებიც. აწი ბერიკაცი ველარ დაინახავს ხემიდს. ახლა მთავარია წყარომდე მიაღწიოს... ხოლო თუ წყარომდე მიაღწია, მერე ზურგიდან მოუვლის ბერიკაცს. საშუადღეოზე ასული მზე გამკრთალდა. ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა ხემიდს. მიწა კი სველი იყო და მწებადი. სახე მოიწმინდა. ლოყაზე ტკივილი იგრძნო. სისველე იგრძნო. ხელზე დაიხედა. წითლად შეღებილიყო ხელი. ტყვიას ყურთან კი არ გაუზუზუნია, არამედ ლოყა გაუკაწრავს. ჰა! და იმ წუთს, როცა ხესთან ჩაცუტქულ ბერიკაცს ზურგიდან უბირებდა შეპყრობას, მას გაახსენდა ბავშვობისდროინდელი სიმღერა. ჩუმი სიმღერა. ეს სიმღერა მრისხანებითა და შურისგებით იყო სავსე. მაგრამ ცა იყო მოწმე, ხემიდს ერთხელაც არ გაუფუქრებია იარაღის ხმარა. ბერიკაცის შეპყრობა ცოცხლად უნდოდა. ეს იყო და ეს.

სხვა დანარჩენი...

ცაა არწივის, გორები ქორის,
მინდორში ჩიტებს ბურღლავს მიმინო.
შენც შენი გზები მითხარი თორემ,
ამ გზებზე ისეც უნდა ირბინო.
საბა სულხანის ბებერი ტორი
გონიოს კედლებს გზნებად ატყვია,
სიცრუის სიბრძნე გაგაჩნდეს თორემ,
რა ხმალი დაგცემს, ანდა რა ტყვია.
კლდეზე გაწვება და გააზმორებს,
დაჭრილი ვეფხვი, სისხლის ბწკლიანი,
ეს სიცხე გქონდეს, ეს ბული თორემ,
აქ ლოდი ისეც ნაპერწკლიანობს.
ღრმას და ღონიერს ჩაეყურებ მორევს,
ზღვის ზარიანი მეხლება ზვირთი,
ეს ზვირთი გქონდეს, ეს ჯანყი თორემ,
დანარჩენს ისეც ნახავ და იტყვი.
გადმოაგორებს ჭოროხი მორებს,
ჭოროხი რჯულით მქუხარე ასე,
ეს ღვედი გქონდეს, ეს ყვეთი თორემ,
რამდენსაც გინდა ნახავ და გასცემ.
გაედევნება სამრეკლო გორებს,
ჩამოუყვება ზარები ხევებს,
ეს წესი გქონდეს, ეს რწმენა თორემ,
სხვას ისეც დასჭრი და გაახევებ.
ბალახებს, ყვავებს, წვიმებს და თქორებს,
მხოლოდ აღერსი მიიტანს გულთან,
ქუსლში ეკალი ფეთქავდეს თორემ,
ვარდი წაიღონ რამდენიც უნდათ.
ციხის ნეკნები, ჟანგი და ყორე,
მტრის თუ მოყვარის კერძია მუდამ,

სულში ვენახი ყვაოდეს თორემ,
ღვინო დალიონ რამდენიც უნდათ.
ცაა არწივის, გორები ქორის,
შენ გულზე იდებ ღონიერ ხელებს,
ეს მიწა გქონდეს, ეს წყალი თორემ,
სხვა დანარჩენიც იქნება მერე.

ჩურჩულით... ფხეპარებით...

მამულის ბედი თუ უბედობა
ყელმოღერებულ გედივით გალობს,
მის ყველა მეფეს და მის დედოფალს
ჟამის კვერთხი და გვირგვინი წყალობს.

მამულის ბედი თუ უბედობა
განძივით გასდევს დროსა და მანძილს
და ღობე-ყორეს ლოცვად ედება
კოცონი მისი მოწოლილ ვაზის.

იღვიძებს მისი ძველი მარნები,
წინაპრის სქელი ფერფლი რომ აძევს
და ლეგენდები, როგორც ფარნები
გაანათებენ მღუშარე ტაძრებს.

არა იმიტომ, რომ სცემს საფეთქლებს
მერყოლავი ჟინით ღრეობის ჩქამი,
მე შენი ობლის კვერი გავტეხე
და წინ ჯავრივით დავიდგი ჯამი.

და ვამბობ, ცოდვად მოეც შენდობა,
და ღირსი ჰყავი მარადი ზიზღის,
ამ მიწის ბედი თუ უბედობა,
ვისაც არ უზის წინაპრის სისხლი.

და ვყვირი, წყევლად მოეც შენდობა,
ბალამად ხორბლის ხმიადი თბილი,
ამ მიწის ბედი თუ უბედობა,
ვისშიც არ ბადებს დარდსა და ტკივილს,

განა სიყვარულს ნიშავს ღონიერს?!
არგულწრფელობას ღიმილის ტბორი?!
გატყვირო მისი კენჭი მარილი
და გადმოუგდო სტრიქონი ორი...

ეხ, ჩემო მიწავ, სულის აკლებავ,
ცაო, ჩიტების ჭიკჭიკით სავსევ,
დაგსაჯა ალბათ განგებ განგებამ,
რომ გაგაჩინა ლამაზი ასე.

ატყვია შენი ხელის ლავაში
მიზგიტების თუ ტაძრების კარებს...
შენ ბევრს ჰგონიხარ ქალი ლამაზი,
ქალი, რომელიც ახარებს თვალებს.

შენ ბევრს ჰგონიხარ: ნისლის პირბადე,
ვარდის სუნთქვა თუ მიმოზის ტოტი,
კი არ იციან სად დაიბადე,
სად იყავი და საიდან მოდი.

კი არ იციან, რა გადიტანე,
რა უღმობელი ჰენება დროთა,
რით დაგეკვალთა ტანი ტიტანი,
რა გიდუღებდა სისხლსა და ქოთანს.

კი არ იციან, ჩანგთან, ჩონგურთან,
დედამ რამდენი დამარბა განძი,
და შენს კედელზე ცოცხალ ჩუქურთმად,
რად ამოჰკვეთეს მარჯვენა კაცის.


ეხ, ჩემო მიწავ, სულის აკლებავ,
ცაო, ჩიტების ჭიკჭიკით სავსევ,
დაგსაჯა ალბათ განგებ განგებამ,
რომ გაგაჩინა ლამაზი ასე.

სამრეკლოების აწვდილ ხელების,
მე გაუგონარ ყიყინას ვისმენ,
და შენი ძველი ევანგელით,
მამაღლებს ჩემი ახალი ქრისტე.

ნუ ეგონება წარღვნა, მეზობა,
შენს ფოთლებს ქარი, ბალახებს — ცელი,
შენი მტკაველი ეზო მეყოფა,
რომ შევაჯერო სამყარო ვრცელი.



იქ, სადაც ძველთა ძვლების ალაგი
ბოლავს და ზარზმა გუგუნებს გულთან,
ჩურჩულთ უნდა ილაპარაკოთ
და ფეხაქრეფით იაროთ უნდა.



საქართველო

საქართველოვ,
ვინაც შენი
სილამაზე იხილა,
შენი ჩრდილი იჩრდილა და
შენი ხილი იხილა,


შენი ცა და შენი მიწა
ვინაც ახლო გაიცნო,
სიძულვილი დაივიწყა,
სიყვარულით აივსო.

აბა ვის არ მოხიბლავდა
ბედთან შენი კვეთება,
შენი აზრის სიმაღლე და
შენი სულისკვეთება,
შენი თავშეკავება და
შენი თავგამეტება,

ამტანობის, გამტანობის,
გამძლეობის უნარი,
შენი ზეცის, შენი მინდვრის
ფერი გაუხუნარი.

მიყვარს შენი ცა მაღალი
და მზე ოქროს თმიანი,
ფრთაფარფატა შენი ნისლი,
ქათიანი, რძიანი,

დიდებული შენი მიწა
ზღვიანი და მთიანი,
ხნიერი და სხმიერი და
ძლიერი და მთლიანი.



მ მ ძ ა ხ ი ს

მეძახის შენი ბიბინა ველი
და შენი დიდი სინათლის ღვარი,
შენი ცის ფერი,
შენი მზის ჩქერი,
შენი წარსული და მომავალი.

შენში მარადი სიცოცხლე ფეთქავს,
მშვენებით ღვივი,
იღვრები სითბოდ.
და თუ სიმაღლე არსებობს ქვეყნად,
შენ ხარ — ყველაზე მაღალი ფიქრო⁸

მინდა შენი ცით სული ავივსო,
შენი ცხელი მზით გული გავრუჯო,
ჩემო თბილისო,
ჩემო კრწანისო,
ჩემო ხერთვისო და არტანუჯო;

კლდევ პიტალო
და მთათ კორტოხო,
გულგადაშლილ ველო მწყაზარო,
ჩემო მტკვარო და ჩემო ჭოროხო,
ჩემო ენგურო და ალაზანო!

ხმა გამაგონე, გულის გამღები
და სიყვარულის მაღლი მომფინე,
დამალოცინე შენი ბალები
და შენი ზერები დამაკოცინე!

შენი ცვარნამის სუნთქვა მეძახის,
მოლზე მძივებად გაბნეულების,
გადაფოთილი შენი ვენახი,
შენი ჭალა და ანეულები;

შენი „ლილეო“ და შენი „ნანა“ —
ჩვენი სიცოცხლის ტკბილი ჰანგები,
ჟუჟუნა წვიმა, შრილა ყანა,
მზით შემოსილი განთიადები.

მეძახის შენი ფუძე და კარი,
და გადაუხდელ ვალით მავალებს
შენი სინათლის უწყვეტი ღვარი,
შენი წარსული და მომავალი.

* * *

ჩუმად, ჩუმად, გაზაფხულის ქარო,
იჩიებს არ დაუფრთხო ძილი;
შეხე, კვირტი რა უთქმელად ხარობს,
შეხე, ვაზი სიხარულით ტირის.
ატამს ამკობს ელვარება თვალთა
და სიამით იშმუშნება ნუში...
გაუშლია მადლიანი კალთა
მამულს, მზე რომ ჩახატვია გულში.

ხიჭბურის ციხე

I

სიმტკიცედ ჩვენთა ---
სულთა მათთა,
მკლავთა,
ნაღვანთა,
აქ ჟამმა
ქართველ კაცთ მიანდო
შენი ასვეტა.
წლების მჭრელ კბილმა
დახრა შენი მაგარი ძვალი,
ისართა,
შუბთა,
ხანჯალთა ელვით
რომ იყო მორთულ და წამოდგარი-
გაფრენილს ცისკენ
არწივულ მზერით,
დიდება ძველი მიწისკენ გწევს,
რომ იყო
ახალ დღეთა ზიარი,
ძალა, სიმღერა მძლეთა მძლე.

II

შორით ნამგზავრო,
მოხველ,
გელის ახალი შარა
და მზე სიყვარულს გიგზავნის ჯარად-
ძველი იარა,
ფიქრი,

სულის მუდმივ ფხიზლობა
მორჩა,
გპატრონობს უშფოთველი მარადისობა.
და მსურს ტყეთა ჰანგს
შენთა ხმათა სიმიც ერიოს,
რომ მუდამ მწამდეს
ვერაფერი ვერ მოგერევა.
მთათა ბილიკებს
მედიდურად როცა აყვები,
ბარი მოგძახის:
სიყვარულით გვეამაყები.

პეტანკი და სპიტი

მრგელო დელები

ნ ა რ კ მ მ მ

უსუფი ჯირკზე ჩამოჭდა და ჩიბუხი გააბოლა. ახალა იგრძნო ბე-
რიკაცმა დაღლა. მთელი დღე მუხლი არ ჩაუხრია, მანდარინის ბალი
გადაბარა, დიდთოვლობის დროს დამტვრეულ ხეებს მოეფერა, ხმელი
ტოტები მოაშორა. დაიღლა კაცი. პატარა ხნისაც აღარაა, სამოცდაათს
მალე მიუკაცუნებს.

ნათაზი ღრმად დაარტყა მოხუცმა. კვამლი ბოლქვა-ბოლქვა გამოუშვა
და ფიქრებიც თან გააყოლა. რამდენი ოფლი ჩაუქცევია უსუფ ჯანოძეს ამ
მიწაში, მაგრამ არ ნანობს, პირიქით, კმაყოფილია. მისი ნაამაგარი კარ-მი-
დამო ავთვალს არ ენახება. კარგ მეურნედ იცნობენ სოფელში. მარჯვენას
უქებენ გამრჯე კაცს. ხუმრობა ხომ არ არის, ოცდახუთი წელი იმუშავა
კოლმეურნეობის ბრიგადირად. კარგი შვილები დაზარდა და ყველა გზაზე
დააყენა. განსაკუთრებით მაინც უფროსმა ქალიშვილმა გუგულომ ასახელა..

„კვიცი გვარზე ხტისო“ — ჩურჩულებს ბერიკაცი.

ატმის ხეებს ცეცხლი წაჰკიდებია. ერთიანად აფეთქებულან. დასავლე-
თიდან სიომ დაჰქროლა და ხანძარივით გადაარწია ატმის ტოტები.

ფურცლობისა და ყვავილობის დრო იყო. ძალუმად იგრძნობოდა გაზა-
ფხულის სუნთქვა. გრილი მიწისა და ნამის სურნელი ტრიალებდა ჰაერში.
უსუფი წამოდგა, ლობესთან მივიდა და ჭოროხის ხეობას გადახედა.

მზე ჩადიოდა.

მთების უზარმაზარი ჩრდილები ზღაპრული დევებივით იწვნენ
ქალებში.

ხეობაში ბინდი წვებოდა.

მყუდროებას ჯოჯოს წყლის შხუილი არღვევდა.

— უსუფ, ჰაუ, უსუფ!.. — შემოესმა ძახილი.

ალაგესთან სიყრმის მეგობარი რეფიყ პაპაძე იდგა.

— აა, შენ ხარ ჭო? გადმოდი ძიავ, რაღას უყურებ.. — დაუფრევ
უსუფმა სტუმარს.

რეფიცი ხვნიშით გადმოვიდა ალაგზე. ბერიკაცები მორზე
დნენ.

— ოჯახში ხომ კარგად, ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა უსუფმა.

— რა გეიშავს, ვცოცხლობთ. თქვენ რასა იქმთ, სულ დამივიწყე ამ
ბოლო დროს, — უსაყვედურა მეგობარს რეფიციმა.

— ეჰ, ველარ ავუთავდი ამდენ სტუმრიანობას. — თქვა უსუფმა.

— რა ამბავია, რა მოხდა ასეთი?

— არ იცი თუ?!

— არაფერი ვიცი.

— ჩამორჩენილხარ ძიავ, გაზეთს მაინც არ კითხულობ?

— აღარ იტყვი რა მოხდა ამისთანა?!

— ჩემი გუგული სოციალისტური შრომის გმირი გახდა. — ხმამალა
თქვა უსუფმა.

— რას ამბობ, რამდენი ხნის ამბავია?

— ორი დღის წინ გადმოსცა რადიომ, გუშინწინდელ გაზეთშიც იყო...

— ასე გეთქვა, ოჯახს შენებულო...

უსუფს ჩაელიმა.

— გვასახელა ბალანამ, მომილოცავს ძიავ!

— გმადლობთ, შენც გაგახარა გამჩენმა.

— ჩამოვიდა მოსკოვიდან?

— წაღან ბაღიშმა ამომიტანა ამბავი, ჩამოვიდაო.

— გახსოვს ამ ოცდაათი წლის წინათ რომ გითხარი, ამ გოგოსაგან
სახელოვანი ქალი დადგება-მეთქი? აკი ახლა ჩემი ნათქვამი!

— დღევანდელ დღესავით მახსოვს, ჩაის პლანტაციიში მახლდა მაშინ...
ეჰ, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას აქეთ.

უსუფმა ჩიბუხიდან ფერფლი გადმობერტყა, ბარს დაწვდა და სტუ-
მარს სახლისაკენ წაუძღვა.

— გულიზარ, ჭალო, გამოიხედე, სტუმარია, — გასძახა უსუფმა სამ-
ზარეულოში მოფუხფუხე მეუღლეს.

გულიზარი ღიმილით შეხვდა სტუმარს.

— მობრძანდი, რეფიცი ბატონო.

— ნუ სწუხდებით, რძალო, მალე წავალ.

უსუფმა ტანზე გამოიცვალა და მეუღლეს მიუბრუნდა.

— მე და რეფიცი იბრაიმათნ მივდივართ, გუგულის ვნახავთ, საქმეს
რომ მოათავებ, შენც ამოდი.

უსუფი და რეფიცი ტაატით დაადგნენ გზას.

დადამდა. სოფელში ნათურები აკიაფდნენ. კლუბ-კანტორის ეზოდან
ახალგაზრდების სიცილ-ტყარცალი ისმოდა.



ბერიკაცებმა წარსული დროება მოიგონეს.

გამთენიისას მამლები რომ შეუხშირებდნენ ყვილს და ჯერჯერობა გაიხსნებოდა, აქა-იქ გაიჭრიალებდა ისლით დახურული ქოხის კარი. დირეს ზანტად გადმოაბიჯებდნენ კაცები, ლაფაროში თოხებს მოძებნიდნენ, ალესავდნენ და ეზოს გადაღმა გადავიდოდნენ. საღამოს წელმოწყვეტილი, გასავათებული ბრუნდებოდნენ შინ და ხვდებოდათ კვამლით სავსე ქოხები და გაყვითლებული ბავშვები.

— ნენი მშოი, ჭადი მინდა!... — ღნაოდნენ ბალები.

გული უკვდებოდა ოჯახის მარჩენალს.

ხმელა მჭადი ენატრებოდათ და... ვერ მოჰყავდათ სამყოფად.

გამოხდა ხანი. სიცოცხლის შუქმა ამ ღვთისაგან მივიწყებულ სოფელშიც შემოანათა და დაბეჩავებული გლეხკაცის გული იმედით აღავსო.

ახალმა ცხოვრებამ მძლავრად გაშალა მხრები, სიკეთე, ბედნიერება და სიხარული მოიტანა. მშრომელმა კაცმა შვებით ამოისუნთქა.

და ახლა, როცა მტრედისფრად ინათებს, ერთბაშად ახმაურდება სოფელი, თითქოს ერთსადაიმავე დროს იღება მტკიცედ ნაშენი ქვითკირის სახლების კარები, კიბეებს მსუბუქად ჩამოირბენენ მოლიმარი ადამიანები და მოასფალტებულ შარავზაზე გასულნი მშვიდობის დილას უსურვებენ ერთმანეთს. მერე ჯგუფ-ჯგუფად მიაშურებენ ჩაის პლანტაციებსა თუ ციტრუსების ბაღებს და არემარეს ხალისიანი შრომის სიმღერით აახმიანებენ. საღამოს მოღლილი და კმაყოფილი ბრუნდებიან ოჯახებში და მათ ხვდებათ ბავშვების უღევი ღიმილი, სითბო, სიხარული და მყუდროება...

მოხუცებმა შუკაში შეუხვიეს. მათ თანასოფლელი მამულ რეკემადე დაემგზავრა. საღამო მშვიდობისა უსურვეს ერთმანეთს.

— საით გაგიწვია, მამულ? — ჰკითხა უსუფმა.

— მეც თქვენი გზა მაქვს... ჰო, მართლა მომილოცნია, ძალიან კი გაგვახარა გუგუღი.

— ასეა, დღეს ადამიანი შრომაშია მშვენიერი, შრომით ფასდება, — თქვა რეფიყმა.

— ასეა, ძიავ, ასე. მერე როგორ ფასდება აღარ იკითხავ? აგერ გუგუღიც ალალი, პატიოსანი შრომით არ გახდა დაფასებული და სახელიანი?! აფერუმ მაგის ქალობას, თავიც ისახელა და ჩვენც გვასახელა, — დაუმატა მამულმა.

ბერიკაცები ისე იყვნენ გართული საუბარში, რომ არც კი გაუგიათ როგორ მიადგნენ იბრაიმ ლორთქიფანიძის სახლს. უსუფი დაწინაურდა, მას სიძე გამოეგება.

— ო, მობრძანდით, ზევით ავიდეთ, ყველანი იქ არიან.

იბრაიმმა სტუმრები ხალხით სავსე ოთახში შეიყვანა. ნუგზარი კარზე-
ბით დახვავებულ სუფრასთან მსხდომნი ქეიფის ეშში შესულობდნენ.
თამადა ენამზებოდა.

— ქართველი ერის ბურჯს, გლეხეაცს გაუმარჯოს! მის ალალ-მართალ
გულს, მის მარჯვენას გაუმარჯოს!

სადღეგრძელოს „მრავალჯამიერი“ მოჰყვა.

გუგული ქალებში იჯდა და ვინ იცის მერამდენედ ჰყვებოდა მოსკო-
ვურ შთაბეჭდილებებს, ნანახსა და განცდილს.

გული სიხარულს ველარ იტევდა.

გმირობას ულოცავდნენ გუგულის.

მეორედ დავიბადეო, გაიძახოდა იმ საღამოს უსუფ ჭანიძე. გულიზა-
რიც ფარვანასავით თავზე ევლებოდა შვილს, წამდაუწყმ ეკითხებოდა
მოსკოვის ამბებს.

მაინც რა დიდი გული ჰქონია სოფელს, ფიქრობდა გუგული, რა
სიყვარული შესძლებიათ ამ დალოცვილ ადამიანებს. დღემდე ამას ვერც
წარმოიდგენდა. ისიც სოფლის უბრალო ადამიანია და არასოდეს უფიქრია
იმაზე, რომ მთელი სოფელი ადევნებდა თვალს მის შრომას, აფასებდა მის
მარჯვენას. ახლა კი? ახლა მთელი სოფელი აქ, მის ოჯახში მოსულა.

მართლაც, რა მოსიყვარულე გული ჰქონია სოფელს!

* * *

ისევ გაიხსნა ფიქრის გორგალი...

ისინი დგებოდნენ ერთად, თვალხატულა გოგონა და ცხრათვალა მზე.
გოგონას რატომღაც ყოველთვის მალლა ეჭირა თავი მზისკენ. ალბათ ეშო-
ნოდა, არ დაესწრო ამოსვლა.

ფეხშიშველი გაირბენდა ცვრიან ბალახზე. ბოჩოლას მიესიყვარულე-
ბოდა. ასკინცილით გადაირბენდა ეზოს და სოფლის გოგო-ბიჭებში გაერეო-
და. წაბლნარის მთაზე ადიოლდნენ, ტყეში სოკოს ეძებდნენ დალამებად.
იქედან ხელისგულივით ჩანდა ზღვა. ზოგჯერ განმარტოვდებოდა, ბექობზე
მდგომი სევდიანად გაჰყურებდა ზღვაში ჩამავალ მზეს. ბინდი წვებოდა
ზღვაზე, შორს ცა უერთდებოდა ზღვას. გოგონა იდგა უხმოდ და გაუძძრე-
ლად.

— ვინ გაიგონა ციცაის ამდენი სოფელ-სოფელ ტანტალი? — ჯავრო-
ბდა უსუფი.

— რა უშავს ნეტაი, ჯერ ბაღია, — დაუყვავებდა გულიზარი.

— იძახე ბავშვია, ბავშვია და კაი ვინმე დაგიდგება. აქედან უნდა მია-
ჩვიო ხელსაქმეს! — უსაყვედურებდა უსუფი მეუღლეს.

გოგონა კი მოჩვენებასავით შეიპარებოდა ოთახში, წვებოდა ჩუმად
და ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე.

სკოლის მერხიდან ეზიარა მეჩაიის მძიმე შრომას. ჯერ მამას დაჰყვებო-

და პლანტაციაში და ეხმარებოდა რითაც შეეძლო. კარგად ახსოვს, რო-
გორ უხაროდა პირველად რომ ექვსი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოეჭრებოდა.

წელი წელს მისდევდა. გუგულის დაამთავრა რვა კლასი. გაზაფხულის
ბოლოს სკოლის მერხიდან ჩაის პლანტაციას მიაშურა. მერე, როცა თითები
ფოთლის კრეფაში გაიწაფა და დიდებსაც აღარ უდებდა ტოლს, ცალკე
ნაკვეთი მოითხოვა.

გუგულის იცოდა დიდი სიყვარული მეგობრისადმი, გააჩნდა ადამიან-
ნის გაგების უნარი, გულთახედვა. ზოგიერთივით თავის თავს არ წამოსწევ-
და წინ. იგი ამ თვისებებს მეტადრე კოლექტიური შრომის დროს ავლენდა.
რგოლის წვევრებთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობდა. ამიტომაც არ
გრძნობდნენ ისინი დაღლას, მათი შრომა მუდამ ხალისიანი და ბარაქიანი
იყო.

გუგულის სიტყვის ფასიც კარგად იცოდა და მუდამ სიტკბოსა და
სიყვარულს აფრქვევდა მეგობრებში. იცოდა, რომ ენით შეიძლება მოჰკლა
ადამიანი და მომაკვდავი მოარჩინო. ეს კეთილი გული მიუძღოდა მეგ-
ზურივით მომავლისაკენ.

გუგული თხოვდებო, ხმა გავარდა სოფელში. სხვაგან ვერ გავუშვებ-
თო, ამბობდნენ ერგელები. სხვაგან არც აპირებდა გათხოვებას. მისი
გულისწორიც ერგელი ვაჟკაცი იყო — იბრაიმ ლორთქიფანიძე.

მოდინო, დაიძახა მახარობელმა და მთებმაც ბანი მისცეს.

„მოგვყავს დედალი ხოხობი“... მღეროდნენ მაყრები.

დიდი საზრუნავი გაუჩნდა გუგულის. ოჯახს მიხედვა, მოვლა, პატრო-
ნობა უნდოდა. გადიოდა დრო და იზრდებოდა ოჯახი. სამი შვილი შეეძი-
ნათ გუგულის და იბრაიმს. უფროსი მეშვიდე კლასშია, შუათანა — მეექ-
ვსეში, ნაბოლარა კი მესამე კლასში დადის. თოთხმეტი წელიწადია სა-
კუთარი კერა გაიჩინეს და მას შემდეგ ხარობს ფუძემყარი ოჯახი.

შრომაში ათენებდა და აღამებდა ხელმადლიანი ქალი.

1969 წელს გაზაფხულზე ცუდი ამინდები დაიჭირა. უკვე აპრილი
იდგა და ზამთარი გეგონებოდათ. ისეთი ქარი ქროდა, ისე წვიმდა და
ხანგამოშვებით ისეთ თოვლწყაპსაც გამოუჩვენდა, რომ გარეთ ძალი არ
გაიგდებოდა.

მართალია, ავდარმა ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია შეაჩერა, მაგრამ გუგუ-
ლის მაინც არ ეშინოდა. იცოდა, მალე დადგებოდა ტაროსი. ზოგიერთი
ამბობდა, უამინდობის გამო მოსავალი არ იქნებოდა. ამიტომ ფართობი გავა-
დიდოთო, მაგრამ გუგული ჭანიძე ფიქრობდა, ფართობის გადიდება კი
არაა მთავარი, მოსავლიანობის გადიდებააო. ჩაის კრეფის წესების ზუს-
ტად დაცვა აღიდებს მოსავალს, ზრდის მის ხარისხს. ყველაფერი ეს კა-
რგად იცოდა გუგულიმ და ამიტომაც მთელი დღე ჩაის ბუჩქებში ტრი-
ალებდა. ცოდნისა და დაუზარელი შრომის წყალობით, უამინდობის მიუ-
ხედავად გუგულიმ შვიდი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

გუგულისათვის მთავარი მომავალი წლისთვის მზადება იყო. სიტყვა თქვა, რვა ტონა ჩაის მოგვრეფო და თავს ხომ არ შეირცხვენდა. მის გვერდზე არ ჩვევოდა სიტყვის გატეხა. ენერგია გააათქვამა. შემოდგომაზე გუგულის ჩაის პლანტაციის გასუფთავებას, შებარვას, გასხვლას, შეწამვლას, ნიადაგის განოყიერებას შეუდგა. ჩაის ბუჩქებს ფესვებს უფხვიერებდა, გრძნობდა რომელს რა უჭირდა. თითქოს მიწის ძახილიც ესმოდა, დამაპურე და წლის სარჩო ჩემზე იყოსო. გვალვას დროს დახეტილ მიწას, რომ შეხედავდა, სწყურია და პირი იმიტომ დაუღლიაო, იტყოდა. მამის სიტყვები აგონდებოდა — მიწა ადამიანით სუნთქავს, სწუხს და ხარობსო. მიწასაც ესმოდა მისი, მიწაც გრძნობდა მის დიდ სიყვარულს და ისიც აღარ იშურებდა მადლსა და ბარაქას.

ცუდ ამინდს თავს არ უდებდა. სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მზრუნველ ხელს არ აკლებდა ჩაის ბუჩქებს. თუმცა ძალიან უჭირდა, თვითონ სხლავდა პლანტაციას, ბარავდა, შეჰქონდა ორგანული და მინერალური სასუქები.

შუადღისას შეისვენებდა, სულს მოიბრუნებდა, ახლა ტოტებდამძიმებულ ხეხილს გადახედავდა, მერე ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ ციტრუსების ბაღს შეავლებდა თვალს. იქიდან ფერდობებზე გადაიტანდა მზერას, მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრე ჭოროხის ხეობის ცქერითაც დატკბებოდა და მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით დატყვევებული ქალი ისევ საქმეს მიეძალებოდა.

თვალსა და ხელს შუა ჩაილია ზამთარი, არემარე ამწვანდა, კვირტები დაიბერა და დასკდა. გაზაფხულმა დამატობელი სურნელი მოჰფინა სოფელს. ჩაის ბუჩქებზე ლორთქო კვირტები წამოიზარდა, ღუყებიც გაიშალა და აი კიდევაც შეეხო ალერსიანი თითები. ეს გუგული იყო. ისე თავდავიწყებით კრეფდა, რომ მის ირგვლივ თუ ვინმე იყო არ ეგონა. როცა სიმღერა ჩაესმა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ მარტო არ იყო, რომ რგოლის წევრებიც მასავით თავაუღებლივ კრეფდნენ ჩაის ფოთოლს.

გუგული ჭანიძემ სიტყვა შეასრულა, ნახევარ ჰექტარზე რვა ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, და ქვეყანაც ალაპარაკა.

სახელოვან მეჩაიეზე წერდნენ რესპუბლიკური და ცენტრალური გაზეთები. ალაპარაკდა რადიო, ტელევიზია.

* * *

ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი წელი, რომლის დავიწყება შეუძლებელია. ასეთია გუგული ჭანიძისათვის 1971 წელი. მღელვარე, დაუვიწყარი დღეების წელი.

გუგული ჭანიძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის დელეგატია. და აქ განიცადა უდიდესი ბედნიერება — საბჭოთა

კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის დელეგატად
აირჩიეს.

მატარებელი რუსეთის ტრამალებზე მიქრის.

გუგულის რატომღაც ეჩვენება, რომ გზა უსაშველოდ გაგრძელდა და
აღარ თავდება. ასეა, ფიქრები უსწრებენ დროსა და მანძილს.

კურსკის ვაგზალში გულთბილად შეხვდნენ კომუნისტთა დიდი ფორუ-
მის მონაწილეებს — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტე-
ტის პირველ მდივანს ალექსანდრე თხილაიშვილს, აჭარის ასსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარეს ლევან დავითაძეს, საქართველოს საზღვაო სანაოს-
ნოს უფროსს ანატოლი კაჭარავას, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს
ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს გუგული ჭანიძეს.
ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ხარატს ვლადიმერ დოლიძეს,
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ალექსეევკის“ ბოცმანს კარონ
ოსაძეს.

და აი გუგული ყრილობაზეა.

დილის ათი საათია. დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა საბჭოთა კავში-
რის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს
წევრებს.

დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სკკპ
ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხ. ნ. ვ. პოდგორნის
სიტყვა.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, სამდივნო, სარევიზიო კომისია და
სამანდატო კომისია.

გუგული ჭანიძეს ისევ დიდი პატივი ხვდა წილად — სამანდატო
კომისიაში აირჩიეს.

სამანდატო კომისიის წევრები თავიანთ ადგილებს იკავებენ. გუგულის
გვერდით ახალგაზრდა ქალი დაჯდა.

— კლავა სმირნოვა, ორიოლის ოლქიდან, — გაეცნო იგი ქართველ
მეჩაიეს.

მწველავ კლავა სმირნოვასაც შრომამ გაუთქვა სახელი.

კლავასა და გუგულის მოღიმარი კაცი მიუახლოვდა. იგი ჯერ კლავას
მიესალმა, მერე გუგულის მიუბრუნდა და რუსულად ჰკითხა:

— თქვენ საიდან ბრძანდებით, ქალბატონო?

— საქართველოდან.

— ო, ძალიან კარგი, ჩემო ბატონო, — ახლა ქართულად თქვა მან და
ხელი მაგრად ჩამოართვა გუგულის.

ნეტავი ვინ უნდა იყოს, ფიქრობდა გუგული, თითქოს ნაცნობი სახე
აქვს, თითქოს სადღაც უნახავს, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა. მერე მოაგონ-
და — გაზეთებში, ტელევიზორში არაერთხელ უნახავს ეს ადამიანი. პო,
ნამდვილად ისაა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მიხეილ გიორგაძე. უხერხულად იგრძნო თავი, ამდენ ხანს როგორ ვერ ვიცანიო, ჯავრობდა.

— რა გქვიათ, ქალბატონო? — ისევ ჰკითხა პრეზიდენტის მდივანმა.
— გუგული... ჭანიძე.
— ძალიანაც კარგი. სად მუშაობთ?

— მეჩაიე ვარ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის წევრი.

— დღეს კი ყრილობის დელეგატი, არა?
— დიახ, ბატონო მიხეილ, დიდი ბედნიერება მხვდა წილად.
— მეც უბრალო მუშა ვიყავი, ერთ დროს ტრაქტორისტიც გახლდით, ასე დაიწყო ჩემი ბიოგრაფია.

შესვენების შემდეგ გუგულიმ და კლავამ კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის მდივანთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

გუგული ჭანიძე, როგორც ყველა დელეგატი, გულდასმით ისმენდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, დელეგატებისა და საზღვარგარეთელი სტუდენტების გამოსვლებს. განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის საკითხები აინტერესებდა.

გუგულის სიამაყის გრძნობა დაეუფლა მაშინაც, როცა ამხანაგი ვ. პ. მქავანაძე საქართველოს მშრომელთა სასახელო საქმეებზე, მეჩაიეთა წარმატებებზე, მათს დაუღალავ შრომაზე ლაპარაკობდა. მან ყრილობას აღუთქვა, რომ ქართველი მეჩაიეები 1975 წლისათვის სამშობლოს მისცემენ 300 ათას ტონა „მწვანე ოქროს“. ყრილობის დღეებში შეიტყო მახარბის რაიონის მეჩაიეთა ინიციატივის შესახებ, მოეწონა და მხარი დაუჭირა მას.

კრემლის ყრილობათა სასახლეში გულში ჩამწვდომი სიტყვები გაისმა, საქართველოს მოწინავე ადამიანები დააჯილდოვეს. გუგული ყურს არ უჯერებდა, სოციალისტური შრომის გმირთა შორის მისი გვარიც რომ დაასახელეს.

გაოგნებული იდგა, უცებ ვიღაც გადაეხვია და გადაკოცნა.

— ძვირფასო გუგული, გილოცავ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭებას, — პირველმა რუსთავეის ქიმიური კომბინატის მუშამ ნანა სიხარულიძემ მიულოცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო.

ამდენი სიხარული ერთად.

გუგული ცრემლებს მალავდა. დიდ სიხარულსაც სცოდნია თურმე კრემლი.

ყრილობათა სასახლის ფოიეში ნაცნობი თუ უცნობი ყველა ულოცავდა და დაჯილდოებას, მოწიწებით ართმევდნენ ხელს სახელოვან ქართველ მეჩაიეს.

სასტუმროში დეპეშების დასტა დახვდა. ვინ არ ულოცავდა. საიდან

არ მოდიოდა მოსკოვში მილოცვის დეპეშები. ყველაზე ამალელებელი მაინც თანასოფელთა — ერგელთა დეპეშა იყო.

„ჩვენო ძვირფასო გუგული!

დღეს ზღვა სიხარულია ერგეში, რადიომ და გაზეთებმა სასიხარულო ცნობა მოგვიტანეს: შენ, ჩვენი სოფლის სახელოვან ქალს, მთავრობამ დიდი პატივი დაგდო და პატიოსანი, დაუზარელი შრომისათვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მოგანიჭა, ბარაქალა შენს ქალობას, რომ გვასახელე და გავგახარე“.

ისევ მშობლიური კუთხე, ისევ მშობლიური სოფელი, ნაცნობი მთები, ველ-მინდვრები, საყვარელი გზები, სახლები, ეზოები... სახლშიც ბევრი დახვდა მოსალოცი დეპეშა.

ვეტერანმა მეჩაიემ ასმათ ჟიჟავაძემ მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდო. სიყრმის მეგობრის ლეილა ლეონიძის დეპეშაც აქაა. ეს დეპეშა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მინისტრს ა. ლვინჯილიას გამოუგზავნიდა.

— ახლა ესეც წაიკითხე, — უთხრა გულიზარმა შვილს და ხელში კიდევ ერთი დეპეშა მისცა.

„ძვირფასო გუგული!

გულითადად გილოცავ მთავრობის უმაღლეს ჯილდოს, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭებას. გისურვებ ახალ წარმატებებს შრომით საქმიანობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ალექსანდრე თხილაიშვილი“.

* * *

შუალამე გადასული იყო, სტუმრები რომ წავიდნენ.


დილაბნელზე ადგა გუგული, საოჯახო საქმე მოითავა და პლანტაციისაკენ გაეშურა. ფეხად მიესწროთ რგოლის წევრებს.

ერთი კვირის შემდეგ აჭარის პარტიული აქტივის კრებაზე მოიწვიეს. კრება თეატრში გაიმართა. სახელოვანი მეჩაიე გუგული ჭანიძე კრების პრეზიდენტმა. კამათშიც გამოვიდა.

დარბაზი ტაშით შეხვდა სახელოვან ქალს. გუგული თავაწეული იდგა ტრიბუნაზე. მოეწონათ მისი საქმიანი სიტყვა.

— მინდა, — თქვა კრებაზე გუგულმ, — რაც შეიძლება მეტი გავაკეთო მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ და ამით გავამართლო ლენინური პარტიის წევრისა და ყრილობის დელეგატის სახელი.

ყოველ დილით პლანტაციისაკენ მიიჩქარის. ყოველ დღეს ახალი სიხარული მოაქვს გმირი ქალისათვის. საქმის, შრომის სიყვარულმა დადლაკ კი დაავიწყა. და მეც არ მინდა ჩემს ნარკვევს აქ დაუვსვა წერტილი. ცხოვრება ხომ გრძელდება.



მოგუაროთ და მოგვივლის

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს მწერალთა მეშვიდე ყრილობა, რომელმაც განიხილა 1966-1971 წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მისი განვითარების ამოცანები, სიამაყის გრძნობით გადაავლო თვალი ნახევარი საუკუნის მანძილზე გავლილ გზას და აღუთქვა კომუნისტურ პარტიას, რომ მხატვრული სიტყვის ქართველი ოსტატები მომავალშიც მთელ თავიანთ ნიჭს, ენერგიას მოახმარენ კომუნისმის ნათელ იდეალებს, ხალხის ინტერესებს.

ყრილობაზე მწერლებმა დააყენეს მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მარტო ლიტერატურის სფეროს კი არა, მთელი ჩვენი ერის ცხოვრებას ეხება. ასეთი არის პოეტ ფრიდონ ხაღვაშის სიტყვაც, რომლის სტენოგრაფიულ ჩანაწერს ვთავაზობთ „ქოროხის“ მკითხველებს.

მე მგონია, ახლა ჩვენი ეროვნული სიხარულის მიზეზი და სიამაყის თვალსაჩინო საფუძველი ისიცაა, რომ საუკუნეობით დედა-სამშობლოს მოწყვეტილი სამხრეთ საქართველოს ერთი ლამაზი კუთხე დღეს თავისი გამართული ქართულით, თავისი გამთელებული კალმით და საკუთარი წიგნით, მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ შემოდის მწერლობაში.

გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მხარის ადამიანი იმ დიდი, ბნელი მარტოობიდან ახალ, ეროვნულ სინათლეზე ქართულმა წიგნმა გამოიყვანა.

საბჭოთა სინამდვილემ ახალი მალამო დაადო ჩვენს ეროვნულ ტკივილებს.

ვმრავლდებით, ვიზრდებით, ვმდიდრდებით, მაგრამ, ნათქვამია, სწორედ ლხინში უნდა გაიხსენო მოძმეო. მშობლიურ ენაზე წიგნი მრავალ ასი ათას თანამემამულეს ენატრება სადღაც და სადღაც, ხოლო ჩვენს კალამს, ჩვენს წიგნს იმ მამულიშვილთა სიყვარულიც სჭირია.

ჩვენი პარტიის 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი ფიქრები და იდეები მოგვცა, ჭეყნებასა და ხალხებს შორის კულტურული და სულიერი ურთიერთობის ახალი ხიდები გასდო.

განსაკუთრებით ერთი მოდგმის ხალხთა შორის ასეთი ხიდი მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნია.



უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ცხოველი კულტურული ურთიერთობა აქვთ ჩვენს საბჭოთა თანამოქმედებს — უკრაინელებს, ბელარუსელებს, ბალტიისპირელებს; უზბეკნიან წიგნებს, მრდიან მწერლებს. პირობები უფრო სხვანაირია და რთული. მაგრამ დრომ, განათლების საერთო აღმავლობამ, ინფორმაციამ, ადამიანის განათლებულმა სულმა თავის თავში მაინც გაამთელა ეროვნულობის დაწყვეტილი სიმები. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, მისი ხასიათი უფლებას გვაძლევს ვისარგებლოთ მოპოვებული პირობებით და მოვითხოვოთ, რათა ყველა თანამემამულეს, ყველგან მივაწვდინოთ მის ენაზე დაწერილი წიგნი და უფრო ფართოდ გავუღოთ კარი ჩვენში სტუმრად თუ სამუდამო საცხოვრებლად ჩამოსულ ჩვენებურებს.

აქ ბატონმა დემნა შენგელაიამ განაცხადა და მეც მიინდა გავიმეორო: მიინდა თანამოკალმეთა ერთგვარი მაღლობა გამოვხატო საქართველოს კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნის იმ მაღალ სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ, რომელთაც იზრუნეს და მალე ათეული ქართული ოჯახი ფერეიდან იდან საქართველოს მიწას დაუბრუნდება.

ეს იმედის დიდი სხივია, რომელიც საუკუნოვან წყვილადს გასტრის და მილიონიან თანამემამულეთა სულს გაანათებს.

გარექართველთათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენს რადიოს, ტელევიზიას. მთავარია, ჩვენ, თვით საქართველო, ყოველდღიურად გრძნობდეს თავისი სულისა და სხეულის იმ ნაწილს, ვიცოდეთ, რომ რასაც ვქმნით და ვაკეთებთ, განსაკუთრებით სულიერი კულტურის დარგში, ეს იმათი ზიარიცაა.

მე არ მიინდა, აქ ცალკე გამოვყო და ვილაპარაკო აჭარის მწერლებზე. მოხსენებაში ზოგიერთი მათგანი მოიხსენიეს. მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ ბოლო წლებში ჩვენს განყოფილებაში მომუშავე მწერალთა რამდენიმე წიგნი მკითხველმა დიდად შეიყვარა. ზოგიერთი რუსულად და სხვა ხალხთა ენებზეც ითარგმნა, ხოლო ჩვენი დრამატურგების პიესები დღეს ბევრ თეატრში იდგმება. აქ თანამომხსენებელმა დრამატურგის დარგში ზოგიერთი მათგანი გააკრიტიკა, მაგრამ თვით ეს გაკრიტიკება სასარგებლო საქმედ და ავტორთა დაფასებადაც მიმაჩნია.

ჩვენ გვითქვამს და კვლავ ვამბობთ, რომ ლორიას, მაღაზონიას, გვარიშვილის, ვარშანიძის, შერვაშიძის, სალუქვაძის, ჯაყელის, როყვას გვერდით ქართულ მწერლობაში ჩვენი კუთხიდან ახლა შემოვიდნენ ნიჭიერი პოეტები, მწერლები: ზ. გორგილაძე, ა. სამსონია, ლ. სეიდიშვილი, შ. ზოიძე და სხვები.

ჩვენ გვაქვს ერთი პატარა ორთვიანი ჟურნალი, რომელსაც ჩვენი სურვილითა და ინიციატივით გამოვუცვალეთ სახელი და დავარქვით „ჭოროხი“. ნებაყოფლობით გამოვიყვანეთ იგი ავტონომიურობის ჩარჩოებიდან და საქართველოს მწერალთა ცენტრალურ ხელმძღვანელობას

დავუქვემდებარეთ. ამით ვითომ ისა ვთქვით, რომ არ შეიძლება მწერლობაში არსებობდეს კუთხურობა, საოლქო დაყოფა. წიგნი და ჟურნალი ენაზე გამომავალი, მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი უნდა იქნეს. მაგრამ „სოიუზგენჩატის“ ორგანოებმა ანგარიში არ გაუწიეს ნული თვითშეგნების ჩვენებულ პრინციპს და „ჭოროხი“ ისევ მდინარე ჭოროხთან დატოვეს. ჩვენ მოვითხოვთ, ეს ჟურნალი მთელ საქართველოში გავრცელდეს.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, საქართველოს სანაოსნოს ჩამოყალიბებამ, ქართული ალმით მსოფლიო ოკეანეებში ხომალდების სვლამ კიდევ უფრო ახლობელი გახადა ჩვენთვის ზღვა, მაგრამ ჩვენს მწერლებს მაინც ნაკლებად იტაცებს ზღვის თემა. ჩვენი მამაცი ქართველი კაპიტნები და მეზღვაურები ქართველ ლიტერატორებს იწვევენ თავიანთ გემებზე, წამოდით, დროებით მაინც იცხოვრეთ ჩვენთან ერთად, გაიცანით ჩვენი ძნელი და მღელვარე ცხოვრება და მხატვრული სიტყვით უთხარით ამაზე მკითხველსო.

სანაოსნოში გამოდის გაზეთი „მორიაც გრუზიი“. მგონი უსამართლობაა, რომ ეს გაზეთი სანახევროდ მაინც ქართულ ენაზე არ გამოდის.

ამასთან დაკავშირებით, მინდა აქვე დავძინო, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთს ჰგონია, თითქოს ქართული ენა მარტო ლექსის და მოთხრობის მწერალთათვისაა განკუთვნილი. მშობლიურ ენას ჩვენს საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში ჯერ კიდევ არ აკისრია ის როლი, რაც მას საბჭოთა კონსტიტუციამ მიაკუთვნა. განსაკუთრებით მრეწველობაში და მშენებლობებზე ზოგიერთებს ურჩევნიათ ცუდად ილაპარაკონ და წერონ რუსულად, ვიდრე კარგად — ქართულად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც აქ ბრძანა ნიკოლოზ ტიხონოვმა, ქართული ენა არ მოკვდება, არც დასუსტდება.

გამოცდილებით დავრწმუნდი, — ხანდახან მწერლის უშუალო ცოცხალი სიტყვა, შეხვედრა, თვით ნაწარმოებზეც კი მეტს ნიშნავს მკითხველისათვის. ასეთი შეხვედრები ჩვენში ხშირია და, უნდა ითქვას, ამის მოწყობა ორგანიზაციულად და ფიზიკურად ყოველთვის არც ისე ადვილია. მე ვერ გავიგე, რატომ არ არსებობს ჩვენში მწერალთა კავშირთან პროპაგანდის ბიურო, რომელიც დიდ სამუშაოს ასრულებს რუსეთის, უკრაინის და სხვა რესპუბლიკათა ლიტერატურულ ცხოვრებაში. მას მწერლისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიური დახმარების გაწევაც შეუძლია.

ამხანაგებო, დასასრულ კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და წუთით გადავუხვიო ლიტერატურულ საკითხს. შეგახსენებთ ერთ სამწუხარო ამბავს: გასული ზამთრის მოულოდნელმა სისასტიკემ მძიმე უბედურება დაატეხა თავს აჭარის მთის მოსახლეობას. ზემდგომმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ სწრაფად და ყოველნაირად იზრუნა დაზარალებულთა დასახმარებლად; ამისათვის მადლობა და მადლობა!

მაგრამ საჭიროა ერთხელ კიდევ დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მხარეში მოსახლეობა ძალზე იზრდება, მიწა კი მცირდება, აქაპან ადგილებზე დასახლება კი სამიშია.

მთავრობამ რამდენიმე ოჯახს გამოუყო მიწის ნაკვეთები მეზობელ რაიონებში, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ეს საქმე უფრო გაბედულად უნდა კეთდებოდეს. ჩვენებური გლეხიკაცი მიწისა და შრომის დიდი მოყვარულია. მესხეთში თუ სხვა მეზობელ რაიონებში უამრავი თავისუფალი მიწაა. გავიყვანოთ ჩვენი მთის მოსახლეობის ნაწილი იქ, დავასახლოთ, იმუშაოს, იცხოვროს, შექმნას დოვლათი, დაეპატრონოს თავის ქართულ მიწას.

შოთა ქაჩიძე

აღორძინებული სიტყვა

საუკუნეთა მანძილზე აჭარა, როგორც მესხეთის ერთ-ერთი ნაწილი, საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. საკმარისია ვთქვათ, რომ სწორედ აჭარამ მოგვცა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მწერალი ტბელი აბუსერიძე. მაგრამ მე-16 საუკუნიდან მოკიდებული აჭარის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. იგი თანდათანობით ხელთ იგდეს ოსმალთა დამპყრობლებმა, რომლებიც მოსახლეობის სასტიკ ექსპლოატაციას როდი დასჯერდნენ და მისი ასიმილაცია, ეროვნული გადაგვარებაც განიზრახეს.

მთელი სამი საუკუნის განმავლობაში აჭარა გმირულად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს. ბოლოს დადგა ნანატრი ჟამი. რუს-ქართველთა მხედრობის დახმარებით იგი კვლავ შეუერთდა დედა-საქართველოს. ამ დღიდან

დაიწყო აჭარის ხელახალი აღორძინება. სულ მოკლე დროში ბათუმში გახდა საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო სამრეწველო და კულტურული ცენტრი. აქ იბეჭდებოდა ქართული და რუსული წიგნები, გამოდიოდა გაზეთები, გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა, თეატრი. აჭარაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — დ. კლდიაშვილი, ი. მესხი, გრ. ვოლსკი, დ. კასრაძე; ხშირად ჩამოდიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერები, მათ შორის: ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ი. სტალინი. ბათუმში გადაიქცა რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც. უკვე ჩვენი საუკუნის დამდეგს აქ შეიქმნა ლენინურ-ისკრუ-



ლი მიმართულების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი.

და მაინც, აჭარამ თავი ვერ დააღწია ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას. წინსვლისა და პროგრესის ტემპი ძლიერ ნელი იყო. ქართველი საზოგადოებრიობის ღონისძიებანი ამ მხრივ, მისი ძმური დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა, მეფის მთავრობას კი არათუ არ აინტერესებდა აჭარის ეკონომიური და კულტურული დაწინაურება, არამედ ყოველმხრივ ხელს უშლიდა და აბრკოლებდა მას. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთგული მოხელეები იქამდე მივიდნენ, რომ შეეცადნენ აეყარათ აჭარის მოსახლეობა და გადაესახლებინათ მშობლიური მიწა-წყლიდან, ვითომცდა როგორც თურქები. გასაგებია, რომ სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ისინი სდევნიდნენ ყოველივე ქართულს, აფერხებდნენ მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებას.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია „ბათუმის გაზეთის“ დახურვის ისტორია. რეაქციულად განწყობილ ელემენტებს არ მოსწონდათ მისი მიმართულება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდა და ვითომდა იმ მოტივით, რომ ვერსად იშოვეს ქართული ენის მცოდნე ცენზორი, დახურეს ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანო. ამავე დროს მათ თავი ვერ შეიკავეს და ბათუმიდან გაასახლეს გაზეთის ფაქტიური რედაქტორი სპ. კელი-

ძე, რითაც გამოააშკარავეს ბათუმის გაზეთის „დახურვის“ მართალი მიზეზი.

ასეთ ვითარებაში არათუ ძნელი, შეუძლებელიც კი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების ნამდვილი აღორძინება, აჭარის კულტურული დაწინაურება. და თუ იგი მაინც წინ მიდიოდა და ვითარდებოდა, ეს იყო ცალკეულ პირთა თავდადების, უპირველეს ყოვლისა კი პროგრესული ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მშობლიური ზრუნვის შედეგი. უკვე რევოლუციამდელ პერიოდში აღიზარდნენ და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი თვალსაჩინო მწერლები და პუბლიცისტები, როგორიც იყვნენ ა. მიქელაძე, მ. და პ. აბაშიძეები, გ. კაიკაციშვილი, მ. ჭყონია, ხ. თხილაიშვილი და სხვ. როცა 1919 წელს საქართველოში იქმნებოდა მწერალთა პირველი ორგანიზაცია, გ. ტაბიძესთან, კ. მაყაშვილთან, ე. ბარნოვთან, ს. შანშიაშვილთან, კ. გამსახურდიასა და სხვებთან ერთად დამფუძნებელი კრების მუშაობაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყვნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები. მარტო ეს ფაქტიც კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რადიდი ნაბიჯი გადადგა აჭარამ წინ კულტურული აღმავლობის გზაზე დედა-საქართველოსთან შეერთების შემდეგ.

მაგრამ მხატვრული სიტყვის ნამდვილი აღორძინება აჭარაში

დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარების შემდეგ,
როცა საქართველოს ამ უძველესი
პროვინციის ეკონომიური და
კულტურული დაწინაურებისათვის
ზრუნვა სახელმწიფოებრივი
საქმე გახდა. გაიხსნა სკოლები,
კლუბები, ქოხ-სამკითხველოები,
გაჩაღდა ბრძოლა წერა-კითხვის
უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის,
ახალი ყოფის დასაწერგავად.
ამავე დროს აშენდა ახალი ფაბრიკა-
ქარხნები, მთლიანად შეიკეთა
სტრუქტურა სოფლის მეურნეობამ
და მტკიცედ დაადგა აღმავლობის
გზას, გაფართოვდა ვაჭრობა,
ამაღლდა ხალხის მატერიალური
კეთილდღეობის დონე. ყველაფერი
ეს ქმნიდა მოსახლეობის კულტურული
დონის ამაღლების აუცილებელ
პირობებს და, მაშასადამე,
ლიტერატურის განვითარების
მყარ საფუძველსაც. ერთი
მხრივ, დღითიდღე ფართოვდებოდა
მკითხველი აუდიტორია, ხოლო
მეორე მხრივ, იზრდებოდა
მწერალთა ახალი კადრები.

ლიტერატურის განვითარებისათვის
აქარაში განსაკუთრებული მნიშვნელობა
ჰქონდა მწერალთა ახალი თაობის
აღზრდას. ჯერ ერთი, იმხანად
ბათუმში თითო-ორიოლა მწერალი
თუ ცხოვრობდა და ადგილობრივ
აღმანახებსა თუ ქუჩაღებში
ძირითადად თბილისელი
მწერლები მონაწილეობდნენ,
შემდეგ (და ეს არის მთავარი)
ლიტერატურას უნდა დაეკმაყოფილებინა
ახალი მკითხველის მოთხოვნები,
გამოეხატა

ხალხის ინტერესები, სოციალისტური
მშენებელთა ფიქრები და გრძნობები,
განემსჯელებინათ მათი მსოფლიო
კომუნისტური მსოფლიოთა და ამ
დიდ საშვილო-შვილო საქმეს, ისე,
როგორც ყველგან, სათავეში ჩაუდგა
პარტიული ორგანიზაცია.

სწორედ პარტიული ორგანიზაციის
ზრუნვის შედეგი იყო, რომ უკვე
ოცინი წლების დამდეგს ლიტერატურაში
შემოსვლა იწყეს გუშინდელმა
გლეხებმა და მუშებმა, რომლებმაც
თავის თავზე გამოსცადეს ძველი,
დუხჭირი ცხოვრების მთელი
საშინელება, გამსჭვალული
იყვნენ ლენინის იდეებით,
შეხაროდნენ ახალ ცხოვრებას
და გადმოგვცემდნენ სოციალურად
და სულიერად განთავისუფლებული
მშრომელის ფსიქოლოგიას, მის
საუკეთესო იდეებს.

ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა
ხასან (ხარიტონ) კომახიძის შემოქმედებითი
გზა. იგი გლეხი იყო, წერა-კითხვა
გვიან, 40 წლისამ ისწავლა. 1928 წელს
მან გამოსცა საინტერესო კრებული
„ფუხარას სიტყვა“. მართალია, ეს
სიტყვა მხატვრულად ძლიერი არ
ყოფილა, ისევე როგორც ბევრი მისი
თანამოკალმისა, მაგრამ მაინც
იკვლევდა გზას მკითხველის გული-
საკენ, რადგან უაღრესად გულწრფელი
და ალალი იყო, ადვილად გასაგები
მცირემცოდნე მკითხველისათვის. აი
ამიტომ პოულობდა იგი მხარდაჭერას,
თანაგრძნობას.

ცნობილი პარტიული მოღვაწე ერმილე ბედიას, რომელიც იმჟამად ბათუმში მუშაობდა, „ფუხარას სიტყვის“ წინასიტყვაობაში ამის თაობაზე წერდა: „თავისებურია ხასან კომახიძის წიგნი როგორც შინაარსით, ისე თქმით, მაგრამ სასიამოვნო და სასუკუარია ის სწორედ ასეთი ფერადობით, რადგან მასში ბევრად მეტია ფუხარული სიახატე და მხურვალეობა, ვინემ დიდსა და ხელოვანი მგოსნის ფირუზოვან სიტყვებში. აჭარისტანის ფუხარა მუშა და გლეხი, თუ მოზარდი თაობა გაცილებით ღრმად შეიგრძნობს ხასან კომახიძის თქმასა და ნათქვამს, ვინემ სხვა ვინემ, თუ გინდ „დიდი მწერალი“. ამიტომ არის, რომ მთელი ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ეკუთვნის ხასან კომახიძეს“.

მწერალთა ახალი კადრების აღზრდას დიდი ამაგი დასდო პარტიულმა გაზეთმა „ფუხარამ“, რომელსაც ცნობილი ქართველი პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი ხელმძღვანელობდა. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების მოთხრობები, ნარკვევები, ლექსები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. გავიდა რამდენიმე წელიწადი და შესაძლებელი გახდა აჭარაში პირველი მწერალთა ორგანიზაციის შექმნა (1927 წ.). ეს იყო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება. მის ბირთვს შეადგენდნენ პ. ლო-

რია, პ. რურუა, ვ. მახარაძე, თ. ლეჟავა, შ. კობახიძე, გრ. შავიშვილი, ჯ. ნოლაიდელი, დ. ბუთხაშვილი, ქ. თხილაიშვილი, გრ. ნუცუბიძე, ლ. შარაშიძე, ნ. მაღაზონია, ნ. იმედაშვილი და სხვ.

მწერალთა ამ ორგანიზაციამ თვალსაჩინო როლი შეასრულა აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებაში, ხელი შეუწყო ლიტერატურული ძალების შემდგომ კონსოლიდაციას, ხალხის ცხოვრებისა და მწერლობის დაახლოებას, მათი კავშირის განმტკიცებას, მაღალი იდეურობისა და პარტიულობის პრინციპის დანერგვას. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საქმიანობაში საერთო დადებითთან ერთად იყო უარყოფითიც და 1932 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად იგი დაიშალა. დაიშალა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილებაც, სანაცვლოდ შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება, რომელიც დღესაც არსებობს და მწერალთა კავშირის 20-მდე წევრს, აგრეთვე ათობით ლიტერატორს აერთიანებს.

ოცდაათიანი წლები აღინიშნა ლიტერატურის ახალი მძლავრი აღმავლობით. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ჩვენი მხარის ცხოვრების ამსახველი პირველი რომანები (პ. ლორიას „ჩაი“, „დელი მურადი“), პოემები (ნ. მაღაზონიას „გულიზარი“), პიესები (პ.

ლორის, ა. შერვაშიძის დრამატული ნაწარმოებები), შეიქმნა და განვითარდა ლიტერატურული კრიტიკა (ლ. შარაშიძე, ალ. ჩავლეიშვილი, ნ. პაიჭაძე). ლიტერატურაში მოვიდნენ ახალი ნიჭიერი კადრები: მ. ვარშანიძე, ნ. გვარიშვილი, გ. სალუქვაძე, კ. რუსიძე, უფრო მოგვიანებით კი ფრ. ხალვაში, ვ. კანდელაკი და სხვ.

მხატვრული სიტყვა შემდგომ განვითარდა დიდი სამამულო ომის პერიოდში. შეიქმნა პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, დრამატული ნაწარმოებები, რომლებიც მასებს უნერგავდნენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების რწმენას, უღვივებდნენ სამშობლოს სიყვარულს, მტრის სიძულვილს, ფრონტისა და ზურგის მეზობლებს შთააგონებდნენ გმირული საქმეებისათვის. ზოგიერთი მწერალი (მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი) იარაღით ხელში ებრძოდა ჰიტლერულ დამპყრობლებს, ამავე დროს განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პერიოდში აჭარის მწერლობამ პირნათლად მოიხადა თავისი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ცხადყო იდეურ-მხატვრული მოწიფულობა, უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი. იგი იყო პარტიის ერთგული თანაშემწე, მისი დიადი იდეების პროპაგანდისტი.

ახალი თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებებით აღინიშნა ომისშემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით ბოლო ოცწლეული. ეს თვალნათლივ ცხადყო ჯერ კიდევ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ, რომელიც თბილისში გაიმართა 1957 წლის დამდეგს. დეკადას მოულოდნელი, მაგრამ სავსებით დამსახურებული დიდი წარმატება ხვდა. მისი შედეგები სპეციალურ სხდომაზე განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა და საჭიროდ ცნო აჭარას ჰქონოდა საკუთარი ლიტერატურულ-მხატვრული ორგანო. მალე, 1958 წლიდან, ბათუმში გამოსვლა იწყო ჟურნალმა „ლიტერატურული აჭარა“, რომელიც შარშან გადაკეთდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი აჭარის განყოფილების ორგანოდ და ეწოდა „ჭოროხი“. უკვე მეცამეტე წელია გამოდის ეს ჟურნალი და საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა მკითხველსაზოგადოებრიობაში. იგი განუხრელად ახორციელებს ლიტერატურის ლენინური პარტიულობის პრინციპს და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ლიტერატურის განვითარებაში. განსაკუთრებით დიდია მისი როლი ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლინება-აღზრდაში.

აჭარის მწერლობა დღეს ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთი თვალსაჩინო შენაკადი, განუკვეთელი ნაწილია. მისი ძირითადი საზრუნავი მუდამ იყო

და არის თანამედროვეობის ასახვა. ჩვენი მწერლები თავიანთ უწმინდეს მოვალეობად და ღირსების საქმედ თვლიან მთელი ნიჭი და უნარი მოახმარონ პარტიის პოლიტიკის განუხრელად განხორციელებას, პარტია კი მოგვიწოდებს უფრო დავუახლოვოთ ლიტერატურა ხალხის ცხოვრებას, სიმართლით ავსახოთ ჩვენი გმირული თანამედროვეობა, კომუნიზმის მშენებელთა უმდიდრესი და უღამაზესი სულიერი სამყარო. ლიტერატურა ღრმად უნდა შეიჭრას ხალხის ცხოვრებაში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი ადამიანის აღზრდაში.

სწორედ თანამედროვეობა იყო და არის უფროსი თაობის მწერალთა შემოქმედების ძირითადი თემა, მწერლებისა, რომლებსაც განსაკუთრებული ამაგი მიუძღვით მხატვრული სიტყვის განვითარებაში. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბელეტრისტი პარმენ ლორია. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია საქართველოში. მისმა რომანებმა „ჩაი“, „განთიადი ხევში“, „მეველუდი“, „შვილები“, „ნაირა“, „დაზგიდან დაზგამდე“, „საიმედო მომავალი“ და სხვ. მკითხველთა სიყვარული და საერთო აღიარება დაიმსახურა. მათი გმირები არიან ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ადამიანები, მუშები და კომუნისტები, რევოლუციონერები, რომლებიც მუდამ მზად არიან საკუთარი სიცოცხლეც კი შესწი-

რონ ხალხის, სამშობლოს ბედნიერებას.

გარდა რომანებისა, პარმენ ლორიამ გამოაქვეყნა ბევრი მოთხრობა, იუმორისტული ნაწარმოები, მცირე ფორმის დრამატული თხზულებები და პიესები „მეგობრობა“, „ნაირა“, „დინარა“, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრმა დადგა და დამსახურებული წარმატებაც ხვდათ. ახლანა პ. ლორიამ პიესად გადააკეთა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „განთიადი ხევში“ („დედი მურადი“), რომელშიც მწერალმა დიდი სიმართლით და ოსტატობით ასახა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის აჭარაში. პიესა დადგა ბათუმის სახელმწიფო თეატრმა და სპექტაკლი არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე რომანი. მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოებებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ორი მოთხრობა — „სართიჭალელი ჭაბუკი“ და „საით?“ მათგან პირველი მოთხრობა ეძღვნება ნაკლებად ცნობილ რევოლუციონერს, ლეგენდარული კამოს უახლოეს თანამებრძოლს გიგო მათიაშვილს. მეორე მოთხრობაში მწერალმა აღძრა ახალგაზრდობის აღზრდის, ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პრობლემები და საინტერესოდაც გადაწყვიტა არჩეული თემა.

გარკვეული წვლილი შეიტანა ლიტერატურის აღმავლობაში

ცნობილმა მუშა-პოეტმა პარმენ რურუამ. იგი ახალი ცხოვრების, განახლებული აჭარის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გულწრფელი მომდერალი იყო.

პ. რურუა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1911 წელს, როცა „ბათუმის გაზეთში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსი „იმედი“. მას შემდეგ იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გულწრფელად ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს. შრომა და სიკეთე იყო მისი პოეზიის ძირითადი თემა. პოეტს ადამიანის ღირსების საზომად მუდამ მიაჩნდა პატიოსანი, თავდადებული შრომა, რომელშიც თითქმის სხეულდება ყოველგვარი სიკეთე — მატერიალურიც და სულიერიც. დიდი სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა პ. რურუას პატრიოტული მისწრაფებანი, სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარული.

ნაყოფიერად მოღვაწეობდა პარმენ რურუა საბავშვო პოეზიაშიც. მან შექმნა ათობით საყმაწვილო ლექსი, აგრეთვე პოემები, რომელთაგან გამოირჩევა ხალხურ მოტივებზე აგებული ზღაპარი-პოემა „ნაცარქექია“. პოეტის ეს ნაწარმოები რუსულადაც ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოვიდა ბათუმში 1944 წელს.

საბჭოთა საქართველოს თანატოლია ნესტორ მაღაზონიას პოეზია (პირველი ლექსი პოეტმა გამოაქვეყნა 1921 წლის აპრილში).

მისი ძალისა და ძლიერების წყარო მუდამ იყო და არის მკვიდრი კავშირი თანადროულობასთან. დიდი კომუნისტური იდეურობა. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ნ. მაღაზონია არ გამოხმაურებოდეს. ამდენად მისი შემოქმედება საბჭოთა საქართველოს, ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის მხატვრული მატანეა. ეს თემატიკური აქტუალობა პოეტმა დღემდე შეინარჩუნა. სულ ცოტა ხნის წინათ მან გამოაქვეყნა მძაფრი პუბლიცისტური ლექსი, რომელიც მიუძღვნა ამერიკელ მშრომელთა თავისუფლებისათვის უშიშარ მებრძოლს, ზანგ კომუნისტ ქალს ანჯელა დევისს.

ლირიკულ ლექსებთან ერთად ნ. მაღაზონიას ეკუთვნის რამდენიმე პოემა, მათ შორის აჭარის რევოლუციური წარსულის ამსახველი „გულიზარი“. ამ პოემის მნიშვნელობა არ ამოიწურება მისი იდეურ-მხატვრული ღირსებებით. იგი იყო პირველი პოემა, რომელიც აჭარაში დაიწერა და აჭარის ცხოვრებას ასახავდა.

პარალელურად ნ. მაღაზონია დაუღალავად ემსახურება ნორჩ მკითხველებს და დღემდე საბავშვო ლექსების რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა. მისი ლექსები პატარებს უნერგავენ მაღალ ზნეობრივ თვისებებს, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს.

სულ ახლახან ნ. მაღაზონიამ
კალამი სცადა პროზაში და ცალკე
წიგნად გამოაქვეყნა ვრცელი მო-
თხრობა „ორი გასროლა“. მკითხ-
ველებს მოეწონათ აგრეთვე პოე-
ტის ახალი პოემა „შავი ზღვის პი-
რას“, რომელიც ბათუმელ მენავე-
თობეთა ცხოვრებას ასახავს.

ნ. მაღაზონია კვალიფიციური
მთარგმნელიც არის. იგი თარგმნის
ქართულიდან რუსულადაც; მათ
შორის საკუთარ ლექსებს.

უფროსი თაობის მწერალთაგან
ყველაზე უმცროსია ამირან შერ-
ვაშიძე. თხუთმეტი წლისაც არ
იყო იგი, როცა 1928 წელს ცალკე
წიგნად გამოსცა პატარა მოთხრო-
ბა „ფატმა“. მართალია, ა. შერვა-
შიძე დღესაც მუშაობს პროზაში,
ბევრი ისტორიულ-პუბლიცისტუ-
რი და ლიტერატურულ-კრიტი-
კული სტატიის ავტორიც არის, მა-
გრამ უპირველეს ყოვლისა იგი
დრამატურგია და მნიშვნელოვანი
დამსახურებაც მიუძღვის ამ ჟან-
რის განვითარებაში.

ა. შერვაშიძის პიესების უმრავ-
ლესობა აჭარის სინამდვილეს ასა-
ხავს („ოქროს სამაჯურები“,
„მზე“, „პატარა შეცდომა“, „სიმ-
ღერა შევარდენზე“ და სხვა). მათ-
გან განსაკუთრებით მნიშვნელო-
ვანია ისტორიულ-რევოლუციუ-
რი დრამა „მზე“, რომელიც აჭა-
რაში საბჭოთა ხელისუფლებისათ-
ვის ბრძოლის საინტერესო ეპი-
ზოდებს გადმოგვცემს.

დიდი სამამულო ომის წლებში
ა. შერვაშიძემ დაწერა ისტორი-
ულ-პატრიოტული დრამა „მხე-

დართმთავარი ბავრაციონი“, რომ-
ელიც დღემდე რჩება დრამატუ-
რგის საუკეთესო ნაწარმოებად.
ეს პიესა წარმატებით იღვებოდა
ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის
სახელმწიფო თეატრში.

მწერალი ორგანულად განიცდის
არა მარტო მშობლიური, არამედ
სხვა მოძმე ხალხების სიხარულსა
თუ ტკივილებს. ორი პიესა მიუძ-
ღვნა მან უკრაინელი ხალხის ცხო-
ვრებას — „კრაჩუკის ცრემლე-
ბი“ (1940 წ.), რომელიც თავის
დროზე უკრაინის ოცამდე თეატრ-
მა დადგა, და „ლესია“. ამ პიესას
დიდი წარმატება ხვდა გამოჩენი-
ლი უკრაინელი პოეტის დაბადე-
ბის ასი წლისთავისადმი მიძღვ-
ნილ კონკურსში. იგი უკვე დად-
გა ლესია უკრაინკას მშობლიური
ქალაქის — როვნოს თეატრმა, და-
სადგმელად ამზადებენ სხვა თეა-
ტრებიც.

დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე
ა. შერვაშიძის პეროიკულ დრამას
„ვივა კუბა“. 1962 წელს იგი სევა-
სტოპოლის თეატრის დადგმით გა-
დასცა ცენტრალურმა ტელევიზი-
ამ და ჩვენი ქვეყნის მილიონობით
მაყურებელმა ნახა.

უფროსი თაობის მწერალთა
მხარიმხარ ნაყოფიერად იღვწიან
პოეტები ნ. გვარიშვილი, გ. სალუ-
ქვაძე, ფრ. ხალვაში, რომლებიც
ომის წინ და ომის პერიოდში გა-
მოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე.

ნანა გვარიშვილი პირველი პრო-
ფესიონალი აჭარელი პოეტი ქა-
ლია. მისი პოეზიის მთავარი თემაა

აქარელი ქალი, ახალი ყოფაცხოვრება, მშობლიური ბუნება, სიყვარული. პოეტმა ქალმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაშიც. ფართოდ არის ცნობილი მისი საბავშვო პოემა „ზღაპარი „დედა-ენაზე“, აგრეთვე ლექსები და პოემები „თითისტოლა“, „მელია და წიწილა“, „ორი კიჭი“. ბოლო დროს ნ. გვარიშვილმა თავი გამოიჩინა როგორც მთარგმნელმაც, თარგმნა თურქი პროგრესული პოეტების ლექსები და გიუნ-თეჟინის რომანი „ნარჩიტა“.

მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა გიორგი სალუქვაძის ლირიკა. აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებთან ერთად პოეტს იზიდავს ინტიმური თემებიც, რომლებსაც თავისებურად, ორიგინალურად წყვეტს. მისი პოეზიის ლირიკული გმირი საბჭოთა სინამდვილით შთაგონებული თანამედროვე ადამიანია, რომელსაც მშვიდობა, შრომა და სიკეთე თავისი სიცოცხლის უმაღლეს მიზნად მიიჩნია. ბუნებრივია, ამის გამო მისი ინტიმიც საზოგადოებრივად ღირებულია. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს პოეტის ლექსების ბოლო კრებულში „ღღე“.

გ. სალუქვაძეს მკითხველი იცნობს აგრეთვე როგორც ნიჭიერ საბავშვო პოეტსა და მთარგმნელს. შარშან მან ცალკე წიგნად გამოსცა ს. ესენინის ლექსები და პოემები, თარგმნა აგრეთვე რუსი საბჭოთა პოეტების, კორნელის, რასინის, კალდერონის ნაწარმოებები.

ოცზე მეტი წიგნის ავტორია ფრიდონ ხალვაში. მისი ლექსები „გენაცვალე“, „მე არ ვიქნებოდი წინი სტუმარი“ და ბევრი სხვა ფართო პოპულარობით სარგებლობენ მკითხველ საზოგადოებრიობაში. ახლახან მან გამოაქვეყნა კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი „იავნანა“.

ფრ. ხალვაშის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია „მოგზაურულ“ ლექსებს. პოეტი იყო ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნებში და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ლექსების რამდენიმე ციკლში. ყველაზე სრულად ეს თემა წარმოდგენილია ფრ. ხალვაშის ლექსების ბოლო კრებულში „ნუგეში“, რომელსაც მკითხველთა და ლიტერატურული კრიტიკის მოწონება ხვდა.

ლექსებთან ერთად პოეტმა გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა და რომანი „საყვედური“. თავისი წვლილი შეიტანა ფრ. ხალვაშმა დრამატურგიის განვითარებაშიც. მან დაწერა სამი პიესა, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ბათუმის „სახელმწიფო თეატრის სცენაზე. დრო და დრო იგი თარგმნის აგრეთვე რუსი და თურქი პოეტების ცალკეულ ნაწარმოებებს.

ომისშემდგომ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, სწრაფად განვითარდა ლიტერატურის ყველა ძირითადი დარგი, უპირველეს ყოვლისა კი პროზა. პ. ლორიას მხარში ამოუდგა პროზაიკოსთა ახალი თაობა, რომელმაც ცოტა როდი გააყვანა ჩვენი სინამდვილის მხატვ-

რული ასახვისათვის და ბევრი სა-
ინტერესო ნაწარმოები შექმნა.

დიდი შემოქმედებითი ნაყოფი-
ერებით გამოირჩეოდა აჭარაში
მოღვაწეობის დროს პროზაიკოსი
კაპიტან რუსიძე. მან ზედოხედ გა-
მოაქვეყნა რომანები „მოუსვენარი
ადამიანები“, „ბეწვის ხიდზე“,
„ნახიბროლა“, „კიდილი მთებ-
ში“, აგრეთვე მოთხრობების კრე-
ბული „კაჟის ნატეხი“. ამ ნაწარ-
მოებებში მწერალმა არაერთი საი-
ნტერესო მხატვრული სახე შექ-
მნა.

წარმატება ხვდა იუსუფ ფაღ-
ვას გაბედულ ცდას — მან პირვე-
ლმა ქართულ პროზაში ასახა აჭა-
რის შორეული წარსული, აჭარე-
ლთა ბრძოლა უცხოელ დამპყრო-
ბთა წინააღმდეგ, დედა-საქართვე-
ლოსთან კვლავ შეერთებისათვის.
ახლა ჩვენში ძნელად თუ იპოვით
მკითხველს, რომელიც არ იცნობ-
დეს ი. ფაღვას ისტორიულ რომა-
ნებს „ჩაუშქრალი კერა“ და „ქედ-
უხრელნი“. ყურადღება მიიქცია
აგრეთვე მწერლის საბჭოთა სინამ-
დვილის ამსახველმა რომანებმა.

ქართული სოფლის ცხოვრება
არის მიხეილ გორგილაძის შემოქ-
მედების ძირითადი თემა. მწე-
რალს განსაკუთრებით იზიდავს
სოციალურ-ზნეობრივი პრობლე-
მები. ეს კარგად ჩანს მოთხრობე-
ბის ბოლო კრებულშიც „სოფლის
აღმართი“.

გამომცემლობა „ნაკადულის“
პრემიით აღინიშნა ალ. ჩხაიძის სა-
ყმაწვილო მოთხრობა „როცა ბავ-

შვობა მთავრდება“. პრემია მიიღო
ქა მწერლის მეორე მოთხრობა
„მეგობრობა“. ბოლო წლებში
ნძილზე თვალსაჩინო ადგილი და-
იკავა ალ. ჩხაიძის პროზაში ზღვის
თემამ (მოთხრობები „ზღვისპირა
ქალაქში“, „ზღვის შვილი“, „ზღვა
და ოთხი ქალიშვილი“).

ნიჭიერი იუმორისტი მწერლის
სახელი დაიმკვიდრა ალექსანდრე
სამსონიამ. ფართოდ არის ცნობი-
ლი მისი ვრცელი მოთხრობები
„ჩემი შვილი სიმონი“, „ზღვა, მზე
და სიყვარული“, მოთხრობების
კრებული „ჩვენ ნიჭიერები ვართ“
და სხვა.

პროზის განვითარებაში თავიან-
თი წვლილი შეაქვთ პოეტებსაც,
მათ შორის ნ. მაღაზონიას, ფრ.
ხალვაშს, ჯ. ჯაყელს, შ. როყვას.
ჯემალ ჯაყელს ეკუთვნის რომანე-
ბი „გულის საუნჯე“ და „მზე მაღ-
ლა იქნება“, აგრეთვე მოთხრობე-
ბი, ხოლო შოთა როყვა უპირატე-
სად იუმორისტულ-სატირულ მო-
თხრობებს წერს.

სასიხარულოა, რომ პროზაიკო-
სთა რიგებს განუწყვეტლივ ემა-
ტება ახალი ძალები. ომისდროინ-
დელი ქართული სოფლის ამსახვე-
ლი რომანი დაწერა ომის ვეტე-
რანმა, ყურანლისტმა გიორგი ლო-
რთქიფანიძემ. ნაყოფიერად მოღ-
ვაწეობენ ნ. მოდებაძე, გ. სანადი-
რაძე, ნ. ძირკვაძე, ჯ. ხოფერია, ნ.
ჟღენტი და სხვ.

თანამედროვეობა, ჩვენი ყოვე-
ლდღიური ცხოვრება, ბრძოლა
მშვიდობისა და კომუნისმისათვის

შთაავრნებს პოეტებს ჯემალ ჯაყელს. შოთა როყვას, ქსენია მჟავიას, ლადო სეიდიშვილს, რევაზ ართილაყვას, ჯემალ ქათამაძეს, ზურაბ გორგილაძეს. მათ განსხვავებული ხმა, საკუთარი რაკურსი, ინდივიდუალობა აქვთ, მაგრამ საერთო იდეური მრწამსი და საერთო მიზანი აახლოებს ერთმანეთთან.

ღრმა პატრიოტული გრძნობითაა გამსჭვალული შოთა როყვას პოეზია. პოპულარობით სარგებლობენ მისი იუმორისტულ-სატირული ლექსები, რომელშიც პოეტი დასცინის სინამდვილის უარყოფითს მოვლენებს. ჯ. ჯაყელს განსაკუთრებით იზიდავს სოციალურ-ეთიკური პრობლემები, თუმცა მის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია პატრიოტულ მოტივსაც. ლ. სეიდიშვილის ლექსები გამოირჩევა პლასტიკურობით, განზოგადებისაქენ მისწრაფებით. მისთვის ცხოვრებისეული ფაქტი იმდენად არის ღირებული, რამდენადაც მოვლენის, მთელის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. ქართულ ხალხურ პოეზიასთან უშუალო კავშირი იგრძნობა ქს. მჟავიას, ჯ. ქათამაძის, რ. ართილაყვას ლექსებში. თემატიკურად მრავალფეროვანია ზ. გორგილაძის პოეზია. მის ლირიკულ გმირს ყველაფერი აინტერესებს, რითაც კი ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი. ბევრს მოველოდით უდროოდ დაღუპული წიჭიერი პოეტის ლევან გელაძისაგან. მან

არაერთი შესანიშნავი პატრიოტული ლექსი დაგვიტოვა, რომელშიც დღესაც განაგრძობენ სიცოცხლისკენ

აქვე უნდა დავსახელოთ ი. მელია, შ. ზოიძე, ც. ანთაძე და სხვები.

ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა დრამატურგია. ახლა ჩვენი დრამატურგების პიესები საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების ბევრ თეატრში იდგმება.

რამდენიმე საინტერესო პიესა დაწერა ბათუმში მოღვაწეობის დროს ვალერიან კანდელაკმა. მათგან საუკეთესოა ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“. იგი საქართველოს ბევრმა თეატრმა დადგა და ყველგან უამრავი მაყურებელი ჰყავდა. კომედია გადაიღეს კინოფირზეც.

ცენტრალური პრესის, მათ შორის გაზეთ „პრავდის“ მაღალი შეფასება დაიმსახურა ალექსანდრე ჩხაიძის დრამამ „ხიდი“, რომელიც თანამედროვეობას ასახავს. იგი ჩვენი ქვეყნის ბევრ თეატრში დაიდგა. რესპუბლიკური მეორე პრემია დაიმსახურა დრამატურგის პიესამ „მომავალ შეხვედრამდე“, რომელიც შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა. ალ. ჩხაიძეს ეკუთვნის აგრეთვე პიესები „იზუზუნე, ფუტკარო“, „როცა ბავშვობა მთავრდება“ და სხვა.

საქართველოს ბევრ თეატრში დაიდგა შოთა როყვას დრამა „დე-

და“. დრამატურგის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი სკეტიზებით, ვოდევილებით, „მცირეფორმიანი“ დრამატული იუმორისტული ნაწარმოებებით ამდიდრებს ჩვენი დრამატული კოლექტივების ჯერჯერობით ღარიბ რეპერტუარს.

250-ჯერ დაიდგა ბათუმის თეატრის სცენაზე ალ. სამსონიას კომედია „ჩემი შვილი სიმონი“. ამავე თეატრში წარმატებით მიდიოდა მისივე პიესები „ზღვა და სიყვარული“ და „ძველი ქოლგა“. ახლახან დრამატურგის კომედია „ვაჩე ვაჩიშვილი და სხვები“ დასადგმელად მიიღო მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

მთელი მსოფლიო მოიარა მხატვრულმა ფილმმა „ჯარისკაცნი“, რომელიც ბათუმელი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით შექმნა „ქართულმა ფილმმა“. ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა ს. ჟღენტმა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კონკურსში. მისმა სცენარმა „დედის ოცნება“ პირველი პრემია მიიღო.

ასეთია გზა, რომელიც მხატვრულმა ლიტერატურამ განვლო აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, და მისი თანამედროვე მდგომარეობა.





აბელ სუგუნიძე

ლენინი საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველო ჩაება სოციალისტური მშენებლობის ფერხულში. ამ საქმეში ქართველ მშრომელებს დიდად დაეხმარა ლენინი. საქართველოს კომუნისტებისადმი გამოგზავნილ წერილებში მან მოგვცა საუფროსო მითითებები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ღრმად შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა. არსებითად ეს იყო სოციალისტური მშენებლობის დაწყების გეგმა, რაც ძირითადად გადმოცემულია ლენინის 1921 წლის 2 მარტისა და 14 აპრილის ცნობილ წერილებში (ტ. 32, გვ. 189-190, 397-400).

ამ წერილებში ლენინმა უპირველესად საქართველოს თავისებურებებზე გაამახვილა ყურადღება, რამდენადაც ჩვენს ქვეყანას რუსეთისაგან განსხვავებულ პირობებში უხდებოდა სახალხო მე-

ურნეობის აღდგენა. მართალია, მას შეეძლო გამოეყენებია „მთელი ის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც იძლევა საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკა რუსეთში“, მაგრამ აუცილებელი იყო „1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა“, არა „რუსული შაბლონის“ ბრმად გადმოღება, არამედ „სული, აზრი, გაცვეთილები“. ლენინის ასეთი მითითება საქართველოს კონკრეტული ვითარების გათვალისწინების შედეგია. შინაური და გარეშე მტრების მოსალოდნელი შემოტევის შემთხვევაში ქვეყანა ახლა მარტო აღარ იყო. მას შეეძლო საბჭოთა რუსეთის დახმარების იმედი ჰქონოდა, მაშინ როცა ამ უკანასკნელს, ლენინის სიტყვით, „არსად არ ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება“. შემდეგ, ამ დროისათვის საერთაშორისო ურთიერთობაც ხელსაყრელი იყო სოციალისტური მშენებლობისათ-

ვის. ჩვენ, ლენინის მიითვებით, „კაპიტალიზმის კედლის შენგრევა აღარ“ გეჭირდებოდა. თანაც, ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში იმპერიალისტებმა „ხელუბი მოიწვეს“ რუსეთზე და ამის გამო საქართველოზე აშკარა შემოტევას ვერ გაბედავდნენ. მაშასადამე, „ევროპაც და მთელი მსოფლიოც 1921 წელს ის აღარაა, რაც 1917 და 1918 წლებში იყო“. ამასთან, ჩვენი ქვეყანა უფრო გლეხური იყო, ვიდრე რუსეთი. სამაგიეროდ ამ უკანასკნელზე უკეთ შეეძლო „უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოეგვარებინა „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან“. მართალია, ეს არ იყო „ყველა ძირითადი თავისებურება“, მაგრამ აღნიშნულიც კმაროდა იმის გასაგებად, რომ საქართველოში „აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა“. ლენინი აქვე მიუთითებდა ამ „სხვაგვარი ტაქტიკის“ ძირითად პრინციპებს: „აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა“; „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“. და შემდეგ: „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის

რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის განსხვავებით“.

აქედან გამომდინარე ქართველი კომუნისტების წინაშე დასახა რიგი ღონისძიებანი, რომელთა შორის უპირველესი იყო ქართული წითელი არმიის შექმნა. „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტიცე წითელი არმია“. აღნიშნავდა რა ამ საკითხის მნიშვნელობას, ლენინი შემდეგ მიუთითებდა: „აქ ხუმრობა არ შეიძლება, ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია“. ამ დირექტივის საფუძველზე 1922 წლის მარტში ბათუმში შეიქმნა წითელი ბრიგადა, რომელიც შემდეგ ქართული დივიზიის ბირთვი გახდა.

ლენინი ყურადღებას აქცევდა ახლადშექმნილი არმიის განმტკიცებასაც. „აბსოლუტურად აუცილებელია, — სწერდა იგი ს. ორჯონიკიძეს, — რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს... ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისათვის მთელი პარტიის წინაშე“. ამ მიზნით ლენინმა მოითხოვა სამხედრო კურსა-

ნტთა სკოლის შექმნა. საჭიროა „2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია“.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან ერთად ლენინი ყურადღებით ეკიდებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენას. კერძოდ, მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავდა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყრდელად. სოციალიზმზე გადასვლის გადვილების მთავარ პირობად მას მორწყვა მიაჩნდა: „მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს“. იგი დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა“, რადგანაც „ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“. ამ მითითებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, რამდენადაც უვარგისი ფართობების ათვისების პრაქტიკულ მოთხოვნას წარმოადგენდა. ამის საფუძველზე ჩვენში ფართო საირიგაციო სამუშაოები დაიწყო, რამაც მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. მაშინ საბჭოთა მთავრობამ დახმარების

სახით საქართველოსათვის გაიწერა ერთ მილიონ მანეთამდე. ამის შედეგად უკვე 1922 წლისათვის სოფლის დატვირთვით ამოქმედდა მთელი ქვეყნის არხი, ხოლო მომდევნო წლებში გაიჭრა ახალიც.

ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მაშინ დამყარდა, როცა რუსეთი სამხედრო კომუნიზმიდან ნეპზე გადადიოდა. ამიტომ ქართული სოფელი ერთბაშად მოექცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ეს დადებითი მოვლენა იყო და მას ჩვენში მოჰყვა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცება. მაგრამ ნატურალურმა სასურსათო გადასახადმა, რაც დასაბეგრი ობიექტების გაუთვალისწინებლად ზაფხულში მინდვრის სამუშაოების დამთავრების შემდეგ შემოიღეს, სოფლად მნიშვნელოვანი გართულებანი გამოიწვია: შემცირდა საქონლეოგაცვლა, გლეხი მოწყდა ბაზარს, შენედა ფულის ტრიალი და სხვ. გაიგო რა შექმნილი ვითარება, ლენინმა სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს 1921 წლის 7 ივლისს მისწერა: „ვითვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ ივლისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში 100.000 ფუთი პური“. ამის გარდა, საქართველომ რუსეთისაგან მიიღო 80.000 ფუთი სიმინდი, 15 ვაგონი შაქარი, 600 ვაგონი მარილი, ფართო მოხმარების საქონელი და სხვ. ქართული სოფლისადმი ლენინის ყურადღება

ამით არ ამოწურულა. თავის წერილებში იგი არაერთგზის მოითხოვდა: „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა“.

სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის ბრძოლაში ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ელექტროფიკაციას. ამიტომ ქართველ კომუნისტებს ურჩევდა: „მთელი ძალდონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი“, რისთვისაც საჭიროა დაუყოვნებლივ „დაიწყეთ ელექტროფიკაციის დიდი სამუშაოები“. კიდევ მეტი, მან რუსეთის შესაბამის ორგანოებს მოსთხოვა: „ახლავე დაწყარდეს უმჭიდროესი კონტაქტი საქართველოსთან ელექტროფიკაციის მიზნით საქართველოს მდინარეთა ძალების გამოყენების გეგმის თაობაზე“. ამის შედეგად, საქართველოს ელექტროფიკაციისათვის გამოყვეს ჯერ 750 ათასი მანეთი, ხოლო შემდეგ მილიონი მანეთი (ოქროთი). უკვე 1922 წლიდან გაჩაღდა დიდი სამუშაოები: საფუძველი ჩაეყარა ზაპესს, საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაიწყეს ელექტროსადგურების მშენებლობა, რამაც იაფი ენერგია მიაწოდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას.

ლენინი კარგად იცნობდა საქართველოს მდიდარ წიაღისეულ სიმდიდრეებსაც. იგი აღნიშნავდა: „ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც

არასრული სია“. ლენინი ხელახლა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობაში შექმნილი ელექტროფიკაციის ბეჭების გადალახვა საკუთარი ძალეებით მეტად რთული იყო. ამიტომ დასაშვებად მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღებ პირობებში ჭიათურის მარგანეცის საბადო კონცესიის სახით გადაეცა უცხოეთის ფირმებისათვის. ამას, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მუშათა კლასისათვის უნდა მიეცა სურსათი და წარმოების ხელმძღვანელობის ცოდნა, დაეჩქარებინა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება-გამოყენება და სხვ. ამიტომ მოითხოვდა: „ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებული, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში“. ლენინი შემდეგ წერდა: „დააჩქარეთ საზღვარგარეთიდან პუტის შემოტანა საქართველოში კონცესიების (მარგანეცი) და სხვ. სანაცვლოდ“.

საგულისხმოა, რომ ლენინი თანახმა იყო კონცესიების არამარტო გაცემისა, არამედ აღებისაც. ს. ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 17 ივლისს გამოგზავნილ ბარათში ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა თურქებისაგან კონცესიად მიგველო ბათუმის სამხრეთით მდებარე სპილენძის საბადოები, რომელიც მათ ხელში გადავიდა. მაცნობეთ გადადგმულია თუ არა ნაბიჯები და როგორი“. ბათუმის სამხრეთით არსებული სპილენძის

საბადოები, რომლებზეც აქ წერს ლენინი, მურღულის ხეობაში მდებარეობს. 1921 წელს იგი დარჩა თურქეთის საზღვრებში. ახლა, მძიმე მრეწველობის აღდგენისათვის ბრძოლაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქაური მაღალხარისხოვანი სპილენძის მიღებას. ამიტომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, ლენინის მოწერილობის საფუძველზე, მოლაპარაკება დაიწყო თურქეთის წარმომადგენლებთან, მაგრამ უშედეგოდ — საბადოების კონცესიით მიღება არ მოხერხდა.

საერთოდ კონცესიების გაცემის თუ მიღების მოგვარებას ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა. ამიტომ ს. ორჯონიკიძეს დაწვრილებით ცნობებს თხოვდა კონცესიების საქმის მსვლელობის შესახებ, რამდენადაც მის დადებით გადაწყვეტას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის და რუსეთისათვის“.

სახალხო მეურნეობასა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში ლენინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა „საოლქო მეურნეობის ცენტრის“ შექმნას. 1921 წლის 2 აპრილს იგი წერდა: „აუცილებელია საოლქო სამეურნეო ცენტრი, რომელიც დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად გაუძღვება საქმეს“. ეს კი ნიშნავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას ფედერაციად, რაც გულისხმობდა ერთიანი საგარეო ვაჭრობისა და ფულადი სისტემის შემოღებას, ეკონომიურ ღონისძიებათა საერთო გეგმით განხორ-

ციელებას და სხვ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომარესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომი წინსვლისათვის. ამიტომ ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა მის განხორციელებას. 1921 წლის 12 აპრილს მან სპეციალურად აღნიშნა, რომ აუცილებელია ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება, რადგან „ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი“, რომელიც აუცილებლად „გატანილი უნდა იქნას ბათუმით, საქართველოს ტერიტორიით“. მართლაც, ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელიც 1922 წელს შეიქმნა, დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტურ საფუძველზე მათი გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ნავთობთან დაკავშირებით საქართველოსა და საერთოდ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებაში ლენინი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის ამუშავებას. პარტიის მე-10 ყრილობაზე 1921 წლის 15 მარტს იგი დელეგატებს მიმართავდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსენება ბაქო-ბათუმის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს ბათუმის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებაში.



ლენინი მიესალმებოდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის ამუშავებას და იმედს გამოთქვამდა, რომ იგი „გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს „გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გავაძლიეროთ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური მოწყობილობა, გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა, სურსათისა და მოხმარების საგნების რაოდენობა ჩვენი მუშებისათვის“. მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ლენინის ეს წინასწარხედვა. ბაქო - ბათუმის ნავთსადენის ამუშავებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური განვითარე-

ბისა და მისთვის მსოფლიო ბაზრისაკენ გზის გახსნის საქმეში.

ლენინის ამ მითითებათა მიზანი იყო ახალი სოციალისტური საქართველოს მძლავრი ეკონომიკის შექმნა, რაც ქვეყანაში მკვეთრად გააუმჯობესებდა ცხოვრების პირობებს. ლენინი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებიც „სავსებით და ერთსულოვნად ეთანხმებოდნენ მის ღირექტივებს“ (ს. ორჯონიკიძე), ააშენებდნენ სოციალიზმს. და მართლაც, თავდადებული შრომით ქართველმა ხალხმა უმოკლეს ხანში შესძლო ამ მიზნის მიღწევა.



სამშობლოსათვის

ამ ოცდაათი წლის წინათ ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ომმა პარტიისა და ხალხის, სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა რგოლის, კერძოდ, ადგილობრივი საბჭოების წინაშე დიდი ამოცანები დააყენა. საჭირო და აუცილებელი შეიქნა მატერიალური და სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია მტრის გასანადგურებლად. ამ ომში ერთხელ კიდევ გამოვლინდა არმიისა და ხალხის მტკიცე კავშირი, ზურგისა და ფრონტის ერთიანობა, რასაც ვ. ი. ლენინი ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა: „ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტკიცე, ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმაოდ შეიარაღებულნი, სურსათით მარაგებულნი არ იქნებიან“.¹

დიდი სამამულო ომის დროს ადგილობრივი საბჭოების, მთელი მოსახლეობის საქმიანობა და-

უქვემდებარდა ვერაგ მტერზე გამარჯვების ინტერესებს. მობილიზაციით და მოხალისედ მარტო აჭარიდან ომში წავიდა 24.036 მამაკაცი და 600 ქალი. ბევრმა მათგანმა, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების შვილებმა, თავი ისახელა სამშობლოს დაცვაში.

1944 წლის ივნისში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ბედნიერია საქართველო, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს. უძლეველია საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც თავისი ხალხი აღზარდა ურღვევი მეგობრობით“.

აჭარაში ადგილობრივი საბჭოები დიდ ყურადღებას აქცევდნენ წვევამდელთა მომზადებას, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. 1941 წლის პირველი ივნისისათვის წვევამდელთა 40,1 პროცენტს ჩაბარებული ჰქონდა ნორმები ნიშანზე „ვოროშილოვური მსროლელი“. ამ საქმეში გამოირჩეოდნენ ხულოს, ქედის და ქობულეთის რაიონული საბჭოები, ასევე ზუგუბნისა და ლეღვას სასოფლო საბჭოები.

ახალგაზრდობის ფიზიკურ წვრთნაში დიდი როლი ითამაშეს აჭარის ფიზკულტურულმა ორგა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 72-73.

ნიზაციებმა. 1941 წელს მათ დავალება 112 პროცენტით შეასრულეს.

ომის წლებში აჭარის მშრომელები ფრონტს მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ. საქმიანად გამოეხმაურნენ ტამბოველი კოლმეურნეების თაოსნობას. ტამბოვის ოლქის კოლმეურნეებმა ორი კვირის განმავლობაში შეაგროვეს და სატანკო მშენებლობის ფონდში შეიტანეს 40 მილიონი მანეთი. ასევე მოიქცნენ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიღეს ხელი ქობულეთის რაიონის შუაღელის, ულიანოვკის, ალაბრის, ბობოყვათის, ბათუმის რაიონის ურეხის, მახინჯაურის, ერგეს, ქედის რაიონის ვარჯანისის, მერისის, ხულოს რაიონის ნენიის, ნიგაზეულის და სხვა სოფლების კოლმეურნეებმა.

აჭარის მოსახლეობის პატრიოტიზმი გამოვლინდა თავდაცვის სესხის გავრცელებაშიც. ქობულეთის რაიონის ხალას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ პაიდარ ფალავანდიშვილმა ხელი მოაწერა 50 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხს. ეს თანხა მან მთლიანად გაანაღდა ხელმოწერისთანავე და ობლიგაციები უკლებლივ შეიტანა თავდაცვის ფონდში. ამის გამო მან უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა.

სესხის წარმატებით გავრცელების საქმეში თავი ისახელა და რაიონული გარდამავალი წითელი დროშა მიიღო ხულოს რაიონის

ლორჯომის სასოფლო საბჭოს ომის დროს მშრომელებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული იანიო პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ისინი განუხრელად ანხორციელებდნენ პარტიის ხაზს. რომელიც ასე განსაზღვრა დიდმა ლენინმა: „... რაკი საქმე ომზე მიდგა, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს. ამ მხრივ ოდნავი მერყეობაც კი შეუწყნარებელია“.²

1941 წ. ოქტომბერში აჭარის მშრომელებმა შეაგროვეს და ფრონტზე გაგზავნეს ბევრი ამანათი, თბილი ტანსაცმელი და სხვა აუცილებელი ნივთები, რომლებსაც 25 ვაგონი დასჭირდა.

ამასთან აჭარის მოსახლეობა ფრონტს სურსათითაც ამარაგებდა. მარტო ხულოს რაიონის სოფელ გოგაძეების მშრომელებმა 1942 წელს თავდაცვის ფონდში 10 ტონა კარტოფილი, 18 ცენტნერი სამინდი, 160 კგ. ხილი და სხვა პროდუქტები შეიტანეს. ასევე იქცეოდნენ სხვა სოფლებიც. ყველას გულთან მიჰქონდა ლენინური სიტყვები: „დაეხმარეთ წითელ არმიას ყველაფრით, ვისაც რით შეუძლია დახმარება, — ასეთია პირველი, ძირითადი და უმთავრესი მოვალეობა ყოველი შეგნებული მუშისა და გლეხისა“.³

2 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 150.

3 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 657.

ომის პერიოდში, სიძნელეების მიუხედავად, აჭარის მოსახლეობა ქმნიდა საკმაოდ დიდ დოვლათს. საკოლმეურნეო მიწდევებსა და ფაბრიკა-ქარხნებში არ ცხრებოდა შრომითი ენთუზიაზმი. გამრავლდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი. თუ 1932 წელს აჭარის კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავალი შეადგენდა 1.977.300 მანეთს, 1941 წელს შემოსავალმა მიაღწია 42 მილიონ მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად გატარების საფუძველზე მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ ალმეს კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარზე 15 ცენტნერი თამბაქო და 17 ცენტნერი სიმინდი მოიწია. გამრავლდა უხვი მოსავლის ოსტატთა რიცხვი.

ადგილობრივი საბჭოები დიდ ზრუნვას იჩენდნენ ევაკუირებული ბავშვების მიმართ. 1942 წელს ქ. ბათუმში ჩამოიყვანეს ასზე მეტი 3-6 წლის ბავშვი. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მიიღო სასწრაფო ზომები. მათთვის თბილი თავშესაფარი შექმნა ბავშვთა ბაღებში. უპატრონო ბავშვების მოვლა-პატრონობაში დიდი გულთბილობა გამოიჩინეს ბავშვთა ბაღების ინსტრუქტორმა ნინო ოყროშიძემ, მე-3, მე-4, მე-6 საბავშვო ბაღების გამგეებმა ქეთევან

თავბერიძემ, მარო ფირცხალაძემ, პაიჭაძემ და სხვებმა. ისინი მშრომლიური მზრუნველობით ეპყრობოდნენ ობლად დარჩენილ ბავშვებს.

ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, ხულოლებმა შეაგროვეს თანხები ბავშვთა დახმარების ფონდში შესატანად. მარტო ხიხაძირის სასოფლო საბჭოში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა შორის შეაგროვეს 2.980 მანეთი.⁴

ყველაფერი ფრონტს! ამ დევიზით იღვწოდნენ აჭარის მშრომელები. სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეთა ერთ-ერთ კრებაზე 65 წლის მ. გურგენიძემ განაცხადა: ჩემი ორი შვილი მოქმედი არმიის რიგებშია. ისინი შეუპოვრად იბრძვიან ფაშისტთა ხროვის განადგურებისათვის. მე, მოხუცებულობის მიუხედავად, მთელი ძალით ვიმუშავებ, რომ აუღებელი არ დაეტოვოთ მოსავლის არც ერთი კილოგრამი“.

მტერზე გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული სახელოვანი ქართველი მეომრები აქტიურად ჩაებნენ მშვიდობიანი შრომის ფერხულში. ომგადახდილმა მეომრებმა ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მიწდევებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა და ზოგი მათგანი სოცი-


4 გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1942 წ. 31 დეკემბერი, № 258.



ალისტური შრომის გმირიც კი გა-
ხდა. მოკლე დროში საბრძოლო
წრთობა მიღებული მრავალი დე-
მობილიზებული დააწინა უ რ ე ს
ხელმძღვანელ პოსტებზე.

დიდი სამამულო ომის დამთავ-
რების შემდეგ მთელი საბჭოთა
ხალხი, მათ შორის აჭარის მშრო-
მელები, კომუნისტური პარტიის
ხელმძღვანელობით დაუყოვნებ-

ლივ შეუდგა ომის მძიმე შემდეგ
გების ლიკვიდაციას. მათთვის
თალია, არ გამხდარა უშუალო სა-
ომარი მოქმედების ასპარეზი, მა-
გრამ ომის სიმწვავე მაინც განიცა-
და და დიდი ენერგია გაიღო რო-
გორც ფრონტებზე, ისე ზურგში
მტერზე გამარჯვების უზრუნველ-
საყოფად.



ნიგნების მიმოხილვა

სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი მეცნიერული შრომები

ხ. ახვლედიანი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში. 1917-1921 წ.წ. ბათუმი. 1971 წ. 182 გვ.

ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის მზადებამ არა მარტო მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში იჩინა თავი საყოველთაო ენთუზიაზმითა და საზოგადოებრივი შრომის უებრო შედეგებით, არამედ კულტურის სარბიელზეც. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ არასდროს არ გამოქვეყნებულა ამდენი ნაშრომი, კერძოდ, აჭარის რევოლუციურ წარსულსა და მის დღევანდებლობაზე.

მართალია, განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა აჭარის წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ მას ერთი ხარვეზი დაჰყვა—ვერ იძლევა რევოლუციურ მოძრაობაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის რამდენადმე სრულ სურათს. ამ ხარვეზის ამოვსების სერიოზულ ცდას წარმოადგენს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ხ. ახვლედიანის ნაშრომი, რომელიც ასახავს მთელი ქართველი ხალხისა და, კერძოდ, აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში ყველაზე

მაღარ, ყველაზე მღელვარე პერიოდს.

ძნელია გულდამშვიდებით წაიკითხოთ მასალები, რომლებიც ამხილებენ პირველი იმპერიალისტური ომის დროს ცარიზმის მოხელეების, სხვადასხვა ჯურის რეაქციონერების მუხანათურ მოქმედებას აჭარისა და, მასადამე, მთელი საქართველოს მიმართ. მაშინ აჭარა მოღალატედ გამოაცხადეს და მოაწყვეს საზიზღარი ინსცენირება, რომლის თაობაზე გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ჩვენ თვალწინ გადაიშალა ცხრა აჭარლის გასამართლების პროცესი. ტრაგიკული სურათი გადაიშალა! ამ პროცესში ყველაფერი მოიპოვებოდა, — „სახელმწიფო ღალატის“ ვარდა. არის მრავალი ცრუმოწმე, მაგრამ არ არიან დამნაშავენი... აჭარლები ქართველები არიან, აჭარა საქართველოა, აჭარლების დასჯა — ეს შეუთრაცყოფაა, უდანაშაულო დასჯა მთელი ქართველი ერისა!“.

და საქართველო აღსდგა აჭარის დასაცავად...

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ვითარებაში, უმძიმეს გაჭირვებაში მოუსწრო აჭარას რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიუ-

ლმა რევოლუციამ. რომ ანო ე-
ბის ტახტის დამხობის შესახებ ცნობა
ბათუმში გვიან მოვიდა. რვა მარტს
ძლივს მოაღწია პეტერბურგი და ნ
გამოგზავნილმა დეპუტატმა: „მთავრობაჲ
გარდაიცვალა“. მაგრამ ვერც ამან მისცა
ხალხს შვება. განსაკუთრებით გამწვა-
ვდა მდგომარეობა მას შემდეგ, როცა
თურქმა დამპყრობლებმა მოახდინეს ბა-
თუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია. პრო-
გრესულ აჭარელ მოღვაწეებს აქ არ ეც-
ხოვრებოდათ და გაიხიზნენ თბილისში.
იქ დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს
განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომ-
ლის შემადგენლობაში შევიდნენ: მე-
მედ აბაშიძე (თავმჯდომარე), ჰაიდარ აბ-
აშიძე (მოადგილე), სულეიმან დიასაშიძე
(მდივანი), ხასან თხილაიშვილი, ზია აბა-
შიძე, ჯემალ ნოღაიდელი, ყადირ შერვა-
შიძე, იუსუფ ქათამაძე, სულეიმან ბე-
ჟანიძე და სხვები. დაარსდა გაზეთი „სა-
მუსლიმანო საქართველო“. გაჩაღდა დი-
დი მუშაობა, რომელიც ორგანულად
ერწყმოდა საქართველოს განთავისუფ-
ლებისა და ერთიანობისათვის საერთო
ბრძოლას. ხ. ახვლედიანი ამ ბრძოლაში
აჭარის მკვიდრთა თავდადების
შესახებ მასალებს პოულობს მაშ-
ინდელ ქართულ პრესაში. და არ-
ქივებში. წიგნში მოტანილია გაზეთ
„ერთობაში“ (1918 წ. № 161) დაბეჭდი-
ლი დიდად საყურადღებო წერილი, რომ-
ლის ავტორი მოგვითხრობს ოსმალთა
მიერ მოწყობილი პლებისციტის დროს
ქობულეთელ ხასან თხილაიშვილის წამ-

ების ამბავს. ქართველმა პატრონმა იც-
ოდა, რომ სიკვდილი მოელოდა, მაგრამ
ინც საქართველოს მისცა ხმა, მაშინვე
ქი გუბერნატორის ბრძანებით ასაყრებ-
მა ააყრეს ხეზე, როგორც ჯვარზე. გან-
აჩენის სისრულეში მოყვანა არ დასცალ-
დათ, ხასან თხილაიშვილი შემთხვევით
გადაარჩა. იგი შემდეგ ხელმძღვანელობდა
მოხალისეთა რაზმს, რომელიც ემზადე-
ბოდა ბათუმში შესასვლელად.

გმირობისა და თავდადების მაგალი-
თი წიგნია სხვა თავებშიც არის მოტანი-
ლი.

მოკავშირეთა მიერ ბათუმის ოლქის
ოკუპაციის პერიოდში, განსაკუთრებით
კი 1919 წლის ივლისში მდგომარეობა
გართულდა. ინგლისელებისა და დენიკი-
ნელების თავხედობას საზღვარი არ
ჰქონდა. მათ წინააღმდეგ ბოლშევიკური
პარტიის ხელმძღვანელობით აჭარის
მოსახლეობაში ეწყობოდა ხალხმრავა-
ლი კრებები და ყრილობები. ერთი ასე-
თი ყრილობა გაუმართავთ კინტრიშის
უბანში. მოხსენებით გამოსულა რეჯებ
ნიყარაძე და უთქვამს: ჩვენ ძმური ხელი
უნდა გავუწოდოთ ქართველ ერს და სა-
ერთო ძალით შევებრძოლოთ მტერს...
ძალიან ცუდი საქმე მოგველის, და თუ
ჩვენ საჭირო უნარი არ გამოვიჩინეთ,
ჩვენი შვილები ჩვენს ძვლებს საფლავი-
დან ამოყრიან და ძაღლებს გადაუყრიან.
მე მარტო სიტყვით კი არ გეუბნებით ამ-
ას, საქმიან დაემატეც და პირველი
მე მივეშვერ მტრის ტყვიას გულს —
ან მოვეცდები, ან გავიმარჯვებ, რომ არ
მომეწყროს ჩვენი და ჩვენი შვილების
უბედურება.

ასეთი მტკიცე გადაწყვეტილებით იბრძოდნენ აჭარელი პატრიოტები საქართველოს მტრების — ყველა ჯურის ოკუპანტების, მენშევიკების, დაშნაკებისა თუ მუსავატელების წინააღმდეგ.

ბ. ახვლედიანი ასაბუთებს, რომ რეაქციულ ძალებს შორის სხვებზე მეტად აქტიურობდნენ დაშნაკები. სომეხი შოვინისტების გეგმით სომხეთს უნდა მოეცვა ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. განსაკუთრებით ეჭირათ თვალი ბათუმის ოლქზე. სომხეთის დელეგაცია არწმუნებდა ლონდონს და პარიზს, რომ ბათუმისა და მისი ოლქის მკვიდრთა დიდ უმრავლესობას სომხები შეადგენენ და ეს მხარე სომხეთს უნდა გადაეცეს.

არც მუსავატელები იყვნენ გულზელდაკრეფილნი. ისინიც დიდი აზერბაიჯანის შექმნაზე ოცნებობდნენ და მარტო აჭარას კი არ ეპოტინებოდნენ, პარიზის კონფერენციაზე მოითხოვეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შესულიყო კავკასიაში მცხოვრები ყველა მუსლიმანი.

მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს მენშევიკური მთავრობა, რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. ბოლშევიკები მასებს დაბეჯითებით განუმარტავდნენ ყველაფერს და მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მენშევიკური მთავრობა და თბილისზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ორი დღის შემდეგ ბაქოს საბჭოს სხდომაზე ს. ორჯონიკიძე ამბო-

ბდა: „ახლა ის დღე, როცა ბათუმში წითელი დროშა აფრიალდება, როცა შავი ზღვა მიიღებს გაქცეულ მენშევიკებს“. ასეც მოხდა — საქართველოში მენშევიკური მთავრობა ბათუმიდან იტალიის გემით „ფერენ ჟოზეფ-კირიულით“ წავიდა საზღვარგარეთ. 17 მარტს სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა ბათუმის რევკომი, რომელშიც შემდეგ შედიოდნენ აგრეთვე მემედ აბაშიძე და რეჟებ ნიყარაძე. 18 მარტს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, დაიწყო ახალი ხანა მრავალტანჯულ აჭარის ცხოვრებაში. 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აჭარა მტკიცედ დაადგა სოციალისტური განვითარების გზას.

ბ. ახვლედიანი თავის წიგნში 1917-1921 წლების აჭარის ისტორიას მოგვითხრობს საქართველოს, ამიერკავკასიის, რუსეთის ამებთან მჭიდრო კავშირში, დიდი საერთაშორისო მოვლენების ფონზე და უფრო გასაგებასა და საინტერესოს ხდის მასობრივ მოძრაობას, მშრომელთა პატრიოტულსა და რევოლუციურ შემართებას, რომელმაც განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩვენს რესპუბლიკაში. შეიძლება ზოგ რამეზე ვედათ ავტორს, ცალკეულ უზუსტობაზეც მივუთითოთ, მაგრამ ეს ოღნავადაც არ ამცირებს წიგნის ღირსებას.

პრ. ჯიჯიშვილი. სოციალისტურ-
ტური მშენებლობა აჭარაში (1921-
1937 წ.წ.). ბათუმი. 1971 წ. 206 გვ.

ეს წიგნი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა
ლონისძიებები განხორციელდა აჭარაში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
პირველი წლებიდანვე, რას მიაღწია მან
სოციალიზმის პირობებში.

როცა აჭარას ავტონომიას აკუთვნებ-
დნენ, მხედველობაში ჰქონდათ აქ თუ-
რქეთის ხანგრძლივი ბატონობით გამო-
წვეული სამეურნეო და კულტურული
ცხოვრების დაბალი დონე, ადგილობრივი
თავისებურებანი, თორემ ისე აჭარა სა-
ქართველოსთან დაკავშირებულია, როგ-
ორც შეილი თავის დედასთან, და ავ-
ტონომიას არავითარი ეროვნული ნიად-
აგი არა აქვს. საჭირო იყო მეტი ყურა-
დღება და ზრუნვა, რომ უმოკლეს დრო-
ში აღმოგვეფხვრა საუკუნეობრივი ჩამო-
მორჩენილობა და მოსახლეობა გამოგვე-
ყვანა სამეურნეო და კულტურული მშე-
ნებლობის ფართო ასპარეზზე. საამისო
ლონისძიებები ხორციელდებოდა ყველა
დარგში. წიგნის ავტორი ფართოდ აშუქ-
ებს აჭარაში სოციალიზმის მშენებლო-
ბის სპეციფიკას, უჩვენებს პარტიული
ორგანიზაციების ხელმძღვანელ, წარმმა-
რთველ როლს სახალხო მეურნეობისა
და კულტურის განვითარებაში, საბჭო-
თა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებ-
რივი წყობის განმტკიცებაში. პარტიუ-
ლი კომიტეტი და რევკომი პირველ რიგ-
ში ყველა ზომას მიმართავდნენ, რომ
აღმოეფხვრათ მენშევიკებისა და უცხოე-
ლი იმპერიალისტების ბატონობის სავა-

ლალ შედეგები: აელაგმათ საბჭოთა ხე-
ლისუფლების მტრები, მოეწესრიგებო-
ნათ მოსახლეობის სურსათით მომარაგო-
ბა, შეექმნათ საბჭოთა ხელმძღვანელები
ადგილობრივი ორგანოები.

ბათუმის საოლქო რევკომი მთავარ
ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურ-
ნეობის აღდგენა-განვითარებას, აგრარუ-
ლი რევფორმის გატარებას. ამ რევფორმას
აჭარაში საფუძვლად დაედო საქართვე-
ლოს რევკომის 1921 წლის ექვსი აპრი-
ლის დეკრეტი მიწების ნაციონალიზაცი-
ის შესახებ. ეს დეკრეტი მოიწონეს აჭ-
არის გლეხთა პირველმა ყრილობამ და
აჭარის საბჭოების პირველმა ყრილო-
ბამ, რომელიც გაიმართა 1922 წლის ათ
იანვარს. საბჭოების ყრილობამ აირჩია
ცენტრალური აღმასრულებელი კომი-
ტეტი, რომელმაც შექმნა აჭარის მთა-
ვრობა — აჭარის ასსრ სახალხო კომისა-
რთა საბჭო.

მშრომელებმა მალე იგემეს საბჭოთა
წყობილების ნაყოფი. 1923 წლის დამ-
ლევისათვის ბეგებს ჩამოერთვათ და
გლეხებს დაუბრუნდათ თოთხმეტი ათასამ-
დე ღესეტიან მიწა. გრ. ჯიჯიშვილი თა-
ვის გამოკვლევაში უამრავი ფაქტობრი-
ვი და ციფრობრივი მასალით ცხადყოფს
თუ რა ცვლილებები მოხდა სოფლად
სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოცი-
ალისტურ რელსებზე გადაყვანის მეოხე-
ბით, როგორ გადიდდა სუბტროპიკული
და ტექნიკური კულტურების ფართობე-
ბი, ამაღლდა მოსავლიანობა და მხვენელ-
მთესველთა ცხოვრების დონე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხო-
რციელდა აჭარის მრეწველობის სოცია-

ლისტური გარდაქმნისათვის. საქართველოს რევკომის დეკრეტის საფუძველზე აჭარაშიც მოხდა მრეწველობის ნაციონალიზაცია. აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაეცა 31 ცენტრიანი სამრეწველო საწარმო. ნაშრომში ნაჩვენებია თუ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის მეოხებით როგორ იმატა მრეწველობის პროდუქციის წილხვედრმა მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციაში და პირველი ხუთწლედის დამლეგს შეადგინა 90,3 პროცენტი. უკვე უზრუნველყოფილი იყო მრეწველობის წამყვანი როლი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის წარმატებებმა მიგვიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. ძირითადად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. კულაკობის, ამ უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა და მათთან დაკავშირებული სახალხო ინტელიგენცია. შეიქმნა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საიუბილეოდ გამოსულ ყველა ნაშრომში და, კერძოდ, ამ წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქალთა საკითხს. სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის, განვითარებაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაში მამაკაცებთან ერთად აქტიურად მონაწილეობ-

დნენ აჭარელი ქალები, რომლებსაც სოციალისტურმა რევოლუციამ თანასწორობა, სრულფასოვანი მოქალაქეობა მიანიჭა. მაგრამ კანონით თანასწორობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ცხოვრებაში თანასწორობას. საამისოდ საჭირო იყო სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე. ავტორი მოგვითხრობს, რომ ჯერ იყო და ქობულეთის რაიონის სოფელ ფიჭვნარში აჭარელმა ქალებმა პირველად დააარსეს მებოსტნეობის კოლმეურნეობა, შემდეგ ბათუმის რაიონის ქალებმა შექმნეს მეაბრეშუმეობის კოლმეურნეობა, ქედის რაიონის სოფელ ორცვასა და აგარაში ჩამოაყალიბეს მებოსტნეობისა და მეთამბაქოეობის კოლმეურნეობები...

ეს ორმოცი წლის წინანდელი ამბები ახლა ძნელი წარმოსადგენიც არის. ქალთა კოლმეურნეობებმა თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულეს, ხელი შეუწყვეს ქალთა მასობრივად ჩაბმას საკოლმეურნეო მშენებლობაში. 1935 წელს აჭარის კოლმეურნეობებში მუშაობდა 4.536 აჭარელი ქალი, აქედან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ — ორი ქალი, ბრიგადირად — ერთი, მერგოლურად — 130. ახლა კი ქალები გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, განსაკუთრებით კი მეჩაიეობაში.

საკოლმეურნეო შრომაში და საერთოდ საზოგადოებრივ შრომაში აქტიუ-

რი მონაწილეობის მეოხებით საგრძნო-
ბლად გაფართოვდა ქალთა გონებრივი
პორიზონტი, ბევრმა გაითქვა სახელი
კულტურის ფრონტზეც. ქალი გახდა ახ-
ალი ცხოვრების აქტიური მშენებელი.
ეს იყო სოციალიზმის ერთ-ერთი დიდ-
მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

გრ. ჯიჯიშვილის გამოკვლევა სამაო

შუქს ჰფენს აგრეთვე აქარაში კულტ-
ურული მშენებლობის, ლიტერატურული
და ხელოვნების განვითარების, მოსახ-
ლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და
სხვა საკითხებს, ნათელ წარმოდგენას გვა-
ძლევს იმ უდიდეს ცვლილებებზე, რაც
აქ სოციალიზმის მშენებლობის პროც-
ესში ხდებოდა.

ფან 40 კვ.

6/132/96



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118